

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2009, №6

გ ა ნ ს ჯ ა დ ო ბ ა

განსჯადობა
-სამოქალაქო განსჯადობა

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-76-76(გ-08)

19 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. სხირტლაძე

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავა ხ. კ-ძის სარჩელთან დაკავშირებით.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 23 აპრილს ხ. კ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის ნოტარიუსის -ვ. ჭ-შვილისა და მესამე პირის -ი. ს-შვილის მიმართ პრივატიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა ნოტარიუს ვ. ჭ-შვილის მიერ 1999 წლის 1 სექტემბერს დამოწმებული პრივატიზაციისა და 1999 წლის 11 ნოემბრის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ივლისის საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება მ. კ-ძე.

2007 წლის 23 ივლისის მოსამზადებელ სხდომაზე, მესამე პირის -ი. ს-შვილის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს საქმის განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაგზავნის თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელე ხ. კ-ძისათვის არანაირი ზიანი არ მიუყენებია და ვერც შეიძლება მიეყენებინა ადმინისტრაციულ ორგანოს, არც ამხანაგობა #571 და არც ნოტარიუსი არ იყო საჯარო მოხელე, ანუ ადმინისტრაციული ორგანო, რის გამოც მსგავსი სახელშეკრულებო ქონებრივი დავები უნდა განხილულიყო არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 ივლისის განჩინებით ხ. კ-ძის სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის ნოტარიუსის -ბ. ჭ-შვილისა და მესამე პირის -ი. ს-შვილის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების კანონიერება.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოითხოვდა პრივატიზაციისა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების გაუქმებას. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მეორე პუნქტი ზუსტად განსაზღვრავს იმ სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად. ამასთან, ამავე კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, საჯარო მოსამსახურე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად, ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. კანონი ასევე იძლევა კონკრეტულ ჩამონათვალს, თუ რომელ სახელმწიფო დაწესებულებაში საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა წარმოადგენდა კერძო სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ ხ. კ-ძის სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით წინამდებარე საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყო ხ. კ-ძის სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე ქ. თბილისის ნოტარიუსის ვ. ჭ-შვილის, მესამე პირების -ი. ს-შვილისა და მ. კ-ძის მი-

მართ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე მოთხოვნის ნაწილში და მას მიენიჭა შესაბამისი ნომერი.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას პრივატიზაციის ნაწილში დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის თაობაზე და მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული დავები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულება დადებულ იქნა 1999 წლის 1 სექტემბერს, იმ პერიოდისათვის მოქმედი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად კი ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა ყველა ის სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო, ან დაწესებულება, აგრეთვე. ნებისმიერი ფიზიკური, ან იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

სასამართლო აგრეთვე მიუთითებდა, რომ ეს სამართლებრივი აქტები, რომელთა საფუძველზედაც მოხდა ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების დადება ამხანაგობა #571-ის თავმჯდომარესა და ი. ს-შვილს შორის, იყო ნორმატიული აქტები, რომლებიც მიეკუთვნება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას.

სასამართლომ ჩათვალა, რომ ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა #571-ის თავმჯდომარე ა. ზ-შვილი პრივატიზაციის ხელშეკრულების დადებისას, ახორციელებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ფუნქციას, რის გამოც ზემოხსენებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რადგან არსებობდა ამ ხელშეკრულებისათვის სზაკ-ის მე-2 მუხლის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი ელემენტები და სსკ-ის 25¹.2 მუხლის თანახმად, ვინაიდან ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილვა საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, განსახილველი საქმე განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით, ხ. კ-მის სარჩელი პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად, გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ხ. კ-მის სარჩელი წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას და საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურ ურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

ამავე კოდექსის 2.1 მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს მითითებულს და განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული ნორმის "ბ" პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "ზ" პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრუ-

ლებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე, კერძო სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის, სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹.1 მუხლის შესაბამისად, ცალსახად განისაზღვრა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ამ პირობებში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები. ამასთან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.2. მუხლით განსაზღვრულია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, ისე, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიას, ვინაიდან, როგორც წინამდებარე საქმის მასალებით დასტურდება, სადავო ბინა მიეკუთვნება საბინაო სამშენებლო კოოპერატივის საკუთრებას, რომელიც პაის გადახდის შემდეგ გადავიდა კერძო პირის საკუთრებაში. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთათვის სახელმწიფო საბინაო ფონდში ამ უკანასკნელთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობით შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სადავო ხელშეკრულების ობიექტი – ბინა არ მიეკუთვნებოდა სახელმწიფო საბინაო ფონდის კატეგორიას, რაც ნიშნავს იმას, რომ გამგეობა მას ვერ განკარგავდა როგორც სახელმწიფო საკუთრებას, რაც გამორიცხავს სადავო ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას და რაც, თავის მხრივ, იძლევა საფუძველს, სადავო სამართალურთიერთობა მიეკუთვნოს სამოქალაქო წესით განსახილველ დავათა კატეგორიას და საქმე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ხ. კ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოთ მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-133-132(გ-08)

27 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ჩინჩალაძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 2 ოქტომბერს წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოპასუხის -სს "ავტოტრანსპორტის" მიმართ, მესამე პირი -სს "ავტოტრანსპორტის" დირექტორი მ. დ-მე.

მოსარჩელემ განმარტა, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სს "ავტოტრანსპორტს" შორის 1999 წლის 15 ივნისის #10 განვადება-ნასყიდობის ხელშეკრულებით სს "ავტოტრანსპორტს" გადაეცა სამინისტროს მიერ პროგრამის ფარგლებში შემოყვანილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მითითებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2002 წლის 17 ივნისს გაგრძელდა 2004 წლის 1 იანვრამდე. სამინისტროს კუთვნილი ტექნიკა სს "ავტოტრანსპორტის" ადმინისტრაციამ ასახა საწარმოს ბალანსში.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ წყალტუბოს რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა სს "ავტოტრანსპორტის" გაკოტრების საქმის წარმოება. გაკოტრების კრებაზე სამინისტრომ, როგორც ერთ-ერთმა კრედიტორმა, მოითხოვა სამინისტროს კუთვნილი ტექნიკის უკან დაბრუნება და ზიანის ანაზღაურება, რაც არ გაითვალისწინა გაკოტრების მმართველმა და სალიკვიდაციო ბალანსზე არასწორი ჩანაწერით ტექნიკა კვლავ აღრიცხა სს "ავტოტრანსპორტის" ერთიან ქონებად.

მოსარჩელის განმარტებით, გაკოტრების კრებაზე სს "ავტოტრანსპორტის" დირექტორმა მ. დ-მემ აღიარა ის ფაქტი, რომ დაარღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და ვერ გადაიხადა ტექნიკის ღირებულების საფასური. სადავო ტექნიკის მესაკუთრედ მ. დ-მე მიიჩნევა სოფლის მეურნეობის სამინისტროს. მოსარჩელემ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა "გაკოტრების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კუთვნილი ტექნიკის სს "ავტოტრანსპორტის" ბალანსიდან გამოყოფა და მოსარჩელისათვის დაბრუნება; აგრეთვე, ზიანის ანაზღაურების სახით სს "ავტოტრანსპორტის" გაკოტრების მმართველისათვის 150 680 ლარის დაკისრება.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სს "ავტოტრანსპორტის" გაკოტრების მასიდან დაუბრუნდა სარჩელში მითითებული ტექნიკის ნაწილი.

წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო მოთხოვნა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი წყალტუბოს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე განსჯადობის წესით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეები განსაზღვრული იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეორე მუხლით, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტების შესაბამისად. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება, შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოპასუხეს შორის განვადება-ნასყიდობის ხელშეკრულება დადებული იყო ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოპასუხეს -იურიდიულ პირს შორის. მოსარჩელე -სოფლის მეურნეობის სამინისტრო იყო ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ამოცანა -სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა, წარმოადგენდა მის საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხესთან გაფორმებული ხელშეკრულება იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იურიდიულ პირთან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და დავაც, შესაბამისად, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე #3ბ/78-08 წელი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის გამო, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად უნდა გადასცემოდა საკასაციო სასა-

მართლოს. სააკელიაძის სასამართლომ აღნიშნა, რომ "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-3 მუხლით, გაკოტრების საქმეს, მიუხედავად მოვალის ქონების ღირებულებისა და კრედიტორების მოთხოვნების ოდენობისა, განიხილავდა რაიონული (საქალაქო) სასამართლო (გაკოტრების სასამართლო) მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავ კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, საგანი, რომელიც მესამე პირს ეკუთვნოდა, არა მხოლოდ უზრუნველყოფის მიზნით, გაკოტრების მმართველს უნდა დაებრუნებინა უფლებამოსილი პირისათვის. თუ გაკოტრების მმართველი უარს იტყვოდა დაბრუნებაზე, უფლებამოსილ პირს შეეძლო აღედრა სარჩელი და მოეთხოვა ნივთის დაბრუნება ან თავის უფლების დადასტურება.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სს "ავტოტრანსპორტს" შორის დადებული იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულება, არ განაპირობებდა მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევას. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდებოდა, რომ დავის საგანს არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, დავის საგანი იყო გაკოტრების მასიდან საკუთრების ამორიცხვა და ზიანის ანაზღაურება, რაც განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის დებულებათა საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი მოპასუხის - სს "ავტოტრანსპორტის" მიმართ, მესამე პირი - სს "ავტოტრანსპორტის" დირექტორი მ. დ-მე, ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ, ქუთაისის სააკელიაძის სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად დავას წარმოადგენს და განსახილველად მას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავ კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, მითითებული მუხლის "ბ" და "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარჩელით მიმართა წყალტუბოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე - სს "ავტოტრანსპორტის" მიმართ, მესამე პირი - სს "ავტოტრანსპორტის" დირექტორი მ. დ-მე, ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევსათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სამოქალაქო საქმეთა პალატას სააკელიაძის საჩივრის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სახეზეა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინ-

ნებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემული დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, სარჩელი აღძრულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მხარეები ერთმანეთთან კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში არიან და მათი ურთიერთობაც პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობაა. კონკრეტულ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი აღძრულია ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით. მოსარჩელე სარჩელის სამართლებრივ საფუძველად უთითებს "გაკოტრების შესახებ" კანონზე, სამოქალაქო კოდექსის 361-ე, 400-ე, 402-ე-404-ე და 414-ე მუხლებზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. სასარჩელო მოთხოვნები მთლიანად დაფუძნებულია სამოქალაქო კოდექსის მატერიალურ ნორმებზე და დავის საგანს წარმოადგენს ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელის გამო მოპასუხე -სს "ავტოტრანსპორტის" მიმართ, მესამე პირი -სს "ავტოტრანსპორტის" დირექტორი მ. დ-ძე, ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელის გამო მოპასუხე -სს "ავტოტრანსპორტის" მიმართ, მესამე პირი -სს "ავტოტრანსპორტის" დირექტორი მ. დ-ძე, ნივთების დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-142-138(გ-08)

2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა სსიპ "გორის უნივერსიტეტის" (სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის" უფლებამონაცვლის) სააპელაციო საჩივრის განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ტ-შილმა და დ. ლ-შილმა 11.01.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართეს გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინააღმდეგ, რომლებმაც რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 15.12.06წ. #2-58 და 28.12.06წ. #2-73 ბრძანებების გაუქმება, უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კომისიის დასკვნის ბათილად ცნობა, დისციპლინარული სასჯელის გაუქმება და მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ 1991 წლიდან იყვნენ ცხინვალიდან დევნილები და ამავე წლიდან ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამფუძნებლებიც, ამდენად ამ ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის მომენტში და მის შემდეგ მუშაობდნენ სხვადასხვა თანამდებობებზე. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ზ. ც-შილმა სტრუქტურულ რეორგანიზაციაზე დაყრდნობით, ყოვლად უსაფუძვლოდ და კანონის უხეში დარღვევით გაათავისუფლა სამსახურიდან მთელი ოჯახი, დ. ლ-შილი პედაგოგიური ფაკულტეტის უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან, ხოლო ა. ტ-შილი რექტორის მოადგილეობიდან აკადემიურ დარგში და სრული პროფესორის არჩევითი აკადემიური თანამდებობიდან. ა. ტ-შილის გათავისუფლების საფუძვლად გამოყენებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 08.06.05წ. #473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 38-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტი, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 7.1. პუნქტის "გ" ქვეპუნქტი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კომისიის დასკვნა. დ. ლ-შილის გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა საქართველოს პრეზიდენტის 08.06.05წ. #473 ბრძანებულების მე-2 პუნქტის "თ" ქვეპუნქტი და საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტი. მოსარჩელების მოსაზრებით ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის 15.12.06წ. #2-58 და 28.12.06წ. #2-73 ბრძანებები არ არის კანონიერი, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის 08.06.05წ. #473 ბრძანებულებით განისაზღვრა საჯარო სამართლის იურიდიული პირის -უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება და არა პროფესორ-მასწავლებლების, რექტორის მოადგილეების უსაფუძვლო გათავისუფლება. მართალია, უნივერსიტეტში მოსალოდნელი სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ მართლაც გაფრთხილდნენ თანამშრომლები, მაგრამ აღნიშნული გაფრთხილება არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო სამუშაოდან მათი გათავისუფლების შესახებ გაფრთხილებად, რადგან იმ დროისათვის არ მომხდარა უნივერსიტეტის არც ლიკვიდაცია და არც თანამდებობების შემცირება, გაფრთხილება ეხებოდა მხოლოდ მოსალოდნელ რეორგანიზაციას. მოსარჩელებმა განცხადებით, უნივერსიტეტში არ შემცირებულა შტატებით გათვალისწინებული თანამდებობები, მხოლოდ რეორგანიზაცია ჩატარდა. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 96-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად კი დაწესებულების რეორგანიზაცია არ ქმნიდა საფუძველს მოხელის გასათავისუფლებლად. ამასთან, თუ მოხდებოდა სტრუქტურული ცვლილება და თან მოჰყვებოდა შტატების შემცირებაც, ამავდროულად ყველა თანამდებობა უნდა გამხდარიყო ვაკანტური და გამოთავისუფლებული ადგილების დაკავება უნდა განხორციელებულიყო კონკურსის წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 15.12.06წ. #2-58 და 28.12.06წ. #2-73 ბრძანებები ეწინააღმდეგება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მოთხოვნებს, არასწორად არის გამოყენებული "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის და შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნებიც.

გორის რაიონული სასამართლოს 20.06.07წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები -ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის 15.12.06წ. #2-58 და 28.12.06წ. #2-73 ბრძანებები და ეთიკისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის კომისიის 28.12.06წ. დასკვნა, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

გორის რაიონული სასამართლოს 20.06.07წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელმაც მოსარჩელების მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.10.07წ. საოქმო განჩინებით, ვინაიდან საქართველოს მთავრობის 22.08.07წ. #176 დადგენილების შესაბამისად, სსიპ -გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ -ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაერთიანდა, სსსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, აპელანტი -სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი" შეიცვალა მისი უფლებამონაცვლით -სსიპ "გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი". ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის" სააპელაციო

საჩივარი, საქმის მასალებთან ერთად, განსჯადობით გადასცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იქნეს განხილული, სამართალურთიერთობა უნდა წესრიგდებოდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობით. სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონების კანონიერება. პალატამ მიუთითა, რომ სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი" მოსარჩეელების სამსახურში აღდგენისა და მათთვის იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას (რაც მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს) ვერ იქნებოდა გამოყენებული "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, რადგან აღნიშნულ კანონში მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელთა საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი კი მასში მოხსენიებული არ არის. გარდა აღნიშნულისა, "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. #286 ბრძანებულებაში ამომწურავად ჩამოთვლილ საჯარო მოსამსახურეთა შორის სახელმწიფო უნივერსიტეტების უფროსი ბიბლიოთეკარის ან რექტორის მოადგილის თანამდებობები მოხსენიებული არ არიან, რის გამოც, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებით უდავოა, რომ ისინი საჯარო მოსამსახურებად არ ითვლებიან. სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი" საჯარო სამართლის იურიდიული პირია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ მონაწილეობა არ არის საკმარისი დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის, განსჯადობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებით უნდა მოწესრიგდეს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. სადავო სამართალურთიერთობა უმთავრესად შრომის კოდექსით უნდა მოწესრიგდეს, რომელიც კერძო სამართლის კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, შრომის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 23.01.08წ. საოქმო განჩინებით გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საქმე განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიას შემდეგ გარემოებათა გამო: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ა. ტ-შვილის და დ. ლ-შვილის სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა: ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 15.12.06წ. #2-58 და 28.12.06წ. #2-73 ბრძანებების, ასევე ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიის 28.12.06წ. დასკვნის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება. გასაჩივრებული #2-73 ბრძანებით ა. ტ-შვილი გათავისუფლდა სრული პროფესორის აკადემიური თანამდებობიდან, #2-58 ბრძანება საფუძველზე იგი გათავისუფლდა ასევე რექტორის მოადგილის თანამდებობიდან. 2-58 ბრძანება საფუძველად დაედო, აგრეთვე, დ. ლ-შვილის უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან გათავისუფლებას. პალატამ აღნიშნა, რომ გორის რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი ზემოაღნიშნული ბრძანებები, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, საკითხი მოსარჩელეთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს არ გადაუწყვეტია და მისი კვლავ განხილვა

ახალი აქტების გამოცემით დაავალა ცხინვალის უნივერსიტეტს. სამოქალაქო საქმეთა პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ რაიონული სასამართლოს 22.07.07წ. განჩინებით ა. ტ-შვილისა და დ. ლ-შვილის განცხადების საფუძველზე სასამართლომ განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიერ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გაირკვევა, ითვლებიან თუ არა ა. ტ-შვილი და დ. ლ-შვილი უნივერსიტეტის თანამშრომლებად. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა და მისი განმარტების შესახებ განჩინებით, მოსარჩელები სამსახურში აღდგენილები არ ყოფილან, ამასთან გადაწყვეტილება მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებული არ არის და იგი აღნიშნულ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში, შესაბამისად, სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმება არ წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანს. გორის რაიონული სასამართლოს 20.06.07წ. გადაწყვეტილება მხოლოდ #2-58 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში იქნა გასაჩივრებული მოპასუხე უნივერსიტეტის მიერ. ამდენად, სააპელაციო საჩივრის ფარგლებში, სააპელაციო პალატის განხილვის საგანს წარმოადგენს აქტის გამოცემისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დაცვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სამართალურთიერთობა ემყარებოდა საჯარო კანონმდებლობას, რაც ადასტურებდა საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ სსიპ "გორის უნივერსიტეტის" (სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის" უფლებამონაცვლის) სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციულ სასამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

განსახილველ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგანს შეადგენდა სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 15.12.06წ. #2-58 და 28.12.06წ. #2-73 ბრძანებები, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიის 28.12.06წ. დასკვნა, სამსახურში აღდგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება. გორის რაიონული სასამართლოს 20.06.07წ. გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, დავის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის" 15.12.06წ. #2-58 და 28.12.06წ. #2-73 ბრძანებები, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კომისიის 28.12.06წ. დასკვნა და მოპასუხეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დაევალა. აღნიშნული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაასაჩივრა სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტმა", კერძოდ, სსიპ "ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის" 15.12.06წ. #2-58 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, რომლითაც დ. ლ-შვილი გათავისუფლდა პედაგოგიური ფაკულტეტის უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან, ხოლო ა. ტ-შვილი რექტორის მოადგილის თანამდებობიდან, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სადავო ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და არც მოცემული დავა არ არის თავისი შინაარსით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე, აპელანტი სსიპ "გორის უნივერსიტეტი" წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანე-

ბა, მათ შორის, ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის მხოლოდ ის ბრძანება, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და იწვევს სამართლებრივ შედეგს. განსახილველ შემთხვევაში სსიპ "გორის უნივერსიტეტის" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 15.12.06წ. #2-58 ბრძანებით, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული რეორგანიზაციის გამო, პედაგოგიური ფაკულტეტის უფროსი ბიბლიოთეკარი დ. ლ-შვილი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ა. ტ-შვილი რექტორის მოადგილის თანამდებობიდან. ის გარემოება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტია და, იმავდროულად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოდ უნდა იქნეს მიჩნეული, არ ადასტურებს სსიპ თანამშრომლის მიმართ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ნორმების გამოყენების საჭიროებას. მითითებული კანონის პრეამბულაში განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო, კერძოდ, აღნიშნული კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალიში საჯარო სამართლის იურიდიული პირი (საქართველოს ეროვნული ბანკის გარდა) გათვალისწინებული არ არის. მოსარჩელეთა მიერ დაკავებული თანამდებობები არ არის მითითებული აგრეთვე არც საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. #286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. ამასთანავე, ა. ტ-შვილისა და დ. ლ-შვილის სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უტოლდება საჯარო მოსამსახურეებს და არ წესრიგდება "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონით. ამდენად, ა. ტ-შვილი და დ. ლ-შვილი ვერ ჩაითვლებიან საჯარო მოსამსახურეებად და, შესაბამისად, მათი სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება არ უნდა იქნეს მიჩნეული "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 127-ე მუხლში მითითებულ ადმინისტრაციულ აქტად.

საკასაციო სასამართლო შრომის კოდექსის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე განმარტავს, რომ ა. ტ-შვილისა და დ. ლ-შვილის სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს კერძო სამართლის კანონმდებლობა - შრომის კოდექსი, რომელიც არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ წესრიგდება სხვა სპეციალური კანონით. სადავო ბრძანებაში "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების განსაზღვრისა და საქართველოს პრეზიდენტის ზოგიერთი ბრძანებულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 08.06.05წ. #473 ბრძანებულების მითითება არ ცვლის განსახილველი დავის ხასიათს. მითითებული აქტი არ აწესრიგებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლების წესს ან პროცედურას. აღნიშნული აქტის სადავო ბრძანებაში მითითებული ნორმა, კერძოდ, მე-2 მუხლის "თ" ქვეპუნქტი ადგენს, რომ სსიპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის მოვალეობის შემსრულებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურში იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს. ამდენად, ხსენებული ნორმა ვერ ზემოქმედებს განსახილველი დავის დარგობრივი განსჯადობის საკითხზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია.

ის გარემოება, რომ აპელანტის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 12.12.06წ. #2-58 ბრძანების ნაწილში, რომლითაც ა. ტ-შვილი გათავისუფლდა პრორექტორის თანამდებობიდან, ხოლო დ. ლ-შვილი მთავარი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან, არ ადასტურებს გადაწყვეტილების იმ ნაწილში ძალაში შესვლას, რომლითაც ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტს (საქართველოს მთავრობის 22.08.07წ. #176 დადგენილების თანახმად, ამჟამად მის უფლებამონაცვლეს სსიპ "გორის უნი-

ვერსიტეტს“) დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა. ტ-შვილის უნივერსიტეტის პრორექტორის თანამდებობიდან, ხოლო დ. ლ-შვილის მთავარი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 15.12.06წ. #2-58 ბრძანების საფუძველზე ა. ტ-შვილი გათავისუფლდა პრორექტორის თანამდებობიდან, ხოლო დ. ლ-შვილი უფროსი ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან, ბრძანება სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე ბათილად იქნა ცნობილი, აღნიშნული გულისხმობს ადმინისტრაციის მიერ ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შემდეგ ახალი აქტის გამოცემას, სადავო აქტის ბათილად ცნობა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ ახალი აქტის გამოცემა ლოგიკურად უწყვეტ კავშირში იმყოფება, ამდენად გადაწყვეტილების სხენებული ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში სააპელაციო წესით გასაჩივრება თავისთავად გულისხმობს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გასაჩივრებასაც, რომლითაც უნივერსიტეტს დაევალა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა და ახალი აქტის გამოცემა პრორექტორის და მთავარი ბიბლიოთეკარის სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაშია შესული 15.12.06წ. #2-73 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში, რომლითაც ა. ტ-შვილი გათავისუფლდა უნივერსიტეტის პროფესორის აკადემიური თანამდებობიდან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო წყვეტს განსჯადობის შესახებ სასამართლოებს შორის დავას, საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ისეთი საქმის განსჯადობაზე დავას, რომელთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება უკვე შესულია კანონიერ ძალაში. ამდენად, ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება 15.12.06წ. #2-73 ბრძანების ნაწილში უკვე შესულია კანონიერ ძალაში, არ განაპირობებს გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის საგნობრივ განსჯადობას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ “გორის უნივერსიტეტის” (სსიპ “ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის” უფლებამოსიან ცვლის) სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-180-176(გ-08)

17 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 21 ოქტომბერს ქედის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს “ქედის საკონსერვო ქარხანამ”.

განმცხადებელმა განმარტა, რომ შპს “ქედის საკონსერვო ქარხანაში” შექმნილი იყო მძიმე ფინანსური მდგომარეობა, საწარმოს გააჩნდა 1 094 665 ლარის კრედიტორული დავალიანება. საწარმო 2000 წლიდან არ ფუნქციონირებდა, რის გამოც არ ჰქონდა აღნიშნული დავალიანებების და-

ფარვის საშუალება. საწარმოში არსებობდა "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საფუძველს, კერძოდ, გადახდის უუნარობასა და ზედა-ვალიანებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" გაკოტრების საქმის წარმოება.

ქედის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 მარტის განჩინებით გაიხსნა შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" გაკოტრების საქმის წარმოება; შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" დირექტორს -ზ. გ-ძეს აეკრძალა საზოგადოების ქონების განკარგვისა და მართვის უფლება; გაკოტრების მმართველად დაინიშნა ს. შ-ძე.

2006 წლის 6 აპრილს ქედის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართა ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ და გაკოტრების ტაბულაში ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მოთხოვნის -სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 47 963,46 ლარის გადახდის შეყვანა მოითხოვა.

ქედის რაიონული სასამართლოს მიერ ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექცია შეყვანილ იქნა შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" გაკოტრების ტაბულაში.

2007 წლის 7 ივნისს შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" გაკოტრების მმართველმა ს. შ-ძემ განცხადებით მიმართა ქედის რაიონულ სასამართლოს.

განმცხადებელმა განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გამოცხადებული აუქციონის შედეგად, 2007 წლის მაისში 35000 ლარად გაიყიდა ქედის საკონსერვო ქარხნის შენობა მიწის ნაკვეთთან ერთად. თანხის ნაწილი -22 000 ლარი ჩაირიცხა საგადასახადო ინსპექციის წინაშე არსებული დავალიანების დასაფარავად, დანარჩენი -13 000 ლარი კი მიმართულ იქნა კრედიტორებზე სახელფასო დავალიანებების, საქმის წარმოების ხარჯებისა და გაკოტრების მმართველის გასამრჯელოს დასაფარავად. მიუხედავად იმისა, რომ ნაგებობა გაყიდული იყო, მყიდველმა ვერ შეძლო უძრავი ნივთის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, იმის გამო, რომ უძრავი ქონება დაყდადებული იყო აჭარის საგადასახადო ინსპექციის წინაშე არსებული დავალიანების გადაუხდელობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა ყადაღისაგან უძრავი ნივთის, კერძოდ, ქედის საკონსერვო ქარხნის გათავისუფლება.

ქედის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით "ქედის საკონსერვო ქარხნის" გაკოტრების მმართველის -ს. შ-ძის განცხადება დაკმაყოფილდა; ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" მიმართ გაკოტრების საქმის გახსნამდე, ე.ი. 2006 წლის 13 მარტამდე გამოყენებული ყველა სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიება.

ქედის რაიონულმა სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი: 2005 წლის 23 აგვისტოს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ შპს "ქედის საკონსერვო ქარხანას" დაედო ყადაღა საგადასახადო ინსპექციის წინაშე არსებული 45 794 ლარის დავარვის უზრუნველსაყოფად; 2005 წლის 21 ოქტომბერს შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" დირექტორმა ზ. გ-ძემ მოითხოვა გაკოტრების საქმის გახსნა; 2006 წლის 13 მარტს ქედის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განჩინება შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ; დასახელებული განჩინების მე-8 პუნქტის თანახმად, გაკოტრების საქმის გახსნისთანავე ძალას კარგავდა შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" მიმართ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები. ამავე განჩინების მე-9 პუნქტის თანახმად, აჭარის სააღსრულებო ბიუროს დაევალა იძულებითი სააღსრულებო წარმოებები შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" მიმართ გადაეცა ქედის რაიონული სასამართლოსათვის "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული განჩინებით, ფაქტობრივად გაუქმდა შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" მიმართ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, მათ შორის, ბათუმის საგადასახადო ინსპექციის, როგორც ერთ-ერთი კრედიტორის, სასარგებლოდ გამოყენებული იძულებითი აღსრულების ღონისძიება.

ქედის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 11 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ბათუმის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივარი ქედის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინებაზე

განსჯადობის წესით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით, სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილებოდა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის, არსებითი და გადამწყვეტი იყო სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი -დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. პალატის მოსაზრებით, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის თაობაზე, რამდენად კანონშესაბამისი იყო განმცხადებლის მოთხოვნა -ყადაღისა და საგადასახადო გირავნობისგან შენობის გათავისუფლების თაობაზე, რაც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, სახელდობრ, საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარეობდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 27 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივარი, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეზღვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ ქედის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 მარტის განჩინებით გაისხნა შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" გაკოტრების საქმის წარმოება; ორგანიზაციის ქონებას საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო დაედო ყადაღა, რის შესახებაც გაეზღვნა შეტყობინება 2005 წლის 23 აგვისტოს.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნებოდა, რადგანაც შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" მიმართ გახსნილი იყო გაკოტრების საქმის წარმოება, ხოლო დავის საგანს წარმოადგენდა გაკოტრების მასაში შემავალი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-5 მუხლის თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოება მოიცავდა და გაკოტრების მასას წარმოადგენდა ვალაუფალი მოვალის ქონება, რომელიც მას ეკუთვნოდა საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის. სასამართლომ აღნიშნა, რომ შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" უძრავ ქონებას, ყადაღად ედო 2006 წლის 13 მარტისათვის, ანუ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის. ზემოთ მითითებული კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, სასამართლოში გაკოტრების საქმის წარმოებისას გამოიყენებოდა ამ კანონით დადგენილი ნორმები. სამოქალაქო საპროცესო ნორმა კი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონით დადგენილი არ იყო შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ვინაიდან დავის საგანს წარმოადგენდა გაკოტრების მასაში შემავალი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, ამიტომ მოცემული დავა განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" კანონისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივარი ქედის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინებაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად დავას წარმოადგენს და განსახილველად მას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. დასახელებული მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, კანონით სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვა. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის (1996 წლის რედაქცია) მე-3 მუხლის მიხედვით, გაკოტრების საქმეს, მიუხედავად მოვალის ქონების ღირებულებისა და კრედიტორების მოთხოვნის ოდენობისა, განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო (გაკოტრების სასამართლო) მოვალის საცხოვრებელი ადგილის ან მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. იმავე კანონის მე-4 მუხლით, გაკოტრების სასამართლოში საქმის წარმოებისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები. სამოქალაქო საპროცესო ნორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონით

დადგენილი არ არის შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. სამოქალაქო საპროცესო ნორმების გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ კანონის მიზნებს. "გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონი (28.03.2007წ. კანონი), რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონი, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, აღნიშნული კანონი არეგულირებს "მეწარმეთა შესახებ" კანონის შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების, სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუნარობის საკითხს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლიც იძლევა სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ ქედის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 13 მარტის განჩინებით შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" დირექტორის განცხადების საფუძველზე გაიხსნა შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" გაკოტრების საქმის წარმოება. აღნიშნული განჩინებით გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალა დაკარგა შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" წინააღმდეგ ცალკეულ კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებულმა, მაგრამ დაუსრულებელმა იძულებითმა ღონისძიებებმა; საკასაციო სასამართლოს ასევე დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 6 აპრილის განცხადების საფუძველზე ქედის რაიონული სასამართლოს მიერ ბათუმის საგადასახადო ინსპექცია შეყვანილ იქნა შპს "ქედის საკონსერვო ქარხნის" გაკოტრების ტაბულაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევსათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სამოქალაქო საქმეთა პალატას კერძო საჩივრის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სამოქალაქო საქმე, რის გამოც იგი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მოცემული დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, კერძო საჩივარი აღძრულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მხარეები ერთმანეთთან კერძო-სამართლებრივ ურთიერთობაში არიან და მათი ურთიერთობაც პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობაა. კონკრეტულ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორი ითხოვს ქედის რაიონული სასამართლოს განჩინების გაუქმებას, რომლითაც ძალადაკარგულად იქნა მიჩნეული შპს

“ქედის საკონსერვო ქარხნის” მიმართ გაკოტრების საქმის გახსნამდე, ე.ი. 2006 წლის 13 მარტამდე გამოყენებული ყველა სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია “გაკოტრების საქმეთა წარმოების” შესახებ საქართველოს კანონის ნორმებზე და დავის საგანს წარმოადგენს შპს “ქედის საკონსერვო ქარხნის”, როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის მიმართ გაკოტრების საქმის გახსნამდე გამოყენებული ყველა სახის იძულებითი აღსრულების ღონისძიების გაუქმება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯა-დია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ. ბათუმის საგადასახადო ინსპექციის კერძო საჩივრის გამო ქედის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინებაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-177-173(გ-08)

30 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ლ. ფ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის წარმომოხილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ფ-შვილმა 22.05.07წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ნოტარიუს მ. მ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხის მიერ 13.03.07წ. გამოცემული სანოტარო მოქმედების შესრულებაზე (სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე) უარის თქმის შესახებ #3 და #4 დადგენილებების გაუქმება და მოპასუხისათვის მოსარჩელის შვილის -გ. ფ-შვილისა და მეუღლის ბ. ვ-ევის ქონებაზე ზოგადი სახის სამკვიდრო მოწმობის სრულად გაცემა მოითხოვა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ ცხოვრობდა ... მას. მე-2 მ/რ, კორპ. 47, ბ. 12-ში. 01.07.06წ. გარდაეცვალა შვილი გ. ფ-შვილი, ხოლო 04.07.06წ. -მეუღლე ბ. ვ-ევი. ლ. ფ-შვილის აწ გარდაცვლილი მეუღლე და შვილი მასთან ერთად ცხოვრობდნენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

ლ. ფ-შვილმა განცხადებით მიმართა მოპასუხეს ნოტარიუს მ. მ-შვილს (მისამართზე ქ. თბილისი, ... “ა” მ/რ, კორპ. 53) მემკვიდრეობის მისაღებად. შესაბამისად მის მიერ წარდგენილ იქნა მემკვიდრეობის მისაღებად ყველა საჭირო დოკუმენტაცია. მემკვიდრეობის გარდაცვალებიდან 6 თვის განმავლობაში სსკ-ის 1421-ე და 1425-ე მუხლების თანახმად სამკვიდროს მისაღებად არ მიუმართავს არც ერთ მემკვიდრეს. ექვსი თვის შემდეგ ლ. ფ-შვილმა მოითხოვა

სამკვიდრო მოწმობების გაცემა, მაგრამ 13.03.07წ. მოპასუხის მიერ სამკვიდროს მოწმობების გაცემაზე #3-ს და #4-ს დადგენილებით ეთქვა უარი. უარის თქმის საფუძველად მითითებულია შემდეგი: #4 დადგენილებით უარი ეთქვა ლ. ფ-შვილის გარდაცვლილი შვილის -გ. ფ-შვილის ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გასაცემად, რადგან მას სურს, სამკვიდრო მოწმობა გაიცეს მხოლოდ მასზე სრულად და არ იქნეს გათვალისწინებული კანონიერი მემკვიდრეები; მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში იყო შეუსაბამობა, რის გამოც შეუძლებელია მემკვიდრეთა წრის დადგენა. #3 დადგენილებაში ასევე მითითებულია, რომ ლ. ფ-შვილის გარდაცვლილი მეუღლის ბ. ვ-ევის ქონებაზე ეთქვას უარი, რადგან მას სურს სამკვიდრო მოწმობა გაიცეს მხოლოდ მასზე სრულად და არ იქნეს გათვალისწინებული კანონიერი მემკვიდრეები. #4 დადგენილებაში უარის თქმის მოტივად მითითებულია მემკვიდრესა და მამკვიდრებლის დოკუმენტაციაში შეუსაბამობა, რაც შეუძლებელს ქმნის მემკვიდრეთა წრის დადგენას. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მის მიერ წარდგენილ იქნა დაბადების, გარდაცვალების მოწმობები და ცნობა სამისამართო ბიუროდან, რომლებიც ცხადყოფდა რომ ლ. ფ-შვილი იყო გ. ფ-შვილის დედა და ცხოვრობდნენ ერთ მისამართზე, ანუ სამკვიდროს გახსნის დროისთვის მან ფაქტობრივი ფლობით უკვე მიიღო სამკვიდრო. სამოქალაქო კოდექსის თანახმად, 6 თვის განმავლობაში არავის არ მიუმართავს ნოტარიუსისათვის სამკვიდროს მისაღებად და შესაბამისად, არც ფაქტობრივი ფლობით მიუღიათ მემკვიდრეობა, ამდენად ნოტარიუსი ვალდებული იყო გაეხსნა სამკვიდრო ლ. ფ-შვილზე. რაც შეეხება ბ. ვ-ევის, წარდგენილ იქნა გარდაცვალების მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ასევე ცნობა სამისამართო ბიუროდან, რაც ცხადყოფდა, რომ ლ. ფ-შვილი იყო ბ. ვ-ევის მეუღლე. მისი მემკვიდრეობის მისაღებად კანონმდებლობით დადგენილ ვადებში არავის მიუმართავს ნოტარიუსისთვის და შესაბამისად, ნოტარიუსი ასევე ვალდებული იყო, გაეცა სამკვიდრო მოწმობა. ნოტარიუსი თავს არიდებდა სამკვიდროს გახსნას, რადგან სამკვიდრო მოწმობის მიღებაზე უარის თქმის საფუძველები იყო მისი მოთხოვნა, "სამკვიდრო მოწმობა გაიცეს მხოლოდ მასზე სრულად და არ იქნეს გათვალისწინებული კ/მემკვიდრეები". ნოტარიუსის დადგენილებით, სხვა კანონიერ მემკვიდრეებს უარი ეთქვათ ბ. ვ-ევისა და გ. ფ-შვილის ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ საფუძველით, რომ მათ სამოქალაქო კოდექსით დადგენილ 6-თვიანი ვადაში არ მიუმართავთ განცხადებით და არ იყო დადგენილი ნათესაური კავშირი. აღნიშნული, მოსარჩელის მოსაზრებით, გაუგებარს ხდის მოწმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს და ადასტურებს ნოტარიუსის ტენდენციურობას. რ. ფ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით. სასამართლომ 16.04.07წ. განჩინებით უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე და მიუთითა, რომ საქმე უნდა განხილულიყო ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 10.09.07წ. განჩინებით ლ. ფ-შვილის სარჩელი ნოტარიუს მ. მ-შვილის 13.03.07წ. #3 და #4 დადგენილებების ბათილად ცნობისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალების თაობაზე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ "რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 14.11.97წ. #649 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 12.04.05წ. #213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შექმნილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელშიც შეიქმნა სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები -ადმინისტრაციულ საქმეთა, სამოქალაქო საქმეთა და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიები. "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. სასამართლომ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებების ბათილად ცნობა და მოპასუხის დავალდებულება სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე. მართალია, "ნოტარიატის შესახებ" კანონით დადგენილია, რომ ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას, ამასთან "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" დებულება განსაზღვრავს, რომ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერების თაობაზე წარმოდგენილი სარჩელი ექვემდებარება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრებას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებული ნოტარიუსის მიერ გამოცემული დადგენილება არ პასუხობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ვინაიდან იგი არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველ-

ზე, არამედ მისი გამოცემის საფუძველი გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ დავის საგანი არსებითად არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, იგი განსახილველად უნდა გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის საფუძველზე. სასამართლომ მიუთითა, რომ, ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე განსჯადობის წესის დაუცველობის გამო, ამდენად არ არსებობდა მოცემულ საქმეზე განსჯადობაზე დავის დაწყების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 08.02.08წ. განჩინებით ლ. ფ-შვილის სარჩელი ნოტარიუს მ. მ-შვილის მიმართ, 13.03.07წ. #3 და #4 დადგენილებების გაუქმებისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალდებულების თაობაზე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რის შესახებაც ეცნობათ მხარეებს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგინდად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ნოტარიუს მ. მ-შვილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გაუქმება და ნოტარიუსის დავალდებულება შეასრულოს სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი მოქმედება. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა არ გამომდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რადგან მოსარჩელე არ ითხოვდა არც სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას, არც სამკვიდროს გაყოფას და არც კერძო სამართლიდან გამომდინარე, რაიმე სხვა საკითხს აყენებდა, რის გამოც დავა არ შეიძლებოდა განხილულიყო სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად. "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. იმავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ამდენად, ნოტარიუსის საქმიანობა სახელმწიფოებრივი, ანუ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებად მიიჩნევა და შესაბამისად, მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებას ექვემდებარება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-7.3 მუხლის თანახმად, ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილსამყოფლის მიხედვით, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხე ნოტარიუს მ. მ-შვილის დავალდებულება კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელება წარმოადგენდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მიანიშნებდა მოცემული დავის საჯარო სამართლებრივ ხასიათზე და მისი გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისათვის დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ფ-შვილის სარჩელი ნოტარიუს მ. მ-შვილის მიმართ, 13.03.07წ. #3 და #4 დადგენილებების გაუქმებისა და სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალდებულების თაობაზე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ფ-შვილის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ფორმალური თვალსაზრისით სანოტარო მოქმედების მეშვეობით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას "ნოტარიატის შესახებ" კანონის საფუძველზე. ამასთანავე, დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ნოტარიუსის მოქმედების სადავოობის დროს სარჩელის განსჯადობის საკითხის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სანოტარო მოქმედების შინაარსის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში იმას თუ რა უდევს საფუძველად "კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნის თაობაზე უარის თქმის შესახებ" ნოტარიუსის დადგენილებებს -კერძო თუ საჯარო სამართლის კანონმდებლობა.

განსახილველ საქმეზე ლ. ფ-შვილის სარჩელის საგანია სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის მიერ მიღებული დადგენილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალება. "ნოტარიატის შესახებ" კანონის 54-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსი უფლებამოსილია, უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს ან სამართლებრივ აქტებს. ნოტარიუსის უარი თავისთავად არ განაპირობებს განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნებას. ფორმალური თვალსაზრისით სანოტარო მოქმედების მეშვეობით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას "ნოტარიატის შესახებ" კანონის საფუძველზე. ამასთანავე, დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. ნოტარიუსის სადავო დადგენილებებით სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია სამკვიდრო მოწმობის გაცემამდე სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე კანონიერ მემკვიდრეთა წრის დადგენის აუცილებლობა. ამდენად, ნოტარიუსის სადავო დადგენილებების კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს, სწორად არის თუ არა ნოტარიუსის მიერ გამოყენებული და განმარტებული მოსარჩელესთან მიმართებაში სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ნოტარიუსის უარი ემყარება სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებს, საქმის განმხილველმა სასამართლომ მემკვიდრეობითი სამართლის ნორმათა საფუძველზე უნდა დაადგინოს სადავო ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი და აღნიშნულის გათვალისწინებით შეამოწმოს ნოტარიუსის სადავო დადგენილებების მართლზომიერება, რაც გადამწყვეტია დავის საგნობრივი განსჯადობის დასადგენად. აღნიშნული უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამართალწარმოების, სახელდობრ სამოქალაქო სამართალწარმოების მეშვეობით. სასამართლოს ამ შემთხვევაში არ სჭირდება ნოტარიუსის უარის შინაარსის შეფასება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

ის გარემოება, რომ "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის დადგენილებას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად განიხილავს, არ განაპირობებს მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნული ნორმა უნდა განიმარტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ ნორმასთან ურთიერთკავშირში, კერძოდ, სზაკ-ის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტთან ერთად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტი. ამდენად, "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის მხოლოდ ის დადგენილება ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის დადგენილება ემყარება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს და აქედან გამომდინარე, მისი კანონიერება სამოქალაქო სამართალწარმოების წესების გამოყენებით უნდა დადგინდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიიჩნევს, რომ მოცემული დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის

კანონმდებლობიდან, იგი წარმოადგენს სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და ასკ-ის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად უნდა გადაეგზავნოს უფლებამოსილ სასამართლოს -თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ფ-შვილის სარჩელი მოპასუხე ნოტარიუს მ. მ-შვილის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1064-1017(გ-07) 2 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

უპირი მოსმენის გარეშე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

11.12.06წ. შპს "ლილი და კომპანიის" გენერალურმა დირექტორმა მ. კ-მემ სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს მიერ "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" 25.06.96წ. კანონის მე-5 და მე-20 მუხლების შესაბამისად, სასამართლოსათვის დაბრუნებული სააღსრულებო ფურცლების სააღსრულებო ბიუროსათვის უკანვე დაბრუნება. მოსარჩელემ განმარტა, რომ ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროში მოსარჩელის სასარგებლოდ წარმოებაში იყო შემდეგი ექვსი სააღსრულებო ფურცელი: 1) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 15.03.99წ. გაცემული სააღსრულებო ფურცელი #3/92; 2) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მიერ 21.02.06წ. გაცემული სააღსრულებო ფურცელი #3/93; 3) რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 13.03.03წ. გაცემული სააღსრულებო ფურცელი #1/15-00. აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი გაიცა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 24.02.00წ. განჩინების საფუძველზე, რომლითაც დამტკიცდა სს "აზოტსა" და შპს "ლილი და კომპანიას" შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, ხელშეკრულების საფუძველზე შპს "ლილი და კომპანიამ" შეიძინა სს "აზოტის" ქონება, რომელიც 20.06.2000წ. სს "აზოტმა" ბალანსიდან მოხსნა და გადასცა შპს "ლილი და კომპანიას"; 4) შპს "ლილი და კომპანიამ" ვინდიკაციური სარჩელით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს რეაბილიტაციის რეჟიმში მყოფი სს "აზოტის" უკანონო ფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ სსკ-ის 172-ე და "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის 20.1 მუხლების საფუძველზე. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 05.05.04წ. გადაწყვეტილებით ვინდიკაციური სარჩელი დაკმაყოფილდა და საქალაქო სასამართლომ 10.05.04წ. გასცა სააღსრულებო ფურცელი #2ა-153-04; 5) რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 21.07.04წ. გაცემული სააღსრულებო ფურცელი #2ა-154-04 და 6) რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ 02.09.05წ. გაცემული სააღსრულებო ფურცელი #45-04. შპს "ლილი და კომპანიის" გენერალური დირექტორის განმარტებით, ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურომ სააღსრულებო ფურცლების სასამართლოსათვის დაბრუნებით დაარღვია "გაკოტრების საქმის

წარმოების შესახებ” კანონის მოთხოვნები. “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” კანონის მე-5 მუხლით დადგენილია, რომ გაკოტრების საქმის წარმოება მოიცავს მოვალის ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის საქართველოში და საზღვარგარეთ, იმ ნივთებისა და მოთხოვნების გამოკლებით, რომლებიც საკანონმდებლო აქტებით იძულებით აღსრულებას არ ექვემდებარება (გაკოტრების მასა). ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურომ სააღსრულებო ფურცლები კანონის დარღვევით გადასცა სასამართლოს, ვინაიდან “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” კანონის მე-13 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის მოთხოვნა ეხება ზემოაღნიშნული კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრულ ქონებას. მოსარჩელის განმარტებით, სს “აზოტის” გაკოტრების მასაში არ შედიოდა ის ქონება, რომელზეც რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული იყო სააღსრულებო ფურცლები.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 17.01.07წ. საოქმო განჩინებით საქმეში მოპასუხედ ჩაბმულ იქნა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო.

მოსარჩელემ 01.02.07წ. სასამართლო სხდომაზე უარი თქვა სასარჩელო მოთხოვნის ნაწილზე, კერძოდ სააღსრულებო ფურცლის #2ა-154-04 სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნებზე, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.03.99წ. და 21.02.06წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის #3/93 სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნების ნაწილში მოთხოვნა გამოიხმო სარჩელზე უარის თქმის გარეშე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 05.02.07წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის მოთხოვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 15.03.99წ. და 21.02.06წ. გაცემული სააღსრულებო ფურცლის #3/93 ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნების თაობაზე განმცხადებლის მიერ მოთხოვნის გამოხმობის გამო დარჩა განუხილველი; განმცხადებლის მოთხოვნა #2-154 სააღსრულებო ფურცლის სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნების თაობაზე შეწყდა განმცხადებლის მიერ მოთხოვნაზე უარის თქმის გამო; #1/15, #2-153, #45 სააღსრულებო ფურცლების ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სასამართლომ დაადგინა, რომ ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს 27.09.06წ. მიმართვით “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” კანონის 13.3. მუხლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს დაუბრუნდა ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო ფურცლები #3/93, #1/15, #2-153 და #45. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლების თანახმად მოვალეს წარმოადგენდა სს “აზოტი”. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სს “აზოტის” მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 06.06.05წ. განჩინებით, სააღსრულებო ფურცლები კი გაცემული იყო გაკოტრების საქმის გახსნამდე. “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” კანონის 7.4 მუხლის შესაბამისად, გაკოტრების განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ განჩინებით შეჩერდება მოვალის წინააღმდეგ დაწყებული იძულებითი აღსრულების ყველა ღონისძიება. ამავე კანონის 13.3 მუხლის შესაბამისად გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისთანავე ძალას კარგავს ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეული კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი აღსრულების ღონისძიებები და იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცემა გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურომ “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” კანონის 13.3 მუხლის მოთხოვნათა დაცვით დაუბრუნა სადავო სააღსრულებო ფურცლები გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ სააღსრულებო ფურცლებით გათვალისწინებული ქონება არ შედიოდა გაკოტრების მასაში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს “ლილი და კომპანის” გენერალურმა დირექტორმა. აპელანტმა მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება და #1/15, #2ა-153 და #45 სააღსრულებო ფურცლების ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნება. აპელანტის განმარტებით, სს “აზოტში” 24.05.01წ. გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 18.03.03წ. განჩინებით დამტკიცდა სს “აზოტის” კრედიტორთა კრების გადაწყვეტილება - სს “აზოტის” რეაბილიტაციის მმართველის განთავისუფლებისა და ახალი რეაბილიტაციის მმართველის დანიშვნის შესახებ. საქალაქო სასამართლომ არასწორად დაადგინა გარემოება, რომ სს “აზოტში” გაკოტრების საქმის წარმოება გაიხსნა 06.06.05წ., აპელანტის განმარტებით, სს “აზოტში” გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე შპს “ლილი და კომპანის” იურიდიულად ქონება საკუთრებაში ქონდა მიღებული, ანუ სადავო ქონება სს “აზოტის” საკუთრებიდან გამოსული იყო და იგი ამიტომაც არ შედიოდა გაკოტრების მასაში. აპელანტმა ასევე არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა, სადავო ქონება შედიოდა თუ არა სს “აზოტის” გაკოტრების მასაში. აპელანტმა აღნიშნა, რომ “გაკოტრე-

ბის საქმეთა წარმოების შესახებ” კანონის თანახმად, გაკოტრების საქმის წარმოება მოიცავს ვალაუ-
ვალი მოვალის ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის საქმის წარმოების გახსნის მომენტისათვის, ხოლო
სადავო ქონება მას არ ეკუთვნის, რასაც ადასტურებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა საფუძველ-
ზე გაცემული სააღსრულებო ფურცლები, რუსთავის საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს ამონა-
წერი და თბილისის საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს ამონაწერი. ამდენად, ქონება სს “აზო-
ტის” გაკოტრების მასაში არ იყო შესული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.09.07წ. განჩინებით
საქმე განსჯადობის წესით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-
მინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოების მიერ სამოქალაქო სა-
მართალწარმოების წესით განიხილება პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებ-
რივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობები. დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევი-
სათვის უმთავრესია, თუ რომელი კანონმდებლობიდან გამომდინარეობს დავა, რა არის დავის არ-
სი და საგანი, ვინ არიან მოდავე მხარეები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის
მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა
სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, ან დაწესებულება, საჯარო სამარ-
თლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე, ნე-
ბისმიერი სხვა პირი, რომელიც ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. მოცემულ
შემთხვევაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს 17.01.07წ. საოქმო განჩინებით მოპასუხედ ჩაბ-
მულ იქნა ადმინისტრაციულ ორგანო – ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიურო. სააპელაციო პალა-
ტის მითითებით, აპელანტი #1/15, #2ა-153 და #45 სააღსრულებო ფურცლების ქვემო ქართლის
სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნების მოთხოვნით ასაჩივრებდა ქვემო ქართლის სააღსრულებო
ბიუროს მოქმედებას, რაც, სააპელაციო პალატის აზრით, წარმოადგენს ადმინისტრაციული დავის-
თვის დამახასიათებელ მეორე ნიშანს – დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს
ვალდებულება ქმედების განხორციელების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა 22.11.07წ. განჩინე-
ბით არ დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას
აღნიშნული საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის თაობაზე და წამოიწყო რა დავა გან-
სჯადობის შესახებ, სააპელაციო საჩივარი თანდართულ მასალებთან ერთად განსჯადობის საკითხის
გადასაწყვეტად გადაუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ
მოცემულ შემთხვევაში როგორც სარჩელის, ასევე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებ-
რივი საფუძველები მთლიანად გამომდინარეობდა “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” კანონი-
დან (მე-5, 7.4, 13.3, მე-20 მუხლები), რომელიც კერძო სამართლის კანონმდებლობის ნაწილს
წარმოადგენს. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული სამართალურთიერთობა სამოქალაქო ურთი-
ერთობებიდან წარმოშობილი დავაა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 მუხლის თანახმად,
იგი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. დავაში ადმინისტრაციული
ორგანოს მხოლოდ მონაწილეობა არ არის საკმარისი დავის ადმინისტრაციული წესით განსახილვე-
ლად მიჩნევისათვის, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინა-
არსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებით უნდა
მოწესრიგდეს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. სადავო სამართალურთიერთობა წესრიგდება სა-
მოქალაქო კანონმდებლობით – “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” კანონით. შესაბამისად,
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში უფლებამოსილ (განსჯად) სა-
სამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასა-
მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-
ლაქო საქმეთა პალატის მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს “ლილი და კომპანი-
ას” გენერალური დირექტორის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქა-
ლაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველი დავის საგანია #1/15, #2-153 და #45 სააღსრულებო ფურცლების ქვემო ქარ-
თლის სააღსრულებო ბიუროსათვის დაბრუნება. სასარჩელო განცხადების, ასევე, სააპელაციო წე-
სით გასაჩივრებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძ-
ვლები ემყარება “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” კანონის ნორმებს. აპელანტი თავის
მოთხოვნას ამყარებს იმ გარემოებას, რომ სადავო ქონება წარმოადგენს აპელანტის საკუთრებას და
სს “აზოტის” გაკოტრების მასაში არ შედის. “გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ” კანონის

13.3 მუხლით დადგენილია, რომ ვალაუვალი მოვალის წინააღმდეგ ცალკეული კრედიტორთა სასარგებლოდ დაწყებული, მაგრამ დაუსრულებელი იძულებითი სააღსრულებო წარმოება გადაეცემა გაკოტრების საქმის განმხილველ სასამართლოს. ამავე კანონით არის განსაზღვრული გაკოტრების მასის მოცულობა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობს "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონიდან, რომელიც კერძო სამართლის კანონმდებლობის სფეროს განეკუთვნება. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვას ადასტურებს, აგრეთვე, "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონიდან წამოშობილ საქმეთა განხილვის კანონმდებლობით დადგენილი პროცესუალური წესი, რომლის თანახმად, სასამართლო სამართალწარმოებას ახორციელებს ამავე კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე. კერძოდ, "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-4 მუხლი ადგენს, რომ სასამართლოში გაკოტრების საქმის წარმოებისას გამოიყენება ამ კანონით დადგენილი ნორმები, სამოქალაქო საპროცესო ნორმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კანონით შესაბამისი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა დადგენილი არ არის. სსკ-ის 1.1 მუხლის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოები ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით განიხილავენ სამოქალაქო საქმეებს. "გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის მე-4 მუხლის იდენტურ ნორმას შეიცავს აგრეთვე "გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ" კანონის მე-5 მუხლი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განსახილველი საქმე ასკ-ის 2.1 "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ასკ-ის მე-2 მუხლის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები. სადავო სამართალურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა არ ქმნის საქმის ადმინისტრაციული წესით განხილვის საფუძველს. საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ის, რომ სადავო სამართალურთიერთობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს. განსახილველ შემთხვევაში დავა კერძო სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, შესაბამისად მოქმედების შესრულების მოთხოვნას საფუძველად უდევს კერძო და არა საჯარო სამართლის კანონმდებლობა, რის გამოც იგი განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს "ლილი და კომპანიის" გენერალური დირექტორის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს "ლილი და კომპანიის" გენერალური დირექტორის მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

საქმე #ბს-335-323(გ-08) 13 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წვეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალა-

ქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, (საქმეზე ც. მ-იასა და გ. ქ-ანის წარმომადგენლის -რ. ს-შვილის სარჩელის გამო, მოპასუხის -სსიპ ახალციხის ინსტიტუტის მიმართ).

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ც. მ-იამ და გ. ქ-ანმა სარჩელი აღძრეს ახალციხის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე -სსიპ ახალციხის ინსტიტუტის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება, შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელეთა განმარტებით, სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მ/შ-ის 2007 წლის 21 სექტემბრის #01/7 ბრძანებით, "თსუ მესხეთის ფილიალის ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ", ერთდროულად გათავისუფლდა 114 მოსამსახურე, მათ შორის, #1 დანართის მიხედვით #49 და #69 ნომრებით მოხსენიებული გ. ქ-ანი და ც. მ-ია. ბრძანების მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის #161 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, გამოეყო მესხეთის ფილიალი და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი -სსიპ ახალციხის ინსტიტუტი. მოსარჩელეთა მოსაზრებით, სადავო ბრძანება მიღებულია შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი ნორმების დარღვევით, კერძოდ, გასაჩივრებული ბრძანებით არ დგინდება, კონკრეტულად, რა გახდა მათი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.

2007 წლის 31 ოქტომბერს მოპასუხე -სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მ/შ თ. გ-შვილმა შეამდგომლობით მიმართა რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა საქმის განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, იმ მოტივით, რომ დავის საგანი -სსიპ ახალციხის ინსტიტუტის 2007 წლის 21 სექტემბრის ბრძანება #01/7, არ იყო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან იგი არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რასაც ითვალისწინებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "დ" მუხლი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 2 ნოემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით დაექვემდებარა უფლებამოსილ სასამართლოს -ახალციხის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლოს დასკვნით, სადავო ბრძანება არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ასკ-ის 2. "დ" მუხლის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი. სადავო ბრძანება კი არ წარმოადგენდა არც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და თავისი შინაარსით არც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის დავას, ვინაიდან იგი გამოცემული იყო კერძო სამართლებრივ საფუძველებზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 13 თებერვლის განჩინებით ც. მ-იასა და გ. ქ-ანის წარმომადგენლის -რ. ს-შვილის საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს -თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ასკ-ის 2.1. მუხლი და განმარტა, რომ ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. კონკრეტულ შემთხვევაში, სსიპ ახალციხის ინსტიტუტი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს და კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მოსარჩელეს მოთხოვნას წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მიერ გამოცემული ბრძანების შეჩერება, რომელიც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მოცემული სამართალურ-თიერთობა განეკუთვნებოდა იმ დავათა კატეგორიას, რომელთა განხილვაც უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციული საპროცესო ნორმებით დადგენილი წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 მარტის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ადმი-

ნისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე კოდექსის 2.2. მუხლი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის არსებობა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

სასამართლოს დასკვნით, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზაკ-ის 2.1."ა" მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება, მათ შორის ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ზაკ-ის 2.2. "დ" მუხლით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის პრეამბულაში განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო, კერძოდ, აღნიშნული კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძველებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კანონის 2.2. მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი გათვალისწინებული არ არის. ამდენად, მოსარჩელის თანამდებობა, როგორც საჯარო მოხელისა, არ არის გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. ამასთან, მოსარჩელის თანამდებობა, რომელიც არ განეკუთვნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელ თანამდებობას, არც ფუნქციურად შეიძლება გაუთანაბრდეს საჯარო მოსამსახურეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ც. მ-იასა და გ. ქ-ანის წარმომადგენლის -რ. ს-შვილის სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა დავის სამოქალაქოდ მიჩნევის თაობაზე და იგი გაზიარებულ უნდა იქნეს.

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმე-

ებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას, ხოლო ამავე კანონის 9.1. მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სსიპ ახალციხის ინსტიტუტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება -წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.2. "დ" მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 2.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის ახალციხის ინსტიტუტის საქმიანობა ვერ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, როგორც ამ ნუსხაში არმყოფი დაწესებულება.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. ბრძანებულების შესაბამისად (რომლითაც დამტკიცდა რანგირების მიხედვით საჯარო სამსახურის თანამდებობათა თანდართული რეესტრი), განმარტავს, რომ მოსარჩელეთა თანამდებობა, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, იგი ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ც. მ-იასა და გ. ქ-ანის სსიპ ახალციხის ინსტიტუტიდან გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას არ გამოიყენება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელნი არ წარმოადგენენ მითითებული კანონის სუბიექტს, ხოლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 14.2 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, მოცემულ შემთხვევაში - "შრომის კანონთა კოდექსით".

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელმა განსაზღვრა რა საჯარო მოხელის სტატუსი, ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის საფუძვლები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი იძენს ამგვარ სტატუსს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი ნებისმიერ შემთხვევაში ასრულებს არა საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას, არამედ ის ყველა შემთხვევაში განიხილება როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, რამდენადაც კანონმდებელმა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრა საჯარო მოსამსახურის ცნება, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. ამდენად, კანონმდებლობით განისაზღვრა ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი იძენს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, რა დროსაც ის ნებისმიერ შემთხვევაში ასრულებს საჯარო უფლებამოსილებას, ხოლო იმ პირობებში, როცა პირი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით რეგლამენტირებულ ამგვარ სტატუსს, ის განიხილება როგორც კერძო სამართლის სუბიექტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ყველა შემთხვევაში, რამდენადაც პირის მიერ დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და თვისობრივი დატვირთვის გამო საჯარო მოხელესთან გაიგივება, იმ პირობებში, როცა ის "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლში რეგლამენტირებულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციამი არ თავსდება, დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ც. მ-ისა და გ. ქ-ანის სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეწყდა კერძოსამართლებრივი, შრომითი ურთიერთობა ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოსა და მეორე მხრივ - ფიზიკურ პირებს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნია სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს, რამდენადაც სწორედ მითითებული კერძო სამართლის კანონმდებლობა არეგულირებს საქართველოში მცხოვრებ მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან (მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) შრომის კანონთა კოდექსის 1.1.1. მუხლის თანახმად.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ, სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, სსს კოდექსის 11.1. "ა" მუხლის მიხედვით: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა და მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ამდენად, ის გარემოება, რომ სარჩელი აღძრულია მოპასუხე -სსიპ ახალციხის ინსტიტუტის - ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიიჩნევა საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიკუთვნების წინაპირობად, ხოლო ის ფაქტი, რომ დავის საგანს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანება, არ ნიშნავს, რომ გასაჩივრებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, ასეთად მიჩნევისათვის აუცილებელია ოთხი ელემენტის არსებობა.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებას (ადმინისტრაციულ საქმეზე #ბს-713-300(კ-05), ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე თელავის რ-ნის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ, განმარტავს შემდეგს, რომ:

"ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო -ადმინისტრაციული აქტის ავტორი;

2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;

3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.

4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმება შემდეგი ელემენტი: "აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს" / მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან.

შრომის კანონთა კოდექსის 19.2. მუხლის მიხედვით, სამუშაოზე მიღება ფორმდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებები რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობით არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ კერძოსამართლებრივი საკანონმდებლო აქტის -შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე, ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

შრომის კანონთა კოდექსის ზემომითითებული ნორმით სამუშაოზე მიღების ადმინისტრაციის ბრძანების ფორმის დადგენა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ გადაწყვეტილების მიღების ამ ფორმას კანონმდებელი განაკუთვნებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო და საჯარო სამართლის დოქტრინის შესაბამისად, შრომის კანონთა კოდექსი არ განეკუთვნება საჯაროსამართლებრივ საკანონმდებლო აქტს, შესაბამისად, იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და მის საფუძველზე გამოცემული აქტები არ შეიცავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს -აქტი არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებლის მიერ საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება უზრუნველყოფილ იქნა საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით -"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით, რომლის მიხედვით საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს მკაფიოდ განესაზღვრა საქმიანობის ფორმები, როგორც სამართლებრივი აქტის, ასევე ხელშეკრულების /იხ. მუხლი მე-7/ სახით, საჯარო სამსახურში ბრძანების გამოცემით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შედეგათების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის, ხოლო დავის წარმოშობის პირობებში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის დანაწესის მიხედვით, როგორც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავა ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განხილვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ვერ ექნება ადგილი, ვინაიდან სადავო ბრძანება გამოცემულია კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი მართლზომიერების შემოწმების უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სამოქალაქო სასამართლო, სსსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია (როგორც საჯარო, ისე, კერძო სამართლის იურიდიული პირები) ადმინისტრირებისას, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებისას არცთუ იშვიათად იყენებს ბრძანებას, როგორც გადაწყვეტილების ფორმას, რაც არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას გაგებული, როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ვინაიდან ამგვარი იურისდიქცია მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს გააჩნიათ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი -დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ც. მ-იას და გ. ქ-ანის სარჩელი მოპასუხე -სსიპ ახალციხის ინსტიტუტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-309-301(23-08) 5 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ცისკაძე

სარჩელის საგანი: სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2004 წლის 2 აგვისტოს ჯ. ვ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" მიმართ, ხოლო მესამე პირად მიუთითა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის პროფესიულ კავშირზე.

მოსარჩელის განმარტებით, იგი 2004 წლის 5 ივლისამდე იყო სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თანამშრომელი, რომელიც სამსახურში აყვანილი იყო განუსაზღვრელი ვადით. სსიპ "საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 2 ივლისის #515-კ ბრძანებით 2004 წლის 5 ივლისიდან ჯ. ვ-მე გაათავისუფლეს სამსახურიდან. აღნიშნული ბრძანების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი, ხოლო შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად -2004 წლის 30 ივნისის აქტი, რომელიც შედგენილი იყო იმის თაობაზე, რომ სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" საინფორმაციო პროგრამების გაერთიანება "მოამბის" პროგრამა "ჩვენი მისამართიას" მუშაკს -ჯ. ვ-მეს გასაცნობად გადაეცა წერილი ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელების თაობაზე და შრომის ხელშეკრულება -ხელმოსაწერად, რასაც იგი არ დეთანხმა და უარი განაცხადა ხელის მოწერაზე მაშინ, როდესაც არავითარი წერილი ახალ პირობებში მუშაობის შესახებ მისთვის არ გადაუციათ.

მოსარჩელის მტკიცებით, სამსახურიდან მისი გათავისუფლება მოხდა სრულიად უკანონოდ, რადგან შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი იყო საწარმოო აუცილებლობის ან სამუშაო რეჟიმის შეცვლის გამო, სხვა სამუშაოზე გადაყვანისას მუშაკის უარი. ამ შემთხვევაში კი, აღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული არც ერთი პირობა არ არსებულა. საწარმოო აუცილებლობის შემთხვევაში მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანას არეგულირებდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 27-ე მუხლი. ამ მუხლის მე-2 ნაწილში ამომწურავად იყო ჩამოთვლილი საწარმოო აუცილებლობის შემთხვევები, რომელთაგან არც ერთი არ შეესაბამებოდა მოცემულ შემთხვევას. ამასთან, საწარმოო აუცილებლობისას გათვალისწინებული იყო მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანა დროებით, არა უმეტეს ერთი თვის ვადისა, რაც ამ შემთხვევაში ასევე არ მომხდარა. სამუშაო რეჟიმის შეცვლის შემთხვევებს კი არეგულირებდა აღნიშნული კოდექსის 26-ე მუხლი, რომლის მე-3 ნაწილიც განსაზღვრავდა, თუ რა ჩაითვლებოდა შრომის არსებითი პირობების შეცვლად. ამ შემთხვევაში მსგავსი არაფერი მომხდარა. მოსარჩელეს შესთავაზეს უვადო ხელშეკრულებიდან ერთთვიან ხელშეკრულებაზე გადასვლა, რაც იყო ერთადერთი სიახლე. ხელშეკრულების ვადა კი, არც მოქმედი კანონმდებლობის და არც საღი აზრის მიხედვით, არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო შრომის არსებით პირობად. ხელშეკრულების ვადა იყო არა შრომის პირობა, არამედ - შრომის პირობებზე მხარეთა შეთანხმების ხანგრძლივობა. მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ ყოფილა არც სხვა სამუშაოზე გადაყვანა. მოსარჩელეს შესთავაზეს იმავე სამუშაოს გაგრძელება იმავე თანამდებობრივი სტატუსით, რაც მანამდე ჰქონდა. ამდენად, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა საჯარო სამართლის იურიდიული პირი "საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 2 ივლისის #515-კ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე, კერძოდ, პროგრამა "ჩვენი მისამართიას" ხელმძღვანელად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის გამო, დათხოვნის დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის - თვეში 35 ლარის ანაზღაურების მოპასუხისთვის დაკისრება და მისი სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით ჯ. ვ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ჯ. ვ-მე 2004 წლის 5 ივლისამდე იყო სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თანამშრომელი და სამსახურში მიღებული იყო შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დაიდო განუსაზღვრელი ვადით. საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის განკარგულებისა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1996 წლის 11 სექტემბრის #დ(96)10 რეკომენდაციების საფუძველზე, 2004 წლის 23 მარტს სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარემ გამოსცა #89-კ ბრძანება და სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" მართვის სრულყოფისა და საკადრო ოპტიმიზაციის, ინსტიტუციური და ფუნქციონალური რეფორმების განხორციელების უზრუნველსაყოფად გამოაცხადა რეორგანიზაციის (სტრუქტურული ცვლილებები და სხვა) განხორციელების დასაწყისი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად. იმავე ბრძანებით კადრების სამმართველოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს დაევალიათ საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობებინათ მუშაკებისათვის წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში ცვლილებებთან დაკავშირებით, მოსალოდნელი შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ. აღნიშნული ბრძანება კანონით დადგენილი წესით გაეცნო მოსარჩელეს, რასაც ადასტურებდა ამ ბრძანების გაცნობის შესახებ წერილზე მის მიერ განხორციელებული მინაწერი. 2004 წლის 28 ივნისს მოსარჩელეს წარედგინა #3691 შრომითი კონტრაქტი, რომლითაც განისაზღვრა ახალი შრომითი პირობები, რაც გამოიხატა უვადო შრომითი ურთიერთობებიდან ვადიან შრომით კონტრაქტზე გადასვლით, შრომის ანაზღაურების - ხელფასის მომატებით, ასევე, ახალი პირობები შრომითი ურთიერთობებისას ადმინისტრაციასა და მუშაკის უფლებებსა და მოვალეობებში და მოსარჩელეს მიეცა განმარტება, რომ თუ თანახმა არ იქნებოდა ახალ შრომით პირობებში მუშაობის გაგრძელებაზე, ადმინისტრაცია შეწყვეტდა მასთან ურთიერთობას შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე. აღნიშნული გაფრთხილება მოსარჩელეს ჩაჰბარდა პირადად, თუმცა მან მასზე ხელმოწერაზე უარი განაცხადა, არ დაეთანხმა მას, რის თაობაზეც შედგა სათანადო აქტი და 2004 წლის 2 ივლისის #515-კ ბრძანების საფუძველზე, 2004 წლის 5 ივლისიდან გათავისუფლდა სამუშაოდან საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის სამსახურიდან დათხოვნისათვის აუცილებელი იყო პროფკავშირის თანხმობა, რის გამოც დაირღვა მოქმედი შრომის კანონმდებლობა. შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) მოშლა იკრძალებოდა, თუ არ იყო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირის თანხმობა. იმავე კოდექსის 34-ე მუხლი განსაზღვრავდა, თუ რა შემთხვევაში ხდებოდა შრომის ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტა ადმინისტრაციის მხრიდან, რისთვისაც საჭირო იყო პროფკავშირთან შეთანხმება. ამ შემთხვევაში მოსარჩელე გაათავისუფლეს არა შრომის კანონთა კოდექსის 34-ე მუხლით, არამედ, ამ კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით, რისთვისაც საჭირო არ იყო პროფკავშირის წინასწარი თანხმობა.

თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ვ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 25 თებერვლის საოქმო განჩინებით მოცემულ საქმეში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მესამე პირად ჩაება საქართველოს სპორტის, კულტურისა და ტურიზმის პროფესიული კავშირი.

თბილისის საოლქო სასამართლოში საქმის განხილვისას ჯ. ვ-მემ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა და დამატებით მოითხოვა მიუღებელი ჰონორარის ანაზღაურება 18506,57 ლარის ოდენობით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით ჯ. ვ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ჯ. ვ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის, ისევე, როგორც სარჩელის ძირითად მოტივებს წარმოადგენდა მითითება ჯ. ვ-მის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლის - შრომის არსებითი პირობების შეცვლის არარსებობასა და გათავისუფლების პროცედურის - მისი წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობის დარღვევაზე. სააპელაციო სასამართლო სრულად დაეთანხმა ამ გარემოებათა შეფასებისას რაიონული სასამართლოს დასკვნებს.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ "საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის #89-კ ბრძანებით დადგინდა შრომის არსებითი პირობების შეცვლა, რაც გამოიხატა განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებიდან ერთთვიანი კონტრაქტების სისტემაზე გადასვლაში.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შრომითი ხელშეკრულების ვადა, თავისი ბუნებით, მის არსებით პირობას განეკუთვნებოდა, რადგანაც მასზე იყო დამოკიდებული ხელშეკრულების მხარეთა ყველა უფლება-მოვალეობის არსებობა. შეიცვალა რა სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" მუშაკებთან, მათ შორის, ჯ. ვ-მესთან დადებული შრომითი ხელშეკრულების ვადა, ამით არსებითად შეიცვალა მისი შრომის პირობები და შესაბამისად, წარმოშობილ ურთიერთობებზე გავრცელდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი რეგულამენტაცია. მართალია, იმავე მუხლის მე-3 ნაწილში შრომის არსებითი პირობების კონკრეტულ ჩამონათვალში ვადა არ იყო დასახელებული, მაგრამ იგი მხოლოდ პირობითი და არა ამომწურავი ხასიათის იყო. მოცემულ საქმეში წარმოდგენილი იყო კადრების სამმართველოს უფროსის შესაბამისი წერილი და შრომის ხელშეკრულება (კონტრაქტი), რომლებიც წარედგინა მოსარჩელეს, ხოლო მათ გაცნობაზე მან უარი განაცხადა, რაც მითითებული იყო შესაბამის აქტში, ამიტომ აპელანტის მითითება სამუშაოდან მისი წინასწარი გაფრთხილების გარეშე გათავისუფლების შესახებ, არ დასტურდებოდა საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ასევე აპელანტის მითითება მისი სამუშაოდან გათავისუფლებისას შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლით დადგენილი პროფკავშირის სავალდებულო თანხმობის არარსებობის თაობაზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მას ამგვარი დასკვნის საფუძველს აძლევდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლით დადგენილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველების შეჯერება დასახელებული მუხლის ნორმასთან. შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლში მუშაკის გათავისუფლების დამოუკიდებელ საფუძველებად იყო მითითებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ადმინისტრაციის ინიციატივით (34-ე მუხლი) და სამუშაო რეჟიმის შეცვლის გამო სხვა სამუშაოზე გადაყვანაზე მუშაკის უარი (26-ე მუხლი).

იმავე კოდექსის 37-ე მუხლის საფუძველზე მუშაკის გათავისუფლებისას პროფკავშირის თანხმობა სავალდებულო იყო მხოლოდ პირველი მათგანით, ანუ 34-ე მუხლით და არა ამ კოდექსის 30-ე მუხლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას. აღნიშნულს არ ეწინააღმდეგებოდა "პროფესიული კავშირების შესახებ" კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი პროფკავშირული კომიტეტის წევრის ან ორგანოს თანხმობის გარეშე გათავისუფლების დაუშვებლობა. ხსენებული აკრძალვა უპირობო არ იყო და იგი დაკავშირებული იყო კანონმდებლობით დაშვებულ შემთხვევებთან. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოადგენდა სწორედ პროფკავშირული კომიტეტის თანხმობის გარეშე მუშაკის გათავისუფლების კანონმდებლობით დაშვებულ შემთხვევას, რაც დასტურდებოდა კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის თავმჯდომარის 2004 წლის 7 ივლისის #59/06 და 2004 წლის 2 აგვისტოს #71/06 წერილებით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა ჯ. ვ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2005 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ჯ. ვ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ ჯ. ვ-მე 2004 წლის 5 ივლისამდე მუშაობდა სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობაში". სსიპ "საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 2 ივლისის #515-კ ბრძანებით ჯ. ვ-მე გათავისუფლდა სამსახურიდან შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად. მის გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ჯ. ვ-მის უარი ერთთვიან საკონტრაქტო პირობებში სამუშაოს გაგრძელებაზე. ხსენებული სადავო ბრძანების გამოცემას წინ უძღოდა სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის #89-კ ბრძანება "სსიპ "საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობაში" რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ", რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის #236 განკარგულების შესაბამისად, მიზნად ისახავდა ტელერადიომაუწყებლობის მართვის სრულყოფასა და საკადრო ოპტიმიზაციას ფუნქციონალური რეფორმების განხორციელების გზით.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია რა, რომ კასატორმა უარი თქვა ახალ პირობებში შრომითი ურთიერთობის გაგრძელებაზე, ჩათვალა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მხრიდან დაცული იყო ჯ. ვ-მის სამსახურიდან დათხოვნისას შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 30-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მუშაკის სამსახურიდან დათხოვნა ამ კოდექსის 30-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დასაშვებია იყო, თუ შეუძლებელი იყო შენარჩუნებულიყო ადრინდელი შრომის არსებითი პირობები, ხოლო მუშაკი თანახმა არ იყო, გაეგრძელებინა მუშაობა ახალ პირობებში. ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილი არსებითი პირობების შეცვლას უკავშირებდა იმავე სპეციალობით, კვალიფიკაციით ან იმავე თანამდებობაზე მუშაობის გაგრძელებას. რაც შეეხებოდა არსებითი პირობების ისეთ შეცვლას, რასაც თან სდევდა ანაზღაურების სისტემისა და ოდენობის, მუშაობის რეჟიმისა და სხვა ხასიათის ცვლილებები, იმავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საჭირო იყო მუშაკისთვის ეცნობებინათ არა უგვიანეს ორი თვისა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იქედან გამომდინარე, რომ ერთთვიან საკონტრაქტო პირობებზე გადასვლით, სახეზე იყო კასატორის სამუშაო პირობების არსებითი ხასიათის გაუარესება, საჭირო იყო გარკვეულიყო, შეესაბამებოდა თუ არა კასატორის გათავისუფლება შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და თუ შეესაბამებოდა, ეცნობა თუ არა აღნიშნულის თაობაზე კასატორს კანონით დადგენილ ორთვიან ვადაში. საკასაციო სასამართლომ ასევე საჭიროდ მიიჩნია, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დადგენილი და გამოკვლეული ყოფილიყო, არსებობდა თუ არა გათავისუფლების მომენტში ის სამუშაო ადგილი, რომელიც კასატორს ეკავა და ასეთ შემთხვევაში, იყო თუ არა შრომითი პირობების შენარჩუნების შესაძლებლობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ჯ. ვ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ჯ. ვ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ "საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობის"

თავმჯდომარის 2004 წლის 4 ივლისის ბრძანება პროგრამა "ჩვენი მისამართიას" ხელმძღვანელის - ჯ. ვ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ მისი ძალაში შესვლის დღიდან; ჯ. ვ-ძეს აუნაზღაურდა გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობის შედეგად მიყენებული ზიანი - იძულებითი განაცდური მისი საშუალო თვიური ხელფასის -1542,21 ლარის ოდენობით, სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან -2004 წლის 5 ივლისიდან იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე; სასარჩელო მოთხოვნები პროგრამა "ჩვენი მისამართიას" ხელმძღვანელად აღდგენისა და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის არსებობა, კერძოდ, ის გარემოება, რომ "სსიპ საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში" რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ" სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის #89-კ ბრძანებით დადგინდა შრომის არსებითი პირობების შეცვლა, რაც გამოიხატა განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებებიდან ერთთვიანი ვადით დადებულ კონტრაქტების სისტემაზე გადასვლაში, ხოლო ჯ. ვ-ძის უარი ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელების შესახებ, შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 30-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენდა მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამგვარი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციაც ამ კატეგორიის საქმეებზე და მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 იანვრის #ბს-825-791(2კ-05) განჩინებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმავდროულად, სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" მიერ დაირღვა ზემოთ დასახელებული საფუძვლით მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი პროცედურა. შრომის არსებითი პირობების შეცვლის გამო მუშაკის გათავისუფლების შემთხვევებში, დადგენილი იყო გათავისუფლების უფრო რთული პროცედურა. კანონმა დაადგინა მისი წინასწარი გაფრთხილების ვადა შრომის არსებითი პირობების შეცვლის თაობაზე და გაფრთხილების ვადა მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ. აღნიშნული დასტურდებოდა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი ნორმების ანალიზითაც. ხსენებული კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენდა მხოლოდ შრომის არსებითი პირობების შეცვლის თაობაზე მუშაკის გაფრთხილების ვადას -ორ თვეს. შრომითი ურთიერთობების ახალ პირობებში გაგრძელებაზე მუშაკის უარის იურიდიული შედეგები განსაზღვრული იყო იმავე კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილით, რომელიც, თავისი შინაარსით, მიუთითებდა ამ კოდექსის 30-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტზე, მაგრამ აღნიშნული ნორმა წარმოადგენდა რა მუშაკის გათავისუფლების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, არ შეიცავდა მითითებას ამგვარი შედეგის დადგომის წინაპირობაზე -მუშაკის წინასწარ გაფრთხილებაზე და შესაბამის ვადაზე. იგი მოცემული იყო დასახელებული კოდექსის 42² მუხლის პირველ ნაწილში და შეადგენდა ერთ თვეს.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ დაცული იყო შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილი -მოსალოდნელი შრომის არსებითი პირობების შეცვლის შესახებ მოსარჩელე გაფრთხილებული იყო 2 თვით ადრე, მაგრამ სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობამ" დაარღვია შრომის კანონთა კოდექსის 42² მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი გათავისუფლების თაობაზე მუშაკის წინასწარი გაფრთხილების ერთთვიანი ვადა. მოსარჩელის გაფრთხილების შესახებ საქმეში არსებული ხელწერილი დათარიღებული იყო 28 ივნისით, ხოლო სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანება გამოცემული -2004 წლის 2 ივლისს.

სააპელაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია გასაჩივრებული აქტი და აღნიშნა, რომ იმავდროულად, იგი მოკლებული იყო პირვანდელ თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ მოსარჩელემ უარი განაცხადა შრომის ახალ, ერთთვიანი საკონტრაქტო სისტემის პირობებში მუშაობაზე. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2005 წლის 15 დეკემბრის #4206/01 წერილით კი დგინდებოდა, რომ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მთელი კოლექტივი გადასული იყო ერთთვიანი შრომითი ხელშეკრულებით მუშაობის სისტემაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის საფუძველზე, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ პირს უნაზღაურდებოდა იძულებითი განაცდური. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 8 ივლისის #535-კ ბრძანების ბათილად ცნობა წარმოადგენდა მოსარჩელისათვის ხსენებული ბრძანების გამოცემის დღიდან იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საშუალო თვიური ხელფასის ოდენობით იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ჯ. ვ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული

გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, კერძოდ, იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მისი სასარჩელო მოთხოვნა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ამ ნაწილშიც დაკმაყოფილება.

კასატორის განმარტებით, თანამდებობაზე მისი აღდგენის შეუძლებლობის მთავარ არგუმენტად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია ის გარემოება, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მთელი კოლექტივი გადასული იყო ერთთვისანი შრომითი ხელშეკრულებით მუშაობის სისტემაზე და მოსარჩელემ სწორედ შრომის ასეთ ერთთვისან საკონტრაქტო სისტემის პირობებში მუშაობაზე განაცხადა უარი. კასატორი აღნიშნავს, რომ ასეთ სისტემაზე იგი ვერც უარს განაცხადებდა და ვერც თანხმობას, რადგან რაიმე ახალი სისტემის პირობების შესახებ მისთვის არაფერი იყო ცნობილი, იმდენად, რამდენადაც სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის #89-კ ბრძანებით მას შეატყობინეს მხოლოდ შრომის პირობების მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, 2004 წლის 28 ივნისს კი, მოულოდნელად შესთავაზეს ერთთვისანი შრომითი კონტრაქტი, რაზეც მან ხელი არ მოაწერა. ამდენად, კასატორმა უარი განაცხადა არა რაიმე სისტემაზე, რის შესახებაც არაფერი იცოდა, არამედ მისი მდგომარეობის რადიკალურად გამაუარესებელ, ერთთვისან კონტრაქტზე, რომელსაც არავითარი განმარტება არ ჰქონდა დართული, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული უეცარი, ერთთვისანი კონტრაქტის შეთავაზება მისთვის, როგორც შემოქმედისათვის ან რა იქნებოდა ერთი თვის შემდეგ, ანუ ერთთვისანი კონტრაქტი მხოლოდ ერთჯერადი შემოთავაზება იყო, ამიტომ, სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ, თითქოს ჯ. ვ-ძემ უარი განაცხადა შრომის ახალი ერთთვისანი საკონტრაქტო სისტემით მუშაობის პირობებზე, ვერ გამოდგება მის საწინააღმდეგო არგუმენტად, ისევე, როგორც სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2005 წლის 15 დეკემბრის წერილი მთელი კოლექტივის ერთთვისანი შრომითი ხელშეკრულებით მუშაობის სისტემაზე გადასვლის თაობაზე. წერილი არ არის დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება შეიცვალოს ან დაწესდეს ახალი შრომითი ურთიერთობების წესი და პირობები, ასეთი წერილის, ისევე, როგორც რაიმე დოკუმენტის არსებობა კი კასატორისთვის უცნობია, რადგან არც წერილი და არც რაიმე დოკუმენტი ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, არ ყოფილა წარმოდგენილი არც ერთ სასამართლოში და არც რაიმე მსჯელობა გამართულა მათ თაობაზე.

კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გამოერკვია, თუ რამ გამოიწვია ერთთვისანი შრომითი კონტრაქტების აუცილებლობა, მით უმეტეს, არა დროებით და არა ცალკეული პირებისათვის, არამედ მთელი კოლექტივისათვის. სააპელაციო სასამართლოს დაუშვებლად უნდა მიეჩნია ასეთი სისტემის არსებობა იმ ორგანიზაციაში, რომელიც არის არა კერძო საწარმო ერთთვისანი და ერთდღიანი სამუშაოებით, არამედ -მაუწყებლობა, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სადაც იქმნება არა მხოლოდ ინფორმაციული, ერთჯერადი, არამედ სხვადასხვა სახის მრავალჯერადი გადაცემები, გადაცემათა ციკლები წლების განმავლობაში და სადაც დაუშვებელია ერთთვისანი შემოქმედებითი საქმიანობის დამკვიდრება. გამოდის, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელმა“ ყოველთვის უნდა გაუგრძელოს კონტრაქტი არაერთთვისან გადაცემათა შემქმნელებს, რაც სრულიად მიუღებელია.

კასატორის განმარტებით, იგი ყოველთვის და მათ შორის, გასაჩივრებული ბრძანების შედგენის დროსაც თანამდებობაზე დანიშნული იყო ბრძანებით, განუსაზღვრელი ვადით, ადმინისტრაციასთან არასოდეს ჰქონია კერძო სამართლებრივი ურთიერთობა, არასოდეს გაფორმებულა მათ შორის შრომითი კონტრაქტი და მიუხედავად ამისა, შრომითი ურთიერთობა მასთან შეწყვეტეს შრომითი კონტრაქტის, ანუ არარსებული კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველზე, რასაც ადასტურებს თვითონ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“. გასაჩივრებული ბრძანებით კასატორის სამსახურიდან გათავისუფლება აშკარად საფუძველს მოკლებულია. საკასაციო სასამართლომ 2005 წლის 21 სექტემბრის განჩინებაში მიუთითა, რომ უნდა გამოკვლეულიყო, არსებობდა თუ არა ჯ. ვ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების მომენტში ის სამუშაო ადგილი, რომელიც კასატორს ეკავა და ასეთ შემთხვევაში, იყო თუ არა შრომითი პირობების შენარჩუნების შესაძლებლობა. კასატორის მტკიცებით, იმ მომენტში არათუ არსებობდა მისი სამუშაო ადგილი, არამედ უფრო მეტიც, 2004 წლის 4 ივლისს მან პირადად წაიყვანა ეთერში მისი საავტორო გადაცემა „ჩვენი მისამართია“, ხოლო აღნიშნულამდე ორი დღით ადრე -2004 წლის 2 ივლისს უკვე შედგენილი იყო გასაჩივრებული არაკანონიერი ბრძანება. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს მიერ ზემოხსენებულ განჩინებაში დასმულ მეორე საკითხს, შრომის პირობები იყო გაცილებით მაღალი ხარისხის და შეუდარებლად მაღალი ანაზღაურებით, ტექნიკურად ფორმაშეცვლილი მისი გადაცემა კი, სახელწოდებით -„მედიატორი“, ერთი წლის განმავლობაში მიჰყავდა სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობაში“ სხვა პირს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა ასევე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელმა“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იმ ნაწილში გაუქმება, რომლითაც დაკმა-

ყოფილდა ჯ. ვ-მის სასარჩელო მოთხოვნები გასაჩივრებული ბრძანების ბათილად ცნობისა და მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის -იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის ამ ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ჯ. ვ-მის სარჩელი, არის უკანონო და იურიდიულად დაუსაბუთებელი. შესაბამისად, ხსენებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში უნდა გაუქმდეს.

კასატორი მოცემული დავის განსჯადობასთან დაკავშირებით, მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 10 ივლისის #ბს-132-123(კ-07) განჩინებაზე, რომლითაც დადგინდა, რომ სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობასა" და მის ყოფილ თანამშრომლებს შორის არსებული შრომით-სამართლებრივი დავა არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის დავას და შესაბამისად, სამუშაოდან მათი გათავისუფლების ბრძანების კანონიერება უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში. ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია არაგანსჯადი სასამართლოს მიერ, რაც წარმოადგენს გასაჩივრებულ ნაწილში მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად.

კასატორი გასაჩივრებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობის შესახებ აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მიუთითა იმის თაობაზე, რომ ამ შემთხვევაში სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" მიერ დაცული იყო შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები და შესაბამისად, იმავე კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომის არსებითად ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელებაზე მუშაკის უარი წარმოადგენდა მასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს, რითაც სააპელაციო სასამართლომ აღიარა, რომ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის 2004 წლის 2 ივლისის #515-კ ბრძანება არ ეწინააღმდეგებოდა კანონს და მისი მიღებისას ადმინისტრაციის მხრიდან სრულად იქნა დაცული ხსენებული კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები. თუმცა, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დასახელებული საფუძვლით, ანუ ხსენებული მუხლების შესაბამისად შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, მოპასუხე ადმინისტრაციას უნდა დაეცვა შრომის კანონთა კოდექსის 42² მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მუშაკის წინასწარ გაფრთხილების ერთთვიანი ვადა, რაც მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს.

კასატორის მტკიცებით, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42² მუხლის პირველი ნაწილი, რის გამოც სახეზეა კანონის უხეში დარღვევა. სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ თავმჯდომარის სადავო ბრძანებით ჯ. ვ-მე სამუშაოდან გათავისუფლდა შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ასეთ შემთხვევებზე კი არანაირად არ ვრცელდება ხსენებული მუხლის მოთხოვნები. აღნიშნული გამომდინარეობს იმავე კოდექსის 42² მუხლის პირველი ნაწილისა და III თავის შინაარსიდან. საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მუშები და მოსამსახურეები შეიძლება გათავისუფლებული ყოფილიყვნენ საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან მათი საქმიანობის შეწყვეტის, ანუ ლიკვიდაციის, მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების გამო, ხოლო ამ კოდექსის 42² და 42³ მუხლებში მოცემული იყო ის პროცედურები და გარანტიები, რომლებიც დაცული უნდა ყოფილიყო ამ საფუძველებით მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების დროს. აქედან გამომდინარე, ხსენებული კოდექსის აღნიშნულ თავში მოცემული დებულებების ლოგიკური და სიტყვასიტყვითი განმარტებით ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად ირკვევა, რომ მოსალოდნელი გათავისუფლების შესახებ ერთი თვით ადრე მუშაკის გაფრთხილების ვალდებულება ადმინისტრაციას მხოლოდ მაშინ ეკისრებოდა, როდესაც შრომითი ხელშეკრულება წყდებოდა ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და შესაბამისად, იმავე კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. ამ შემთხვევაში კი მოსარჩელე სამუშაოდან გათავისუფლდა შრომის ახალ პირობებში მუშაობის გაგრძელებაზე უარის თქმის გამო (შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილი) შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რაც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის დამოუკიდებელ საფუძველს წარმოადგენდა.

კასატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ზუსტად ანალოგიური კატეგორიის დავაზე საკასაციო სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის #ბს-443-424(კ-05) განჩინებით დაკმაყოფილდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. აღნიშნული განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, შრომის კანონთა კოდექსის 42² მუხლის მოქმედება არ

ვრცელდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაკი სამუშაოდან თავისუფლდებოდა იმავე კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, კერძოდ, ამ განჩინებაში აღნიშნულია, რომ შრომის კანონთა კოდექსის 42² მუხლის პირველი ნაწილის ნორმით მუშაკის წინასწარი გაფრთხილების წესი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ვრცელდებოდა იმ შემთხვევებში, როცა მუშაკი თავისუფლდებოდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტის, მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების საფუძველზე, განსახილველ შემთხვევაში კი სულ სხვა სამართალურთიერთობა იყო სახეზე, კერძოდ, შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) შეწყვეტის გზით მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლება შრომით კონტრაქტზე (ახალ პირობებზე) მუშაკის მიერ უარის თქმის გამო.

ამდენად, კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მხრიდან სახეზეა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველების ერთმანეთში არევა, ვინაიდან შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული იყო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სხვადასხვა საფუძველი. შესაბამისად, განსხვავებული იყო ის პროცედურებიც, რაც უნდა განეხორციელებინა ადმინისტრაციას აღნიშნული მუხლებით მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლებისას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა შრომის კანონთა კოდექსის 42² მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, ხოლო სააპელაციო სასამართლოს იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ დაცული იყო შრომის კანონთა კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებისა და 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით დადგენილი პირობები, არ არსებობს ჯ. ვ-ძის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სსიპ „საქტელერადიომაუწყებლობის“ სადავო ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. ამდენად, მოხდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი. გათვალისწინებული კანონის დარღვევა.

კასატორი მოსარჩელისათვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების შესახებ აღნიშნავს, რომ შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნილ და წინანდელ სამუშაოზე აღდგენილ მუშას ან მოსამსახურეს სასამართლოს გადაწყვეტილებით უნაზღაურდებოდა იძულებით გაცდენილი დროის ხელფასი დათხოვნის დღიდან. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა ხსენებული კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილი, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა იმაზე, რომ იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურება შესაძლებელი იყო მხოლოდ წინანდელ სამუშაოზე აღდგენის შემთხვევაში. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში კი აღნიშნული იყო, რომ მოსარჩელეს განაცდური ხელფასი უნდა აუნაზღაურდეს სამუშაოდან გათავისუფლებიდან იმავე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, რაც არა მარტო ეწინააღმდეგება კანონს, კერძოდ, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის პირველ ნაწილს, არამედ საერთოდ გაუგებარია, თუ რა სამართლებრივი საფუძველით იხელმძღვანელა სააპელაციო სასამართლომ. კასატორი კვლავ მიუთითებს საკასაციო სასამართლოს 2006 წლის 7 ნოემბრის #ბს-443-424(კ-05) განჩინებაზე, რომელიც აღნიშნულია, რომ შრომის კანონთა კოდექსი იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას პირდაპირ უკავშირებდა მუშაკის სამუშაოზე აღდგენას, როგორც სამართლიან კომპენსაციას, შრომითი საქმიანობიდან იძულებითი მოწყვეტის იურიდიულ შედეგს და ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნის -სამუშაოზე აღდგენის დაუკმაყოფილებლობა გამორიცხავდა თანმდევი იურიდიული შედეგის -იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჯ. ვ-ძის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის შესახებ, რის გამოც მას შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად. ასევე, არ უნდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა მისთვის იძულებით განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზეც.

კასატორის მტკიცებით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების გაიგივება ზიანის ანაზღაურებასთან. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა სწორედ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, რაც მხოლოდ მუშაკის უკანონოდ გათავისუფლებისა და სამუშაოზე აღდგენის შემთხვევაშია შესაძლებელი და არა ზიანის ანაზღაურება, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე, სულ სხვა დავის საგანს წარმოადგენს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან მხარეს (მოსარჩელეს) მიაკუთვნა ის, რაც მას არ უთხოვია.

კასატორის განმარტებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის აღნიშნული, თუ რის საფუძველზე დაადგინა სააპელაციო სასამართლოს გარემოება, რომ მოსარჩელის საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 1542,21 ლარს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია

ამასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე მუხლისა და 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნები. ამასთან, იძულებით განადგურის ხელფასის ანაზღაურება სააპელაციო სასამართლომ დაუკავშირა სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 8 ივლისის #535-კ ბრძანების ბათილად ცნობას, ასეთი აქტი კი ჯ. ვ-ძის მიმართ კასატორს საერთოდ არ გამოუცია.

ამდენად, კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 244-ე, 248-ე მუხლები და 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლებიც უნდა გამოეყენებინა, ასევე, არასწორად განმარტა შრომის კანონთა კოდექსის 207-ე მუხლი, რის გამოც მოხდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და იმავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონის დარღვევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 27 მარტისა და 2 აპრილის განჩინებებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ჯ. ვ-ძისა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივრები; მხარეებს მიეცათ უფლება, 2008 წლის 27 მარტისა და 2 აპრილის განჩინებების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში წარმოედგინათ მოსაზრება, თუ რამდენად იყო დასაშვები განსახილველად საკასაციო საჩივრები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დასაშვებობის შემოწმება განისაზღვრა 2008 წლის 22 მაისამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 მაისის განჩინებით ჯ. ვ-ძისა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით და მათი განხილვა დაინიშნა 2008 წლის 5 ივნისს, მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ჯ. ვ-ძისა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ჯ. ვ-ძე 2004 წლის 5 ივლისამდე მუშაობდა სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობაში". სსიპ "საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 2 ივლისის #515-კ ბრძანებით ჯ. ვ-ძე გათავისუფლდა სამსახურიდან შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად. ხსენებული სადავო ბრძანების გამოცემას წინ უძღოდა სსიპ "საქტელერადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 23 მარტის #89-კ ბრძანება "სსიპ "საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობაში" რეორგანიზაციის განხორციელების შესახებ", რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 22 მარტის #236 განკარგულების შესაბამისად, მიზნად ისახავდა საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მართვის სრულყოფასა და საკადრო ოპტიმიზაციას ინსტიტუციური და ფუნქციონალური რეფორმების განხორციელების გზით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ჯ. ვ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვისას საერთოდ არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან ჯ. ვ-ძის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებული საქმე ექვემდებარებოდა განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში, ანუ კონკრეტულად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები და დადგენილია, თუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია სწორედ დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში ჯ. ვ-ძესა და სსიპ "საზოგადოებრივ მათემატიკურ" შორის დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან სამსახურიდან ჯ. ვ-ძის გათავისუფლების შესახებ სსიპ "საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 2 ივლისის #515-კ ბრძანების სამართლებრივ საფუძველად მიეთითა შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე, რომლითაც რეგლამენტირებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, კერძოდ, ხსენებული ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტში მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, ანუ თუ სამართლებრივი აქტი გამოცემულია კერძო სამართლის საფუძველზე, აღნიშნული აქტი არ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამსახურიდან ჯ. ვ-ძის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლის, გათავისუფლების შესახებ სსიპ "საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 2 ივლისის #515-კ ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და არც მოცემული დავა არ არის თავისი შინაარსის მიხედვით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის დავა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავე კანონის მე-9 მუხლის (საქმიანობა) პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში. ხსენებული კანონის მე-10 მუხლის (მართვა და წარმომადგენლობა) მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში - მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებების (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზეა დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად, მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, ხოლო მე-12 მუხლში ჩამოთვლილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შემადგენელი ის ქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან თანხმობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ნორმებში ორგანულადაა ჩადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის მმართველობითი ხასიათი, ასევე, სახელმწიფო კონტროლისა და შესაბამისი სახის საქმიანობაზე ხელმძღვანელის სახელისუფლებო შეზღუდვის ელემენტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელიც "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ერთპიროვნულად უძღვება მის საქმიანობას და განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს, აღნიშნული ნიშნით განსხვავდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის მე-4 და მე-4¹ პუნქტებზე, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად) შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან განსხვავებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს - შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო). ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო აქტით, ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, აღნიშნულ ჩამონათვალში კი საერთოდ არ არის ნახსენები საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის #286 ბრძანებულებით დამტკიცებულ "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში" რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში საერთოდ არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჯ. ვ-მე, მუშაობდა რა სსიპ "საქართველოს ტელევიზიასა და რადიომაუწყებლობაში" პროგრამა "ჩვენი მისამართიას" ხელმძღვანელად, არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და შესაბამისად, მასზე ვრცელდებოდა არა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი, არამედ იმაჟამად მოქმედი შრომის კანონთა კოდექსი. ამასთან, იგი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა სსიპ "საქართველოს ტელევიზიასა და რადიო-მაუწყებლობის" თავმჯდომარის 2004 წლის 2 ივლისის #515-კ ბრძანებით, შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც ხსენებული ბრძანება წარმოადგენს კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმე წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც ჯ. ვ-მისა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს -თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ჯ. ვ-ძისა და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს -თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-581-559(გ-08)

10 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკვლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

ზეპირი განხილვის გარეშე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, /საქმეზე ბ. ფ-ძის სარჩელის გამო, მოპასუხე -გურჯაანის რ-ნის სოფ. ... საშუალო სკოლის მიმართ, III პირის -თ. მ-შვილის მონაწილეობით/.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ბ. ფ-ძემ სარჩელი აღძრა გურჯაანის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე -გურჯაანის რ-ნის სოფ. ... საშუალო სკოლის მიმართ, III პირის -თ. მ-შვილის მონაწილეობით, რომლითაც მოითხოვა ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა, შემდეგი საფუძველით:

2004 წლის 5 აპრილს მოსარჩელე დანიშნეს გურჯაანის რ-ნის სოფ. ... საშუალო სკოლაში სანიტარიის მასწავლებლად, რაც განპირობებული იყო სანიტარიის მასწავლებლის -თ. მ-შვილის სამსახურიდან თვითნებურად, სკოლის ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად წასვლით. 2004 წლის მაისის ბოლოს თ. მ-შვილი მოულოდნელად გამოცხადდა სამსახურში, რის გამოც მოსარჩელე გაათავისუფლეს სამსახურიდან, რაც, მისი აზრით, მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა, რამდენადაც მოპასუხემ დაარღვია შრომის შინაგანაწესი და არასაპატიო მიზეზით ოთხი თვე არ გამოცხადდა სამსახურში. სოფ. ... საშუალო სკოლის იმდროინდელმა ადმინისტრაციამ მის მიმართ არ გამოიყენა კანონით გათვალისწინებული ზომები. უფრო მეტიც, 2004 წლის 28 მაისს მოპასუხეს დააწერინეს ახსნა-განმარტება, დათარიღებული 2004 წლის 1 აპრილით, რითაც მოსარჩელეს მიადგა ზიანი -იგი გაათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ შრომის კანონთა კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვა თ. მ-შვილის სამსახურში მიღების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილებით ბ. ფ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძველობის გამო.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ფ-ძემ, რომლითაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

რაიონულმა სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, უგულებელყო შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი ნორმები, არ გაითვალისწინა მოპასუხის შესაგებელი. ამასთან, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე-258-ე მუხლების მოთხოვნები.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 4 ივლისის განჩინებით, მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, განუხილველად იქნა დატოვებული ბ. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ფ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 19 ოქტომბრის საოქმო განჩინებით ბ. ფ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა – განახლდა საქმის წარმოება და სააპელაციო საჩივარი განსჯადობით გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 აპრილის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული წარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე კოდექსის 2.2. მუხლი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობის არსებობა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი ეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოსადმი. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, მათ შორის, შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

“ზოგადი განათლების შესახებ” კანონის 31.1. მუხლის თანახმად, “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება – სკოლა არის “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სასამართლოს დასკვნით, “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზაკ-ის 2.1. “ა” მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება, მათ შორის ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ზაკ-ის 2.2. “დ” მუხლით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

“საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის პრეამბულაში განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო, კერძოდ, აღნიშნული კანონი ადგენს საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კანონის 2.2. მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალში საჯარო სამართლის იურიდიული პირი გათვალისწინებული არ არის.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, საჯარო დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობით არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებს კერძოსამართლებრივი საკანონმდებლო აქტის – შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ბ. ფ-ძის სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა დავის სამოქალაქოდ მიჩნევის თაობაზე და იგი გაზიარებული უნდა იქნეს.

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სამსახურში მიღების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში. ამასთან, აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას, ხოლო ამავე კანონის 9.1. მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

"ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 31.1. მუხლის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება -სკოლა არის "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სსიპ ... საშუალო სკოლა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ სსიპ ... საშუალო სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება -წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.2. "დ" მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 2.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის

დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის ... საშუალო სკოლის მასწავლებლის თანამდებობა ვერ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, როგორც ამ ნუსხაში არმყოფი თანამდებობა.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. ბრძანებულების შესაბამისად /რომლითაც დამტკიცდა რანგირების მიხედვით საჯარო სამსახურის თანამდებობათა თანდართული რეესტრი/, განმარტავს, რომ მოსარჩელის თანამდებობა, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, იგი ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბ. ფ-ძის სსიპ ... სასულო სკოლიდან გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას არ გამოიყენება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის სუბიექტს, ხოლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 14.2 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, მოცემულ შემთხვევაში - "შრომის კანონთა კოდექსით".

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელმა განსაზღვრა რა საჯარო მოხელის სტატუსი, ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის საფუძვლები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი იძენს ამგვარ სტატუსს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი ნებისმიერ შემთხვევაში ასრულებს არა საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას, არამედ ის ყველა შემთხვევაში განიხილება როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, რამდენადაც კანონმდებელმა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრა საჯარო მოსამსახურის ცნება, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. ამდენად, კანონმდებლობით განისაზღვრა ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი იძენს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, რა დროსაც ის ნებისმიერ შემთხვევაში ასრულებს საჯარო უფლებამოსილებას, ხოლო იმ პირობებში, როცა პირი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით რეგლამენტირებულ ამგვარ სტატუსს, ის განიხილება როგორც კერძო სამართლის სუბიექტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ყველა შემთხვევაში, რამდენადაც პირის მიერ დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და თვისობრივი დატვირთვის გამო საჯარო მოხელესთან გაიგივება, იმ პირობებში, როცა ის "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლში რეგლამენტირებულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციის მიხედვით არ თავსდება, დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ბ. ფ-ძის სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეწყდა კერძოსამართლებრივი შრომითი ურთიერთობა, ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოსა და მეორე მხრივ - ფიზიკურ პირებს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნია სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს, რამდენადაც სწორედ მითითებული კერძო სამართლის კანონმდებლობა არეგულირებს საქართველოში მცხოვრებ მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებასა და ორგანიზაციასთან (მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) შრომის კანონთა კოდექსის 1.1. მუხლის თანახმად.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ, სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, სსს კოდექსის 11.1. "ა" მუხლის მიხედვით: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა და მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

ამდენად, ის გარემოება, რომ სარჩელი აღძრულია მოპასუხე -სსიპ ... საშუალო სკოლის -ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიიჩნევა საქმის ადმინისტრაციულ

კატეგორიად მიკუთვნების წინაპირობად, ხოლო ის ფაქტი, რომ დავის საგანს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანება, არ ნიშნავს, რომ გასაჩივრებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, ასეთად მიჩნევისათვის აუცილებელია ოთხი ელემენტის არსებობა.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებას (ადმინისტრაციულ საქმეზე #ბს-713-300(კ-05), ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე თელავის რ-ნის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ, განმარტავს შემდეგს, რომ:

"ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო -ადმინისტრაციული აქტის ავტორი;

2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;

3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.

4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმება შემდეგი ელემენტი: "აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს" / მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან.

შრომის კანონთა კოდექსის 19.2. მუხლის მიხედვით, სამუშაოზე მიღება ფორმდება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის ბრძანებით (განკარგულებით).

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებები რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობით არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ კერძოსამართლებრივი საკანონმდებლო აქტის -შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე, ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

შრომის კანონთა კოდექსის ზემომითითებული ნორმით სამუშაოზე მიღების ადმინისტრაციის ბრძანების ფორმის დადგენა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ გადაწყვეტილების მიღების ამ ფორმას კანონმდებელი განაკუთვნებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო და საჯარო სამართლის დოქტრინის შესაბამისად, შრომის კანონთა კოდექსი არ განეკუთვნება საჯაროსამართლებრივ საკანონმდებლო აქტს, შესაბამისად, იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და მის საფუძველზე გამოცემული აქტები არ შეიცავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს -აქტი არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებლის მიერ საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება უზრუნველყოფილ იქნა საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით -"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით, რომლის მიხედვით, საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს მკაფიოდ განესაზღვრა საქმიანობის ფორმები, როგორც სამართლებრივი აქტის, ასევე ხელშეკრულების /იხ. მუხლი მე-7/ სახით, საჯარო სამსახურში ბრძანების გამოცემით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შედეგათვის მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის, ხოლო დავის წარმოშობის პირობებში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-

სის 2.1. მუხლის დანაწესის მიხედვით, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალური თვითობიდან წარმოშობილი დავა ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განხილვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ვერ ექნება ადგილი, ვინაიდან სადავო ბრძანება გამოცემულია კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი მართლზომიერების შემოწმების უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სამოქალაქო სასამართლო, სსსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია (როგორც საჯარო, ისე, კერძო სამართლის იურიდიული პირები) ადმინისტრირებისას, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებისას არცთუ იშვიათად იყენებს ბრძანებას, როგორც გადაწყვეტილების ფორმას, რაც არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ვინაიდან ამგვარი იურისდიქცია მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს გააჩნიათ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალური თვითობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი - დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ბ. ფ-მის სარჩელი მოპასუხე -სიპ ... საშუალო სკოლის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-587-563(გ-08)

12 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ს-მემ 2008 წლის 31 მარტს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ნოტარიუს ნ. ხ-ანის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის 2008

წლის 21 მარტის #21/03/08-01 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ასევე -მოპასუხის დავალდე-
ბულება -გამოსცეს პ. კ-ვას (ქორწინებამდე ფ-ვას) სამემკვიდრეო მოწმობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით ლ. ს-ძის სასარჩელო განცხადება განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სა-
სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იმ მოტივით, რომ მოცემული დავის საგანს წარმოად-
გენდა ნოტარიუსის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომელიც არ წარმოად-
გენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სასამართლომ მიუთითა, რომ ნოტარიუსის მიერ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შინაარსის სამართლებრივი საფუძველი მოცემულ შემთხვე-
ვაში არის სამოქალაქო სამართლის ნორმები მემკვიდრეობის შესახებ. ფორმალური თვალსაზრისით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში ნოტარიუსის ქმედება სამოქალაქო სამართლის ნორმებითაა დეტერმინირებული, რაც დავის საგნობ-
რივ განსჯადობის განსასაზღვრად გადამწყვეტი გარემოებაა. სასამართლომ მიუთითა, რომ "სანო-
ტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილი ნოტა-
რიუსის დადგენილებას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის თაობაზე განიხილავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, მაგრამ ზოგადი ადმინისტრაციული კო-
დექსის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტის მოთხოვნაც უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომლის თა-
ნახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქ-
ტი. სასამართლომ ჩათვალა, რომ, ნოტარიუსის მხოლოდ ის გადაწყვეტილება (დადგენილება) ჩა-
ითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მაისის გან-
ჩინებით აღიძრა დავა განსჯადობასთან დაკავშირებით. კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელი განხი-
ლულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რადგან მოსარჩელე არ ითხოვ-
და სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას და არ არის დავა სამკვიდროს გაყოფაზე. "ნოტარია-
ტის შესახებ" კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნოტარიატი არის საჯა-
რო-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. იმავე კანო-
ნის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თა-
ვისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსი-
ლებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. სასამართლოს მოსაზრებით, ნოტარიუსის საქმიანობა სახელმწიფოებრივი, ანუ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების გან-
ხორციელებაა და შესაბამისად, მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირე-
ბას ექვემდებარება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესა-
ბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამარ-
თლებრივი აქტია, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუ-
დული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქ-
ტად ჩაითვლება, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფ-
ლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის ოთქმის შესახებ; ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წე-
სის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში სანო-
ტარო ბიუროს ადგილსამყოფლის მიხედვით, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ს-ძის წარმო-
მადგენლის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოს უნდა გადაეგზავნოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სამარ-
თლებრივი საფუძვლების შემოწმებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ს-ძის სარჩელი წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის

განსჯად დავას, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სასამართლოების ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურიერთობიდან, რომელიც გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად კი, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს ნოტარიუსის მიერ გამოცემული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ნოტარიუსის დავალდებულება, გასცეს სამკვიდრო მოწმობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნოტარიუსის მიერ მის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხის გადაწყვეტაზე უარი არ წარმოადგენს დავის ცალსახად ადმინისტრაციული სამართალწარმოებისადმი დაქვემდებარების საფუძველს. "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის #2359 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, მართალია, მიჩნეულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და მისი კანონიერების თაობაზე წარდგენილი სარჩელი ექვემდებარება ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით გასაჩივრებას, მაგრამ, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუშვებელია, წარმოდგენილი მუხლის ცალსახა განმარტება და უნდა ჩაითვალოს, რომ ესა თუ ის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მაშინ, თუ იგი პასუხობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" პუნქტით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, აქტი გამოცემული უნდა იყოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული აქტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ნოტარიუსის უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, ვერ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად.

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს განმარტოს, რომ მსგავსი კატეგორიის დავების გადაწყვეტისას არსებითი ყურადღება უნდა მიექცეს დავის საგანს, კერძოდ, ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა ემყარება სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს, თუ დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის საგანი -ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარი -ემყარება სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს და იგი ვერ განიხილება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით დეფინირებულ, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნოტარიუსის გადაწყვეტილება (დადგენილება) სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ არ შეიცავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ზემომითითებულ ელემენტს, რის გამოც, დავა ფიზიკურ პირსა და ნოტარიუსს შორის, როგორც სამოქალაქო, კერძოდ, სამემკვიდრეო სამართალურიერთობიდან გამომდინარე, არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით განსახილველ დავათა კატეგორიას.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავა განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ს-მის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-588-564 (გ-08)

17 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წევლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე

ზეპირი განხილვის გარეშე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ლ. ს-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ნოტარიუს ნ. ხ-ანის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუს ნ. ხ-ანის დადგენილების ბათილად ცნობა და ნოტარიუსისათვის მოქმედების შესრულების დავალდებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით ლ. ს-მის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავა სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რადგან სადავო დადგენილება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტისა. სასამართლომ გამოიყენა "ნოტარიატის შესახებ" კანონი, "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის 7.3. მუხლი და განმარტა, რომ სადავო სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, რის გამოც მოცემული საქმე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის თანახმად, განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაეცეს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მაისის განჩინებით ლ. ს-მის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რადგან "ნოტარიატის შესახებ" კანონის 1.1 თანახმად, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. ამავე კანონის 3.1 მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას "ნოტარიატის შესახებ" კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

ამდენად, სასამართლოს განმარტებით, ნოტარიუსის საქმიანობა სახელმწიფოებრივ, ანუ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებად მიიჩნევა და მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებას ექვემდებარება.

სასამართლოს მითითებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტისა და სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის 7.3 მუხლის შესაბამისად, ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედებათა შესრულებაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერება წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ლ. ს-მის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ყთბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე არასწორია და ვერ იქნება გაზიარებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, სასარჩელო მოთხოვნა -ნოტარიუსის დადგენილების (სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ) გაუქმება და ნოტარიუსისათვის სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალება, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, რამდენადაც "ნოტარიატის შესახებ" კანონის პირველი მუხლის შესაბამისად, ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ნოტარიუსის მიერ გაცემული დადგენილება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ, ანუ ლ. ს-ძის მიერ სამკვიდროს მიღების ფაქტის დადასტურებაზე უარის თქმა. სამემკვიდრეო ურთიერთობები რეგულირებულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, შესაბამისად წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, რის გამოც სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "ნოტარიატის შესახებ" კანონი ნოტარიუსის სხვა უფლებამოსილებებთან ერთად განსაზღვრავს ნოტარიუსის უფლებამოსილებას, უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, კერძოდ, მითითებული ნორმის 54-ე მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ის გარემოება, თუ სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტებს, შესაბამისად ნოტარიუსის მიერ მის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხის გადაწყვეტაზე უარი არ განაპირობებს მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის წინაპირობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის საგანი -ნოტარიუსის მიერ ზემოთ მითითებული ნორმის საფუძველზე გამოტანილი გასაჩივრებული დადგენილება /სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ/ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, ემყარება სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს და იგი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტით დეფინირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ასეთად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსი არც ერთ შემთხვევაში არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, აწესრიგებს რა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებს, იგი კერძო სამართლის შემადგენელი ნაწილია, მით უფრო, რომ ნოტარიუსი არ შეიძლება განხილულ იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოდ თავისი ფუნქციის გამო, რამდენადაც სამართლის დოქტრინიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს განეკუთვნება ის, ვინც ასრულებს მმართველობით ფუნქციას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნოტარიუსი წარმოადგენს საჯარო ნდობის პროფესიას, მის მიერ კანონით მინიჭებული სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურება არ განეკუთვნება მმართველობით სფეროში განხორციელებულ ღონისძიებას, არ გააჩნია ადმინისტრაციული ორგანოსთვის დამახასიათებელი ელემენტები, რაც მას, როგორც ინსტიტუტს, მოაქცევდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულ დეფინიციამ.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ არ შეიცავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ ზემომითითებულ ელემენტს. შესაბამისად, დავა ფიზიკურ პირსა და ნოტარიუსს შორის დაკავშირებულია სამოქალაქო, კერძოდ, სამემკვიდრეო სამართალურთიერთობასთან, რის გამოც არ არსებობს დავა, რომელიც, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით ექვემდებარება განხილვას.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებას "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის #2359 ბრძანების 7.3 მუხლზე. მითითებული ნორმის თანახმად, "ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილსამყოფლის მიხედვით, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით". საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იუსტიციის მინისტრის მითითებულ ბრძანებაში ამგვარი დათქმის მიუხედავად, ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ვერ იქნება მიჩნეული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რადგან ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციას იძლევა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტი. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზე არ არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ორი ელემენტის არსებობა - ნოტარიუსი არ არის ადმინისტრაციული ორგანო და სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რის გამოც სადავო დადგენილება არ ექცევა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალურ დეფინიციამ.

საკასაციო სასამართლო "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის 9.6 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ კოდექსი არის განსაზღვრულ (ერთგვაროვან) საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული კანონი, ამავე კანონის 10.1 მუხლის "ი" ქვეპუნქტის თანახმად, მხოლოდ საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს სისხლის, სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო, სამოქალაქო სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციული, სასჯელაღსრულებითი კანონმდებლობა. ამავე კანონის 17.2 მუხლის მიხედვით მინისტრის ბრძანებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, არ შეიძლება გადაწყდეს საკითხი, რომლის მოწესრიგებაც გათვალისწინებულია საკანონმდებლო აქტით.

მოცემულ ვითარებაში მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა ნოტარიუსის დადგენილების სამართლებრივი კვალიფიკაცია, რაც სრულ წინააღმდეგობაშია საკანონმდებლო აქტით - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციასთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის ერთ-ერთი კლასიკური სახე - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიცია მხოლოდ საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს და იგი არ შეიძლება ცალკეულ ადმინისტრაციულ ორგანოთა ნორმათშემოქმედების საგანი გახდეს, ასევე, მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა ნოტარიუსის დადგენილების გასაჩივრების სამართალწარმოების სახე, ანუ სასამართლოს იურისდიქცია, რაც ასევე უმაღლეს წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის დარღვევას. რამდენადაც მითითებული ნორმის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარებულია დემოკრატიული რესპუბლიკა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ხელისუფლების დანაწილებას - საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მმართველობითი ორგანოს ნორმათშემოქმედების ფუნქცია უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ფუნქციაა მხოლოდ საკანონმდებლო აქტით მინიჭებული უფლებამოსილებისა და იურისდიქციის ჩარჩოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევდა სრულ სამართლებრივ ქაოსს და რისკის ქვეშ დადგებოდა სამართლებრივი უსაფრთხოების განცდა, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზეა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობა, რაც უნდა გადაწყდეს საკანონმდებლო აქტისათვის -ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისათვის უპირატესობის მინიჭებით, როგორც იერარქიულად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი აქტისათვის, თანახმად "ნორმატიული აქტების შესახებ" კანონის 25.1 მუხლისა.

საკასაციო სასამართლო კანონშესაბამისად მიიჩნევს ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას -განსჯადობის შესახებ დავის წამოწყებას, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ ადმინისტრაციული დავების განხილვაა დაშვებული.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ სწორი შეფასება მისცა სადავო სამართალურთიერთობას, მართებულად იმსჯელა, რომ მოცემული დავა არ არის დაკავშირებული იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და იგი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ს-მის სარჩელი მოპასუხის -ნოტარიუს ნ. ხ-ანის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-651-623 (გ-08)

26 ივნისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-მემ 2007 წლის 19 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ და მოითხოვა მოპასუხის 2007 წლის 13 აპრილის #კ-1/127 ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის სახელფასო დავალიანების -5720 ლარის, სამსახურში იძულებითი არყოფნის მთელი პერიოდისათვის ხელფასის -12400 ლარის და უკანონოდ გათავისუფლებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრება, დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სადავო ბრძანება უკანონო იყო, რადგან გამოცემული იყო შრომის კოდექსის ნორმების საფუძველზე მაშინ, როცა იგი წარმოადგებდა საჯარო მოსამსახურეს და მისი გათავისუფლებაც უნდა მომხდარიყო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით დადგენილი წესით. ამასთან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -ერ-

თიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსი არ იყო უფლებამოსილი გაეთავისუფლებინა ნ. ბ-მე არარსებული დაწესებულებიდან -სსიპ საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისიიდან. 2006 წლის 1 ივნისიდან 13 ოქტომბრამდე (სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სსიპ ტრანსპორტის მარეგულირებელ კომისიად რეორგანიზაციამდე) სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის უფროსის სიტყვიერი მითითებით აგრძელებდა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებას, რაც საქართველოს შრომის კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, შრომის ხელშეკრულების დადებას წარმოადგენს, რადგან იგი დაშვებული იყო სამუშაოდ იმ თანამდებობის პირის მიერ, ვისაც ამ სამუშაოზე მიღებისა და გათავისუფლების უფლება ჰქონდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით ნ. ბ-მის სარჩელიდან მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების არაკანონიერად აღიარების და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ ცალკე წარმოებად გამოიყო სასარჩელო მოთხოვნა სამსახურში აღდგენის თაობაზე და სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების არაკანონიერად აღიარების და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას; შეჩერდა ადმინისტრაციული საქმე #3/1714-ს წარმოება მოსარჩელე ნ. ბ-მის სარჩელის გამო მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ სამსახურში აღდგენის თაობაზე მოსარჩელე ნ. ბ-მის სარჩელის გამო მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების არაკანონიერად აღიარების და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საქმის განხილვა -გადაწყვეტასა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სასამართლომ ჩათვალა, რომ მოცემული დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის #286 ბრძანებულებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის ჩამონათვალში არ შედიან სსიპ ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოსამსახურენი. შესაბამისად, ნ. ბ-მე, რომელიც აღნიშნული კომისიის სამდივნოს მთავარი სპეციალისტი (კანცელარიის უფროსი) გახლდათ 2006 წლის 13 ოქტომბრიდან 2007 წლის 13 აპრილამდე, არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს. ამდენად, მასა და მოპასუხეს შორის არსებული შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავა უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 მაისის განჩინებით ნ. ბ-მის სარჩელი მოპასუხე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -ტრანსპორტის ერთიანი ადმინისტრაციის მიმართ, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობის და სახელფასო დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, სარჩელის განმხილველი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისა და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სასამართლოს მოსაზრებით, ნ. ბ-მის სასარჩელო მოთხოვნები მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს -ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიმართ და დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან: მოსარჩელე ერთის მხრივ ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების -სახელფასო დავალიანების გადახდის დავალებას, მეორეს მხრივ - საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2007 წლის 13 აპრილის #კ-1/127 ბრძანების ბათილად ცნობას, რაც -წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნას, რომლითაც გათავისუფლდა მოსარჩელე -საჯარო მოსამსახურის სამსახურიდან. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება წარმოადგენს იმ სახელმწიფო დაწესებულებას, სადაც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის "ე" ქვეპუნქტის თანახმად საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები იხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის გათავისუფლება, მიუხედავად გასაჩივრებული 2007 წლის 13 აპრილის #კ-1/127 ბრძანების ტექსტისა, მოხდა არა სსიპ ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან, არამედ -ეკონომიკური განვითარების სამინისტროს

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებიდან –ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციიდან, რადგან სსიპ ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისია გათავისუფლების მომანტისათვის აღარ არსებობდა. ის თანამშრომლები, რომლებიც არ იქნენ გათავისუფლებულნი აღნიშნული კომისიის რეორგანიზაციის პერიოდში კომისიის ხელმძღვანელობის მიერ, უნდა ჩაითვალოს ახალი (რეორგანიზებული) ადმინისტრაციული ორგანოს –ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების –ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამშრომლებად, რომელთა გათავისუფლების კანონიერებაც განხილულ უნდა იქნეს “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის ნორმათა საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სამართლებრივი საფუძველებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ძის სარჩელი წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითი დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი –ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი

აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს სასამართლოში. აღნიშნული ნაწილის “ა” ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა კანონმდებლობასთან, ხოლო იმავე ნაწილის “გ” ქვეპუნქტის თანახმად – ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “დ” ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო დავის საგანს წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის უფროსის 2007 წლის 13 აპრილის #კ-1/127 ბრძანების ბათილად ცნობა და სახელფასო დავალიანების ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, უნდა ჩაითვალოს, რომ ესა თუ ის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მაშინ, თუ იგი პასუხობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის “დ” პუნქტით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, აქტი გამოცემული უნდა იყოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული აქტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, თუნდაც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი, ყველა შემთხვევაში, ვერ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. დავების გადაწყვეტისას არ-

სებითი ყურადღება უნდა მიექცეს დავის საგანს, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი ემყარება კერძო სამართლის შესაბამის ნორმებს, თუ დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ დავის საგანი - ნ. ბ-ის სსიპ ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამდივნოს მთავარი სპეციალისტის (კანცელარიის უფროსი) თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 2007 წლის 13 აპრილის #კ-1/127 ბრძანება ემყარება შრომის კოდექსის 37-ე და 38-ე მუხლებს და იგი ვერ განიხილება, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით დეფინირებულ, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავე კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში. ხსენებული კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში - მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებების (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზე დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით კი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად, მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლით რეგლამენტირებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, ხოლო მე-12 მუხლში ჩამოთვლილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის შემადგენელი ის ქმედებები, რომელთა განხორციელება საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან თანხმობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებულ საკანონმდებლო ნორმებში ორგანულადაა ჩადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და მისი ხელმძღვანელის საქმიანობის მმართველობითი ხასიათი, ასევე -სახელმწიფო კონტროლისა და შესაბამისი სახის საქმიანობაზე ხელმძღვანელის სახელისუფლებო შეზღუდვის ელემენტი. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, რომელიც "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მართავს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ერთპიროვნულად უძღვება მის საქმიანობას და განსაზღვრულ ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს, აღნიშნული ნიშნით განსხვავდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლისაგან.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-10 მუხლის მე-4 და მე-4¹ პუნქტებზე, რომელთა თანახმად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი ან კანონით (პრეზიდენტის ბრძანებულებით) განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო. ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად (ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტით, ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების გადასაწყვეტად) შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო.

ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება ხდება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო აქტით, ანუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის სამუშაოზე აღდგენის შესახებ დავა წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რომელიც განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწი-

ფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, აღნიშნულ ჩამონათვალში საერთოდ არ არის ნახსენები საჯარო სამართლის იურიდიული პირი. გარდა ამისა, საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის #286 ბრძანებულებით დამტკიცებულ "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში" რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე.

აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ბ-მე მუშაობდა რა სსიპ ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამდივნოს მთავარი სპეციალისტის (კანცელარიის უფროსი) თანამდებობაზე, არ წარმოადგენდა საჯარო მოსამსახურეს და, შესაბამისად, მას და დამსაქმებელს შორის არსებულ შრომით ურთიერთობებზე ვრცელდებოდა არა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი, არამედ შრომის კოდექსი.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მითითებული დასკვნები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 10 ივლისის განჩინებით (საქმე #ბს-132-123(კ-07)) განხორციელებულ განმარტებებთან.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 მაისის განჩინების მოტივაციას იმის თაობაზე, რომ, ვინაიდან ნ. ბ-მე სსიპ ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის რეორგანიზაციის მიმდინარეობისას არ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, იგი უნდა ჩაითვალოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის თანამშრომლად და, შესაბამისად, საჯარო მოსამსახურედ. საკასაციო სასამართლო მითითებს, რომ "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად თანამდებობაზე დანიშნვა ფორმდება ბრძანებით, განკარგულებით ან დადგენილებით. საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ნ. ბ-მე, უფლებამოსილი პირის მიერ, დანიშნული იყო რაიმე სამართლებრივი აქტით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების -ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციაში რაიმე თანამდებობაზე. ამდენად, იგი ვერ იქნება მიჩნეული საჯარო მოსამსახურედ. საკასაციო სასამართლოს, ასევე, არამართებულად მიაჩნია სარჩელის განსჯადობის საკითხზე მსჯელობისას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნა სადავო ბრძანების არაკანონიერების შესახებ, რაც შეიძლება დადგინდეს საქმის მხოლოდ არსებითად განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დავა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად იგი განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ნ. ბ-მის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-463-442(გ-08)

1 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. სხირტლაძე

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატასა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის განსჯადობის შესახებ დავა მ. ბ-ძის სარჩელთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის დირექტორის ბრძანების ბათილად ცნობის, სასწავლებელში აღდგენისა და ხელშეკრულების ძალაში დატოვების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 9 ივნისს თ. ა-ძის წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს "ილია ჭავჭავაძის თბილისის უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის" მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ 2005 წლის 24 აპრილს გამოცემული ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხესა და თ. ა-ძეს შორის 2004 წლის 30 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების ძალაში დატოვება და 2005 წლის მე-2 სემესტრში - 18 მარტიდან 30 მაისამდე, სწავლების აკადემიური საათების გამო გაცდენის საპატიოდ ჩათვლა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - უკანონოდ იქნა ცნობილი შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის" დირექტორის 2005 წლის 22 აპრილის ბრძანება; თ. ა-ძეს უფლება მიეცა მე-2 სემესტრის გაცდენილი დისციპლინების გადაბარებისა და სწავლის გაგრძელებისა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის" დირექტორმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის" სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "გ" პუნქტის თანახმად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 10 აპრილის განჩინებით შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის" სააპელაციო საჩივარი განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის საფუძველზე, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებს, რომლის 2.2 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს, კერძოდ, აღნიშნული ნორმის "ა" პუნქტით განისაზღვრა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; "ბ" პუნქტით კი განისაზღვრა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ხოლო "გ" პუნქტით - ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

კონკრეტულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სამართალურთიერთობის სუბიექტად გვევლინება კერძო სამართლის იურიდიული პირის ფილიალი და ფიზიკური პირი და არა ადმინისტრაციული ორგანო, შესაბამისად, სახეზე არ არსებობს არც ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის მეორე ძირითადი ელემენტი - საჯარო, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული დავის საგანი, რაც, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ცალსახად გამორიცხავს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ა-ძის სარჩელი განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის კატეგორიას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს საკასაციო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და იმავე სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატას შორის წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის" სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოებში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ხაშურის ფილიალის დირექტორის ბრძანება #95 უცხო ენების ფაკულტეტის პირველი კურსის დასწრებული სწავლების სტუდენტის -თ. ა-ძის უნივერსიტეტიდან გარიცხვის თაობაზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სადავო ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და არც მოცემული დავა არ არის თავისი შინაარსით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე აპელანტი "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი" წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და შექმნილია "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. როგორც საქმის მასალებით დასტურდება, მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შპს-ის დირექტორის, მით უფრო მისი ფილიალის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული აქტი არ წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

წინამდებარე შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა დარეგულირებულია კერძო სამართლის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ადასტურებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობის მართებულობას და აღნიშნავს, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის არც ერთი მახასიათებელი ელემენტი: სამართალურთიერთობაში არ მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო და დავა არ გამომდინარეობს საჯარო, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც ცალსახად გამორიცხავს წინამდებარე დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ საქმეთა კატეგორიაში მოქცევის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის" სააპელაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის" სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-662-634 (გ-08)

22 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

**მ. ვაჩაძე,
ნ. ქადაგიძე**

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, /საქმეზე რ. ს-შვილის სარჩელისა გამო, მოპასუხის -სსიპ ახალციხის ინსტიტუტის მიმართ/.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

რ. ს-შვილმა სარჩელი აღძრა ახალციხის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე -სსიპ ახალციხის ინსტიტუტის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მ/შ 2007 წლის 21 სექტემბრის #01/7 ბრძანების ბათილად ცნობა, თსუ მესხეთის ფილიალის ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ მისი გათავისუფლების ნაწილში, მიუღებელი ხელფასისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახელფასო დონეზე ბრძანების გამოცემიდან სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენამდე (სამსახურში აღდგენა), ინსტიტუტის საწვავის შეძენისათვის კომპენსაციის ანაზღაურება, მივლინების, რეგისტრაციის ხარჯების ანაზღაურება, შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მ/შ-ის 2007 წლის 21 სექტემბრის #01/7 ბრძანებით, "თსუ მესხეთის ფილიალის ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ", ერთდროულად გათავისუფლდა 115 მოსამსახურე, მათ შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი რ. ს-შვილი. ბრძანების მიხედვით, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 31 ივლისის #161 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია, გამოეყო მესხეთის ფილიალი და მის ბაზაზე ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ ახალციხის ინსტიტუტი. მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო ბრძანება მიღებულია შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი ნორმების დარღვევით, კერძოდ, გასაჩივრებული ბრძანებით არ დგინდება, კონკრეტულად, რა გახდა მისი სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი.

სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა რ. ზედგენიძემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელე რ. ს-შვილის წინააღმდეგ, რომლითაც მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებასა და საჯარო სამართლის ადმინისტრაციული ორგანოსათვის გარკვეული მოქმედების დაკისრების მოთხოვნის შესახებ უარის თქმა და რ. ს-შვილის მიერ ახალციხის ინსტიტუტის კუთვნილი ქონების უკან დაბრუნება.

რაიონული სასამართლოს 2007 წლის 28 ნოემბრის განჩინებით სსიპ ახალციხის ინსტიტუტის შეგებებული სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ს-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ -მოსარჩელეს უარი ეთქვა სსიპ თსუ მესხეთის ფილიალში სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენაზე (სამსახურში აღდგენაზე) აღნიშნული ორგანიზაციის არარსებობის გამო; არ დაკმაყოფილდა რ. ს-შვილის მოთხოვნა მიუღებელი ხელფასისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების სახელფასო დონეზე ბრძანების გამოცემიდან სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენამდე, ინსტიტუტის საწვავის შეძენისათვის კომპენსაციის ანაზღაურების ნაწილში; მოპასუხეს -სსიპ ახალციხის ინსტიტუტს დაევალა, მოსარჩელის სასარგებლოდ მიუღებელი ხელფასის -2007 წლის 1 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით, აგრეთვე, 2007 წლის 20 სექტემბრიდან 29 სექტემბრის ჩათვლით შრომის უუნარობის ფურცელზე ყოფნისას, განაცდურის გაცემის დადგენილი წესით ანაზღაურება; ასევე, მოსარჩელის სასარგებლოდ ანაზღაურებულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრაციისათვის საკომპენსაციო თანხა -60 ლარის ოდენობით.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ს-შვილმა, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

რაიონულმა სასამართლომ გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 13.1, 15.1 მუხლები, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის 3.2, მე-5 მუხლები, ზაკ-ის 1-ლი მუხლი, 2.1 მუხლის "ა", "ბ", "დ" და "ლ" ქვეპუნქტები, 3.1, მე-4, მე-7, 51-ე, 53-ე, 92-ე და 93-ე მუხლები, შრომის კანონთა კოდექსის 2.1, 5.1, მე-7, 24-ე, 26-ე, 31.3, 32.1, 35.1.4, 44-ე მუხლები; "საქართველოს ნორმატიული აქტების შესა-

ხებ” კანონის მე-10 და მე-17 მუხლები; სსკ-ის 316-ე, 317-ე, 319-ე და სხვა მუხლები; სსსკ-ის 92-ე, 102.2, 103.1.2 მუხლები და ასკ-ის 29-ე და 30-ე მუხლები.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე სსიპ ახალციხის ინსტიტუტმა, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელე -რ. ს-შვილის შრომისუუნარობის გამო საავადმყოფო ფურცელზე ყოფნისას განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, უკანონო და დაუსაბუთებელია, რის გამოც იგი ექვემდებარება გაუქმებას. რაიონულმა სასამართლომ არ იხელმძღვანელა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის #281/5 ბრძანების მიხედვით, რაც არეგულირებდა დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზის ჩატარებისა და საავადმყოფო ფურცლის გაცემის წესს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით აპელანტ რ. ს-შვილის სააპელაციო საჩივარზე, კერძოდ, ინსტიტუტის საწვავის შექმნისათვის კომპენსაციის ანაზღაურების, მივლინების, რეგისტრაციის დოკუმენტების მიღებაზე გადახდილი თანხისა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების ნაწილში უარის თქმის გამო, შეწყდა საქმის წარმოება; ამავე საოქმო განჩინებით რ. ს-შვილისა და სსიპ ახალციხის ინსტიტუტის სააპელაციო საჩივრები საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს -თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ასკ-ის 2.1. მუხლი და განმარტა, რომ ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. კონკრეტულ შემთხვევაში, სსიპ ახალციხის ინსტიტუტი წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს და კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მოსარჩელეს მოთხოვნას წარმოადგენდა ამ უკანასკნელის მიერ გამოცემული ბრძანების ბათილად ცნობა, რომელიც წარმოადგენდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მოცემული სამართალურითიერთობა განეკუთვნებოდა იმ დავათა კატეგორიას, რომელთა განხილვაც უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციული საპროცესო ნორმებით დადგენილი წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ივნისის განჩინებით მოცემული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლი და განმარტა, რომ მითითებული ნორმის თანახმად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე კოდექსის 2.2. მუხლი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურითიერთობის არსებობა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

სასამართლოს დასკვნით, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზაკ-ის 2.1. "ა" მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება, მათ შორის ბრძანება მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ზაკ-

ის 2.2. "დ" მუხლით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

"საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის პრეამბულაში განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო, კერძოდ, აღნიშნული კანონი ადგენს საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კანონის 2.2. მუხლით განსაზღვრულია სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალიში საჯარო სამართლის იურიდიული პირი გათვალისწინებული არ არის. ამდენად, მოსარჩელის თანამდებობა, როგორც საჯარო მოხელისა, არ არის გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ რ. ს-შვილის სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა დავის სამოქალაქოდ მიჩნევის თაობაზე და იგი გაზიარებული უნდა იქნეს.

კონკრეტულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელება, რაც არ წარმოადგენს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რამდენადაც საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას, ხოლო ამავე კანონის 9.1. მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, ამ კოდექსის მიზნებისთვის სსიპ ახალციხის ინსტიტუტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც არ გულისხმობს, რომ სსიპ ახალციხის ინსტიტუტის რექტორის მიერ მოცემული ყველა ბრძანება

-წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.2. "დ" მუხლით რეგლამენტირებულ ინ-დივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 2.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირის ახალციხის ინსტიტუტის საქმიანობა ვერ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, როგორც ამ ნუსხაში არმყოფი დაწესებულება.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01წ. ბრძანებულების შესაბამისად /რომლითაც დამტკიცდა რანგირების მიხედვით საჯარო სამსახურის თანამდებობათა თანდართული რეესტრი/, განმარტავს, რომ მოსარჩელის თანამდებობა, როგორც საჯარო მოსამსახურე, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდება, შესაბამისად, იგი ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ რ. ს-შვილის სსიპ ახალციხის ინსტიტუტიდან გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას არ გამოიყენება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის სუბიექტს, ხოლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 14.2 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, მოცემულ შემთხვევაში - "შრომის კანონთა კოდექსით".

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კანონმდებელმა განსაზღვრა რა საჯარო მოხელის სტატუსი, ზუსტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ის საფუძვლები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი იძენს ამგვარ სტატუსს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელი ნებისმიერ შემთხვევაში ასრულებს არა საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას, არამედ ის ყველა შემთხვევაში განიხილება როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, რამდენადაც კანონმდებელმა "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრა საჯარო მოსამსახურის ცნება, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში. ამდენად, კანონმდებლობით განისაზღვრა ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში პირი იძენს საჯარო მოსამსახურის სტატუსს, რა დროსაც ის ნებისმიერ შემთხვევაში ასრულებს საჯარო უფლებამოსილებას, ხოლო იმ პირობებში, როცა პირი არ აკმაყოფილებს კანონმდებლობით რეგლამენტირებულ ამგვარ სტატუსს, ის განიხილება როგორც კერძო სამართლის სუბიექტი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ყველა შემთხვევაში, რამდენადაც პირის მიერ დაკავებული თანამდებობის, საქმიანობის სპეციფიკისა და თვისობრივი დატვირთვის გამო საჯარო მოხელესთან გაიგივება, იმ პირობებში, როცა ის "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლში რეგლამენტირებულ საჯარო სამსახურის განმარტების ლეგალურ დეფინიციამი არ თავსდება, დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, რ. ს-შვილის სამსახურიდან გათავისუფლების დროს შეწყდა კერძო სამართლებრივი, შრომითი ურთიერთობა ერთი მხრივ, სსიპ ადმინისტრაციასა და მეორე მხრივ - ფიზიკურ პირებს შორის, რომლის კანონიერების შეფასების უფლებამოსილება გააჩნია სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს, რამდენადაც სწორედ მითითებული კერძო სამართლის კანონმდებლობა არეგულირებს საქართველოში მცხოვრებ მუშაკთა შრომით ურთიერთობებს საწარმოსთან, დაწესებულებასთან და ორგანიზაციასთან (მიუხედავად მათი საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) შრომის კანონთა კოდექსის 1.1. მუხლის თანახმად.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დავის სუბიექტებს, არამედ, სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, სსს კოდექსის 11.1. "ა" მუხლის მიხედვით: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა და მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ამდენად, ის გარემოება, რომ სარჩელი აღძრულია მოპასუხე -სიპ ახალციხის ინსტიტუტის მიმართ, ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მიიჩნევა საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიკუთვნების წინაპირობად, ხოლო ის ფაქტი, რომ დავის საგანს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანება, არ ნიშნავს, რომ გასაჩივრებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, ასეთად მიჩნევისათვის აუცილებელია ოთხი ელემენტის არსებობა.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებას (ადმინისტრაციულ საქმეზე #ბს-713-300(კ-05), ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრის გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე თელავის რ-ნის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ, რომელშიც განიმარტა, რომ:

"ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო -ადმინისტრაციული აქტის ავტორი;

2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;

3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.

4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმება შემდეგი ელემენტი: "აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს" / მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან".

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებები რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობით არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ კერძოსამართლებრივი საკანონმდებლო აქტის -შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე, ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

შრომის კანონთა კოდექსის ზემომითითებული ნორმით სამუშაოზე მიღების ადმინისტრაციის ბრძანების ფორმის დადგენა არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ გადაწყვეტილების მიღების ამ ფორმას კანონმდებელი განაკუთვნებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო და საჯარო სამართლის დოქტრინის შესაბამისად, შრომის კანონთა კოდექსი არ განეკუთვნება საჯაროსამართლებრივ საკანონმდებლო აქტს, შესაბამისად, იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და მის საფუძველზე

გამოცემული აქტები არ შეიცავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს - აქტი არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებლის მიერ საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება უზრუნველყოფილ იქნა საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით - "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით, რომლის მიხედვით საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს მკაფიოდ განესაზღვრა საქმიანობის ფორმები, როგორც სამართლებრივი აქტის, ასევე ხელშეკრულების სახით, საჯარო სამსახურში ბრძანების გამოცემით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შედეგების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის, ხოლო დავის წარმოშობის პირობებში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის დანაწესის მიხედვით, როგორც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავა ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განხილვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ვერ იარსებებს, ვინაიდან სადავო ბრძანება გამოცემულია კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი მართლზომიერების შემოწმების უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სამოქალაქო სასამართლო, სსსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია (როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირები) ადმინისტრირებისას, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებისას არცთუ იშვიათად იყენებს ბრძანებას, როგორც გადაწყვეტილების ფორმას, რაც არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ვინაიდან ამგვარი იურისდიქცია მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს გააჩნიათ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ არასწორად არის გაგებული ტერმინ "ადმინისტრაციულ ორგანოს" ცნება, შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის საფუძველზე მოცემულ შემთხვევაში არასწორად არის მიჩნეული ადმინისტრაციულ ორგანოდ, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლი განსაზღვრავს ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს და მათ დეფინიციას, რაც ნიშნავს, რომ ამ ნორმატიულ აქტში გამოყენებულ იურიდიულ ტერმინებს გააჩნიათ კონკრეტული განსაზღვრება და მნიშვნელობა ნორმატიული აქტით მოწესრიგებული კონკრეტული სამართალურთიერთობის კონტექსტში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 1.1. მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და აღსრულებას, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადების, დადების და შესრულების წესს, რაც სწორედ იმას გულისხმობს, რომ ეს ნორმატიული აქტი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრირების ფუნქციის შესასრულებლად მისაღები, მიღებული, გასაჩივრებული სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელების წესებს.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლში მოცემული ტერმინი ადმინისტრაციული ორგანო სწორედ ამ კოდექსით განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად მოიაზრებს ასეთად ყველა იმ სუბიექტს, როელიც ამ კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ სივრცეში მოქმედებს, ანუ ადმინისტრირებას ეწევა, რა მომენტშიც ყველა ეს სუბიექტი შეზღუდულია ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებით და დადგენილი წესებით.

მოცემულ ვითარებაში სსიპ ახალციხის ინსტიტუტი არის არა ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის სუბიექტი ანუ ადმინისტრაციული ორგანო, არამედ კერძოსამართლებრივი - შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, შესაბამისად, კერძოსამართლებრივი - შრომის კანონთა კოდექსის ნორმებით მოწესრიგებულ სამართლებრივ სივრცეში მყოფი ადმინისტრაცია.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადმინისტრაციულ ორგანოდ განიხილება იმ შემთხვევაში, როცა იგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ სივრცეში მოქმედებს და ამ ნორმებითაა განპირობებული მისი მოქმედება თუ გადაწყვეტილება, რა დროსაც მიღებული სამართლებრივი ღონისძიებების ფორმები ექვემდებარება სასამართლო კონტროლს ადმინისტრაციული სამართალწარმოების მეშვეობით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისაგან შედგება. I ნაწილი მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ცნებას: სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა ორგანოს და დაწესებულებას; დეფინიციის II ნაწილში მოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან

სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და ამ მიზნით გამოსცემენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი ფუნქციონალური გაგებით წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რაც ნიშნავს, რომ სწორედ ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების მომენტში ექვევა იგი ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიციის ფარგლებში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლით განსაზღვრული ტერმინის "ადმინისტრაციული ორგანოს" დეფინიცია მოიცავს უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომ თვით ორგანიზაციულ-სამართლებრივი თვალსაზრისით ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული ორგანოები ასეთად განიხილება მაშინ, როცა ისინი ფუნქციონალური გაგებითაც წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ასე, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტი ადმინისტრაციულ ორგანოდ განიხილება მაშინ, როცა იგი ფუნქციონალური თვალსაზრისით ახორციელებს ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას, ვინაიდან იგი შეიძლება გვევლინება არამხოლოდ ადმინისტრაციულ, არამედ პოლიტიკურ-კონსტიტუციურ სამართლებრივი ფუნქციის განმხორციელებელ ორგანოდ. ასევე, საქართველოს მთავრობა და ა.შ.

ამდენად, საჯარო დაწესებულება თუ კერძო პირი, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა იგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ნიშნით ადმინისტრაციულ ორგანოს, ასეთად მიჩნევისათვის მთავარია ფუნქციონალური გაგებითაც ახორციელებდეს ადმინისტრაციულ უფლებამოსილებას, რადროსაც მიღებული გადაწყვეტილებები და განხორციელებული მოქმედებები თავსდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კანონმდებლობის სივრცეში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. რ. ს-შვილის სარჩელი მოპასუხე -სსიპ ახალციხის ინსტიტუტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-591-565 (გ-08)

24 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ცისკაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 აპრილს ლ. ს-მემ (წარმომადგენელი -ზ. ი-შვილი) სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ნოტარიუს ნ. ხ-ანის მიმართ და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე, 23-ე და 24-ე მუხლების საფუძველზე, მოითხოვა ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. ხ-ანის 2008 წლის 21 მარტის #21/03/08-02 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლითა და იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის #2359 ბრძანებით დამტკიცებული "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ა. ა-არის (ქორწინებამდე -ფ-ვას) სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოპასუხისთვის დავალება.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენდა მის უფლებას, თავისი დიდი ბებუის -ა. ა-არის (ქორწინებამდე -ფ-ვას) სამკვიდროს გახსნის სანოტარო ორგანოში სამკვიდრო მოწმობის მიღების მოთხოვნით მიემართა ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადებით და ამ განცხადების სამემკვიდრეო საქმეთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის გზით, მიეღო თავისი დიდი ბებუის სამკვიდრო, რაშიც უნდა ყოფილიყო გამოხატული და სადაც უნდა ყოფილიყო იგი, რაც ადასტურებდა მის მიერ დიდი ბებუის სამკვიდროს მიღების ფაქტობრივ გარემოებას. ხსენებული კოდექსის 1499-ე მუხლი ადგენდა და იცავდა მოსარჩელის უფლებას, მოპასუხისაგან, როგორც თავისი დიდი ბებუის სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოსაგან, მიეღო თავისი დიდი ბებუის -ა. ა-არის სამემკვიდრეო უფლების დამადასტურებელი მოწმობა, რომელიც საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის #2359 ბრძანებით დამტკიცებული "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის მიხედვით, წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით გათვალისწინებულ კანონით დადგენილ მტკიცებულებას და დაადასტურებდა მის უფლებებს თავისი დიდი ბებუის -ა. ა-არის სამკვიდროზე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა", "გ" და "დ" ქვეპუნქტების თანახმად, წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. 2008 წლის 25 იანვარს მოსარჩელის წარმომადგენელმა მოპასუხის მოვალეობის შემსრულებელს წარუდგინა სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განცხადება და ამ განცხადების საფუძველზე მოითხოვა სანოტარო მოქმედების შესრულება. 2008 წლის 25 იანვარს მოპასუხის მოვალეობის შემსრულებელმა იუსტიციის მინისტრის ზემოაღნიშნული ინსტრუქციის დებულებების დაცვით, შეასრულა მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი სანოტარო მოქმედება და სამემკვიდრეო საქმეთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციით, "ნოტარიატის შესახებ" კანონის 52-ე მუხლის თანახმად, მის განცხადებას მიანიჭა შესაბამის რეესტრში რეგისტრაციის ნომერი -#2-15, რითაც იმავე ინსტრუქციის მე-2 მუხლისა და "ნოტარიატის შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, ა. ა-არის სამკვიდროს მოსარჩელის მიერ მემკვიდრეობით მიღების ფაქტს მიანიჭა უდავო მტკიცებულებითი ხასიათი, რაც ადასტურებდა ა. ა-არის (ქორწინებამდე -ფ-ვას) სამკვიდროს მოსარჩელის მიერ მემკვიდრეობით მიღების ფაქტობრივ გარემოებას და იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის #2359 ბრძანებით დამტკიცებული "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამკვიდრო მოწმობის გაცემა წარმოადგენდა მოპასუხის ფუნქციასა და ვალდებულებას.

მოსარჩელის მტკიცებით, მიუხედავად უდავოდ დადგენილი ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებისა, მოპასუხემ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ზემოხსენებული ინსტრუქციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტითა და მე-60 მუხლით გათვალისწინებულ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უსაფუძვლოდ განაცხადა უარი, რითაც დაარღვია ზემოთ მოყვანილი სამართლებრივი აქტებით დაცული მისი უფლებები.

მოსარჩელის განმარტებით, მოცემული სასარჩელო განცხადება შეტანილი იყო უფლებამოსილ სასამართლოში, რადგან მოპასუხე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, იყო ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება, თავისი შინაარსით -იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის #2359 ბრძანებით დამტკიცებული "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილებას -ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რის გამოც აღნიშნული სასარჩელო განცხადება იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი, სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოს ადგილსამყოფელის გათ-

ვალისწინებით. ამდენად, მოსარჩელის მტკიცებით, მოპასუხემ დაარღვია "ნოტარიატის შესახებ" კანონით, სამოქალაქო კოდექსითა და იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 22 დეკემბრის #2359 ბრძანებით დამტკიცებული "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციით დაცული მისი უფლებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მაისის განჩინებით ლ. ს-ძის წარმომადგენელ ზ. ი-შვილის სასარჩელო განცხადება ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. ხ-ანის 2008 წლის 21 მარტის #21/03/08-02 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ა. ა-არის (ქორწინებამდე -ფ-ვას) სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალდებულების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებული იყო სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს, კერძოდ, ადგენდა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი, ხანუ რომელი საქმეები შეიძლებოდა განხილულიყო ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამასთან, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტი იყო ისეთი ნორმატიული ელემენტი, როგორც იყო დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ნოტარიუსის მიერ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შინაარსის სამართლებრივი საფუძველი მოცემულ შემთხვევაში იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კერძო-სამართლებრივი ნორმები მემკვიდრეობის შესახებ. ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის გზით, ნოტარიუსის მიერ სრულდებოდა სანოტარო მოქმედება, რომლის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი იყო სამოქალაქო კოდექსის ნორმები. შინაარსობრივად, ნოტარიუსის მოქმედება სწორედ აღნიშნული ნორმებით იყო დეტერმინირებული, რაც გადამწყვეტი იყო დავის საგნობრივი განსჯადობის განსასაზღვრად, თუმცა, ფორმალური თვალსაზრისით, სანოტარო მოქმედების მეშვეობით, ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებდა სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას "ნოტარიატის შესახებ" კანონის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ნოტარიუსის დადგენილებას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, განიხილავდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომლის კანონიერება შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო სასამართლოში ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც არ განაპირობებდა მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევას. აუცილებელი იყო აღნიშნული ნორმის სწორი ინტერპრეტაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტთან ერთობლიობაში, რომელიც იძლეოდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნებას. ხსენებული ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნეოდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. ამდენად, "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის მხოლოდ ის დადგენილება ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომელიც გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. განსახილველ შემთხვევაში კი სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის დადგენილება ემყარებოდა სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს და აქედან გამომდინარე, მისი კანონიერების შემოწმება უნდა მომხდარიყო სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 28 მაისის განჩინებით ლ. ს-ძის წარმომადგენელ ზ. ი-შვილის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ნოტარიუსის 2008 წლის 21 მარტის #21/03/08-02 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, აგრეთვე, ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გაცემისა და მისი მოსარჩელისათვის გადაცემის შესახებ ნოტარიუსის დავალდებულება, ანუ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ნოტარიუსის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და მისთვის ქმედების განხორციელების დავა-
ლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული
დავა არ გამოდინარეობდა სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რადგან მოსარჩელე არ ითხოვდა სამ-
კვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას, იგი არ იყო დავა სამკვიდროს გაყოფაზე და დავა არ შე-
იძლებოდა განხილულიყო სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად. "ნოტარიატის შესახებ" კანო-
ნის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიატი იყო საჯარო-სამართლებრივი ინ-
სტიტუტი, რომლის ამოცანა იყო პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამარ-
თლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. იმავე კანონის მე-3 მუხლის
პირველი პუნქტის მიხედვით, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალი იყო და
სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებდა სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანო-
ნისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ამდენად, ნოტარიუსის საქმიანობა სახელმწი-
ფოებრივი, ანუ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებად მიიჩნეოდა და, შე-
საბამისად, მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებას ექვემდებარებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის მიხედ-
ვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო ადმინისტრაციული ორგანოს
მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამარ-
თლებრივი აქტი, რომელიც აწესებდა, ცვლიდა, წყვეტდა ან ადასტურებდა პირის ან პირთა შეზ-
ღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ
აქტად ჩაითვლებოდა, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება
მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის
თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დო-
კუმენტი, რომელსაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სამართლებრივი შედეგები. "სანოტარო მოქმედება-
თა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ნოტარიუსის
დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, წარმოადგენდა ინდივი-
დუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერება შეიძლებოდა გასაჩივრებუ-
ლიყო სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილსამყოფელის მიხედვით, ადმინისტრაციული საპ-
როცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2
მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლებოდა
ყოფილიყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობას-
თან. იმავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით კი სასამართლოში
ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებუ-
ლება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე
ქმედების განხორციელების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას სწორედ
ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელება წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმი-
ნისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კო-
ლეგიის განჩინებების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ს-
ძის წარმომადგენელ ზ. ი-შვილის სასარჩელო განცხადება ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გაცემა-
ზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. ხ-ანის 2008 წლის 21 მარტის #21/03/08-
02 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ა. ა-არის (ქორწინებამდე -ფ-ვას) სამკვიდრო მოწ-
მობის გაცემის დავალდებულების თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ლ. ს-
ძის წარმომადგენელ ზ. ი-შვილის სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენს ა. ა-არის სამკვიდრო
მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. ხ-ანის 2008 წლის 21 მარ-
ტის #21/03/08-02 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ა. ა-არის (ქორწინებამდე -ფ-ვას)
სამკვიდრო მოწმობის გაცემის ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. ხ-ანისთვის დავალეობა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირვე-
ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის სა-
ფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის,
წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდი-
ვიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება, აგრეთვე, ადმინისტრაციული

ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტში მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, ანუ თუ სამართლებრივი აქტი გამოცემულია კერძო სამართლის საფუძველზე, აღნიშნული აქტი არ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის იმპერატიულ-ნორმატიულ მოთხოვნებს და შეიცავდეს აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ: სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო - ადმინისტრაციული აქტის ავტორი; სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან; ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართული უნდა იყოს კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისა და არსებული სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ანუ იგი უნდა აწესებდეს, ცვლიდეს, წყვეტდეს ან ადასტურებდეს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ელემენტები არა ალტერნატიული, არამედ კუმულაციური სახით არის რეგლამენტირებული. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, როდესაც იგი სრულად შეესაბამება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სავალდებულო რეკვიზიტებს, რომელთაგან ერთ-ერთის არარსებობა, სამართლებრივად, გამორიცხავს კონკრეტული დოკუმენტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ ნოტარიუსის მიერ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შინაარსის სამართლებრივი საფუძველი მოცემულ შემთხვევაში არის სამოქალაქო კოდექსის კერძო-სამართლებრივი ნორმები მეძვიდრეობის შესახებ და ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის გზით, ნოტარიუსის მიერ სრულდება სანოტარო მოქმედება, რომლის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რაც გადამწყვეტია დავის საგნობრივი განსჯადობის განსასაზღვრად, თუმცა, ფორმალური თვალსაზრისით, სანოტარო მოქმედების მეშვეობით, ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას "ნოტარიატის შესახებ" კანონის საფუძველზე. საკასაციო სასამართლო ასევე ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოტივაციას, რომ "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ნოტარიუსის დადგენილებას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ, განიხილავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომლის კანონიერება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც არ განაპირობებს მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევას, რადგან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი და ამდენად, "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის მხოლოდ ის დადგენილება ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილში ჩამოთვლილია, თუ რა შეიძლება იყოს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით

გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადაწყვეტია სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი - დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. კონკრეტულ დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა მის სამართლებრივ ბუნებას არ განსაზღვრავს, არამედ გადაწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. ხ-ანის 2008 წლის 21 მარტის #21/03/08-02 გადაწყვეტილება არ წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან იგი გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული სამართლის, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან. განსახილველ შემთხვევაში, სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე, ანუ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუს ნ. ხ-ანის 2008 წლის 21 მარტის #21/03/08-02 გადაწყვეტილება ემყარება სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს და აქედან გამომდინარე, მისი კანონიერების შემოწმება უნდა მოხდეს სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძველზე. სამემკვიდრეო ურთიერთობები რეგულირებულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით და შესაბამისად, ისინი წესრიგდება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნი მთლიანად ეთმობა მემკვიდრეობის სამართალს. ამ კოდექსის 1421-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. ამავე კოდექსის 1499-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეებად მოწვეულ პირებს შეუძლიათ სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოსაგან მოითხოვონ სამკვიდროს მოწმობა. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამკვიდრო მოწმობის მიღება სავალდებულოა. ამ შემთხვევაში მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებაში სამართლებრივ საფუძველად სწორედ სამოქალაქო კოდექსის 1499-ე მუხლზე მიუთითა. შესაბამისად, მოცემული დავა ფიზიკურ პირსა და ნოტარიუსს შორის დაკავშირებულია სამოქალაქო, კერძოდ, სამემკვიდრეო სამართალურთიერთობასთან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "ნოტარიატის შესახებ" კანონი ნოტარიუსის სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, განსაზღვრავს ნოტარიუსის უფლებამოსილებას, უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, კერძოდ, ამ კანონის 54-ე მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტებს. შესაბამისად, ნოტარიუსის მიერ მის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხის გადაწყვეტაზე უარი არ განაპირობებს მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიის დავად მიჩნევას. საკასაციო სასამართლო აქვე აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის ნოტარიუსმა ნ. ხ-ანმა 2008 წლის 21 მარტის #21/03/08-02 გადაწყვეტილების მიღებისას იხელმძღვანელა სწორედ სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლის პირველი ნაწილით, 1320-ე მუხლითა და "ნოტარიატის შესახებ" კანონის 54-ე მუხლით. სამოქალაქო კოდექსის 1307-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყვნენ მემკვიდრეები, ხოლო ამავე კოდექსის 1320-ე მუხლი ადგენს, თუ რა ითვლება სამკვიდროს გახსნის დროდ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე, რომლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი დაქვემდებარების განსაზღვრის პრინციპად დავის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობას აღიარებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავა სწორედ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი და შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დავაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ლ. ს-ძის წარმომადგენელ ზ. ი-შვილის სასარჩელო განცხადება ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. ხ-ანის 2008 წლის 21 მარტის #21/03/08-02 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ა. ა-არის (ქორწინებამდე -ფ-ვას) სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალდებულების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის "ა" ქვეპუნქტით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ს-ძის წარმომადგენელ ზ. ი-შვილის სასარჩელო განცხადება ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის ნოტარიუს ნ. ხ-ანის 2008 წლის 21 მარტის #21/03/08-02 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ა. ა-არის (ქორწინებამდე -ფ-ვას) სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალდებულების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1051-1004(კ-07წ) 29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: მოპასუხეებისათვის სოლიდარულად თანხის დაკისრების შესახებ

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა: ე. ც-ძემ, ს. კ-ძემ, ე. დ-ძემ, გ. კ-ძემ და მ. ც-ძემ სარჩელი აღძრეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში, მოპასუხეების -ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. კახაბრის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობისა და ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს მოპასუხეებისათვის სოლიდარულად თანხის ანაზღაურების დაკისრება.

საქმის გარემოებები:

ხელვაჩაურის რ-ნში აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს სრულუფლებიანი წარმომადგენლის 1992 წლის #378 განკარგულებით დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რ-ნის მეცხოველეობის სახელმწიფო სანაშენე მეურნეობის მოთხოვნა და მეცხოველეობის ფერმაში შესასვლელი გზის მარცხენა მხარეს, საბავშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიის მახლობლად, საფირმო მაღაზიის აშენების უფლება მიეცა. 1994 წლის 5 იანვარს ხელვაჩაურის რ-ნის მეცხოველეობის ფერმასა და საინიციატივო ჯგუფს შორის გაფორმდა ხელშეკრულება საფირმო მაღაზიის აშენების შესახებ. მოსარჩელეთა განმარტებით, მათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულეს ერთ წელიწადში, მშენებლობა აწარმოეს სანიტარული, სახანძრო და ეკოლოგიური ნორმების დაცვით, სამშენებლო მასალების შესყიდვა და თანხების ხარჯვა ხორციელდებოდა მეურნეობის დირექტორთან შეთანხმებით. მშენებლობის დასრულების შემდეგ მოითხოვეს მშენებლობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. მშენებლობის დამკვეთს არ გააჩნდა შესაბამისი თანხა და არც ობიექტი გაუშვია ექსპლუატაციაში. მოპასუხე ორგანიზაცია მოსარჩელებს ჰპირდებოდა, რომ მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებს ანაზღაურებდა მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, როცა ამის საშუალება ექნებოდათ.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

2002 წელს ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობამ შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღების გარეშე, მეურნეობის დირექტორთან შეთანხმებით, დაანგრია მათ მიერ აშენებული შენობა. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მოპასუხეები ადასტურებდნენ მათი მოთხოვნის კანონიერებას. ფინანსთა სამინისტ-

ტროში განკარგულების პროექტიც შედგა მათთვის სადავო თანხის გამოყოფის თაობაზე, თუმცა ამ კანონით დადგენილი წესით არ დამტკიცებულა.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელებმა სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317.1, 361-ე მუხლების საფუძველზე, მოითხოვეს მოპასუხეების მიერ სოლიდარულად 14,725 აშშ დოლარის შესაბამისი ეკვივალენტი ლარის გადახდა.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს –ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. კახაბრის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობასა და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობას სოლიდარულად დაეკისრათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ 14,725 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა მოსარჩელეთა სასარგებლოდ, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

რაიონულმა სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

აჭარის ა/რ სრულუფლებიანი წარმომადგენლის 1992 წლის #378 განკარგულებით დაკმაყოფილდა ხელვაჩაურის რაიონის მეცხოველეობის სახელმწიფო სანაშენე მეურნეობის მოთხოვნა და მეცხოველეობის ფერმაში შესასვლელი გზის მარცხენა მხარეს, საბავშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიის მახლობლად, საფირმო მაღაზიის აშენების უფლება მიეცა. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე 1994 წლის 5 იანვარს ხელვაჩაურის რ-ნის მეცხოველეობის ფერმასა და საინიციატივო ჯგუფს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, საინიციატივო ჯგუფს უნდა აეშენებინა მაღაზია. საინიციატივო ჯგუფმა თავისი ვალდებულება შეასრულა, კერძოდ, ჯიშსაშენი მეურნეობის მიერ გამოყოფილ ადგილზე აშენდა მაღაზია შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების მეურნეობის დირექტორთან შეთანხმებით, რისთვისაც მშენებელთა საინიციატივო ჯგუფის მიერ გაწეულ იქნა ხარჯები -14,725 აშშ დოლარი. მშენებლობა ასევე მიმდინარეობდა სხვა საჭირო ნებართვების შესაბამისად.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 316-ე-317-ე, 408-ე-409-ე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-208-ე მუხლები და განმარტა, რომ აღიშნულ ნორმათა საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნა ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, ვინაიდან ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიერ უკანონოდ დაინგრა საინიციატივო ჯგუფის მიერ აშენებული შენობა, ხოლო ხელვაჩაურის რაიონის გამგეობას გადაწყვეტილება აღნიშნული შენობის დანგრევის თაობაზე კანონის შესაბამისად არ მიუღია. ამასთან, არ უმსჯელიათ არც სასამართლო ინსტანციებში და არც სხვა უწყებებში შენობის არსებობის კანონიერებასა და უკანონობაზე. შენობის დემონტაჟი მოხდა ხელვაჩაურის რ-ნის იმჟამინდელი გამგებლის სიტყვიერი განკარგულების საფუძველზე.

რაც შეეხება 2002 წლის 5 მარტს ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის წარმომადგენელთა მიერ შედგენილ აქტს, სასამართლოს განმარტებით, ის არ შეიძლება მიჩნეულიყო რაიმე დამადასტურებელ მტკიცებულებად. აქტის შედგენა შეიძლება გამხდარიყო საფუძველი შენობის დანგრევის თაობაზე მსჯელობის დაწყებისა და არა დანგრევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა. ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიმართ მოთხოვნის კანონიერებას ადასტურებდა ხელვაჩაურის რ-ნის გამგებლის -ჯ. ა-ძის წერილები აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს მიმართ, საიდანაც ჩანდა, რომ გამგეობა, ფაქტობრივად, აღიარებდა საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნის კანონიერებას და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვდა საინიციატივო ჯგუფის სასარგებლოდ საკომპენსაციო თანხების გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას, ასევე აჭარის ა/რ ფინანსთა მინისტრის 2003 წლის 23 აპრილის წერილი, რომლითაც ირკვეოდა, რომ არსებობდა თანხების გამოყოფის თაობაზე გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც დარჩა განუხორციელებელი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. კახაბრის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობა "კახაბერმა", რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, რაიონულმა სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა მხოლოდ მოსარჩელების მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ყოფილი დირექტორის განმარტებების საფუძველზე და არ გაითვალისწინა სახელმწიფო ინტერესი. რაიონულმა სასამართლომ სრულყოფილად არ შეაფასა 1994 წელს გაფორმებული ხელშეკრულება, ასევე ყოფილი დირექტორის -გ. ბ-ძის მიერ დამტკიცებული აქტები, სადაც ხელს აწერდნენ დაინტერესებული პირები მაშინ, როცა იმ დროს ჯიშსაშენ მეურნეობას შტატით გათვალისწინებული ჰყავდა და მუშაობდა ინჟინერ-მშენებელი რ. კ-შვილი, რითაც ჩანდა, რომ ყველა აქტი დაწერილი იყო ერთი პირის მიერ. სასამართლომ ასევე არ გამოიკვლია, ჰქონდა თუ არა ჯიშსაშენ მეურნეობას დებულებით გათვალისწინებული, ეწარმოებინა მაღაზიის მშენებლობა.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 1995 წლის 30 ივნისამდე, ხოლო შენობის დანგრევის მომენტში შენობა დაუსრულებელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ მითითებული ხელშეკრულება დადებული იყო 1994 წლის 5 იანვრიდან 2004 წლის 5 იანვრამდე, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ხელშეკრულება და სხვა შესაბამისი აქტები შედგენილი

იყო შენობის დანგრევის შემდეგ. ამასთან, პროექტი არ იყო დამტკიცებული და არ არსებობდა გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ. მალაზიის ტერიტორია მოხვედრილი იყო აეროპორტის საფრენი ბილიკის გაფართოების ზოლში, სადაც აკრძალული იყო ყოველგვარი მშენებლობა. აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმებული იყო იმ დროს ჯიშსაშენი მეურნეობის დირექტორსა და მისი ოჯახის წევრებს შორის. ამდენად, დირექტორის ქმედებაში არსებობდა სხვა დანაშაულის ნიშნები.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. კახაბრის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობა "კახაბრის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. კახაბრის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობასა და ხელვაჩაურის რაიონის გამგეობას მოსარჩელეთა სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 7000 აშშ დოლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ე. ც-მემ, ს. კ-მემ, ე. დ-მემ, გ. კ-მემ და მ. ც-მემ, რომლებმაც მოითხოვეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ასევე ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის განჩინებით ე. ც-მის და სხვათა, ასევე, ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის საკასაციო საჩივრების საფუძველზე გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით მეცხოველეობის სახელმწიფო ჯიშსაშენი საწარმო "კახაბრის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ც-მისა და სხვათა სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობა იცნობდა ზიანის ანაზღაურების ორ ძირითად ფორმას - ვალდებულებითი ურთიერთობიდან გამომდინარე და დელიქტის საფუძველზე წარმოშობილ ზიანს. ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას ითხოვდნენ საინიციატივო ჯგუფის წევრები (მოსარჩელები) მეურნეობისაგან. გამგეობის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წარმოადგენდა დელიქტის (ნაგებობის უკანონო დემონტაჟის) საფუძველზე წარმოშობილ ზიანს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელი იყო, თუ მოხდებოდა ქმედების მართლწინააღმდეგობა. საქმის მასალებით დადასტურდა, რომ შენობა აშენდა პროექტისა და ნებართვის გარეშე, რაც წარმოადგენდა მისი დემონტაჟის საფუძველს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დადგომისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო ზიანის მიმყენებლის ბრალი. სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ ბათუმის საქალაქო პროკურორის დადგენილებით დასტურდებოდა, რომ შენობის დემონტაჟის წინააღმდეგი არ იყო მისი ფორმალური მესაკუთრე ჯიშსაშენი მეურნეობის დირექტორი. ამდენად, არ იკვეთებოდა მოხელეთა ბრალი ზიანის მიყენებაში.

სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, 992-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებდა ზიანს, ვალდებული იყო, აენაზღაურებინა ეს ზიანი. მოცემულ შემთხვევაში, შენობა აშენებული იყო პროექტისა და ნებართვის გარეშე, რაც წარმოადგენდა დემონტაჟის საფუძველს. ამდენად, არ მომხდარა არც მართლსაწინააღმდეგო და არც ბრალეული ქმედება, რაც გამორიცხავდა სსკ-ის 1005.1. მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ე. დ-მემ, რომელმაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი და უკანონოა. იგი მიღებულია საპროცესო ნორმათა არსებითი დარღვევით. სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და არასწორად განმარტა კანონი. სასამართლომ არ შეასრულა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 ივნისის განჩინებაში გათვალისწინებული მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა ბათუმის საქალაქო პროკურატურის 2004 წლის 26 ნოემბრის დადგენილება. აღნიშნული ვერ გახდებოდა ობიექტის კანონიერად დან-

გრევის მტკიცების საფუძველი, ვინაიდან, როგორც დადგენილებიდან ჩანდა, მასში საუბარი იყო ხელვაჩაურის რაიონის ყოფილი გამგებლის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით. პროკურატურამ მხოლოდ სისხლისსამართლებრივი კუთხით გამოიკვლია გამგებლის ქმედება, ხოლო მოქმედებდა თუ არა ხელვაჩაურის გამგეობა, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ამის შესახებ დადგენილებაში არაფერი იყო მითითებული. ამდენად, აღნიშნული დადგენილება ვერ გახდებოდა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მშენებლობის დანგრევა კანონიერად განხორციელდა.

კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობაზე მიუთითებს ასევე 1994 წლის 5 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 პუნქტი. აღნიშნული პუნქტის ბოლო ნაწილის შესაბამისად, ჯიშსაშენი მეურნეობა იღებს ვალდებულებას, მშენებლობის ხარჯების ანაზღაურებამდე, მაღაზიის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან საინიციატივო ჯგუფს გადაუხადოს ქირა, დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელვაჩაურის რაიონის გამგეობამ აღნიშნულის უფლებაც მოუსპო საინიციატივო ჯგუფის წევრებს თავისი უკანონო ქმედებით, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მათ.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 13 მაისის განჩინებით ე. დ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3. "გ" პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე კასატორმა ე. დ-მემ წარმოადგინა წერილობითი განცხადება, რომლის მიხედვით მან და თანამოსარჩელებმა ე. და მ. ც-ძეებმა, გ. და ს. კ-ძეებმა უარი განაცხადეს სარჩელის მოთხოვნის ნაწილზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ. კასატორმა ჯიშსაშენი საწარმო "კახაბერის" მიმართ მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება და მისთვის 14725 აშშ დოლარის დაკისრება მოსარჩელეთა სასარგებლოდ.

მოსარჩელეთა საპროცესო უფლების - სარჩელზე უარის თქმის, რეალიზაციას საკასაციო სასამართლოში დაეთანხმა მოწინააღმდეგე მხარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა-კანონიერების შემოწმებისა და საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ე. დ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება და ე. დ-მისა

და სხვათა სარჩელის ნაწილზე ხელვაჩაურის რ-ნის გამგეობის მიმართ, შეწყდეს საქმის წარმოება სარჩელზე უარის თქმის გამო, ხოლო ე. დ-მისა და სხვათა სარჩელი ჯიშსაშენი საწარმო "კახაბერის" მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას დარღვეულია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლისა და 394-ე მუხლის "ა" და "ე" პუნქტების მოთხოვნები; სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით იმდენად დაუსაბუთებელია, რომ შეუძლებელია მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება.

სააპელაციო სასამართლოს სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებისას არ უმსჯელია სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების თაობაზე, მაშინ, როცა სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლი ცალსახად განსაზღვრავს სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის საფუძვლებს, კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნაგებობის დემონტაჟის საკითხში ადმინისტრაციულ ორგანოსთან ერთად კერძოსამართლის სუბიექტის სოლიდარული პასუხისმგებლობის წარმოშობას. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უკანონო ნაგებობის დემონტაჟი წარმოადგენს ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებას. ნაგებობის მესაკუთრეს წარმოადგენდა ჯიშსაშენი საწარმო "კახაბერი", რომელთანაც მოსარჩელებს აკავშირებდათ სახელშეკრულებო ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სუბიექტთა სოლიდარული ვალდებულება უმეტესად დამახასიათებელია სამოქალაქო ბრუნვისათვის, როდესაც ურთიერთობის ერთ მხარეზე რამდენიმე მოვალე, მეორე მხარეს, კრედიტორი. მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა საჯაროსამართლებრივ სივრცეში, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, რომლის მოქმედების კანონიერების შემოწმების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გააჩნდა

სწორედ ჯიშსაშენ საწარმო "კახაბერს", როგორც ნაგებობის მესაკუთრეს და არა საწარმოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ ფიზიკურ პირებს.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში სოლიდარული პასუხისმგებლობისათვის სავალდებულო მოვალეთა სიმრავლე არ არსებობს, რაც სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არ ყოფილა, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393.2. მუხლის "ზ" ქვეპუნქტის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელე ე. დ-მემ უარი განაცხადა სარჩელის მოთხოვნის ნაწილზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რასაც დაეთანხმნენ თანამოსარჩელეები და მოწინააღმდეგე მხარე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი. ამდენად, მოსარჩელებმა სარჩელის მოთხოვნის ნაწილზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რომლის შესაბამისად, სამოქალაქო სამართალწარმოება აგებულია დისპოზიციურობის პრინციპზე, რაც მოცემულ საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა ნების თავისუფლებას, შეხედულებებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელებმა, უარი თქვეს რა სარჩელის მოთხოვნის ნაწილზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, ამგვარად გამოხატეს ნება თავიანთი საპროცესო და მატერიალური უფლების რეალიზაციაზე, რაც სავალდებულოა სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე ფიზიკური პირების ნების შეუზღუდავი გამოვლენა, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. დ-მისა და სხვათა სარჩელის ნაწილზე, მოპასუხე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სსსკ-ის 272 "გ" მუხლის საფუძველზე უნდა შეწყდეს საქმის წარმოება, მოსარჩელეთა მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ხელახლა მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძველით, დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. დ-მისა და სხვათა სარჩელი ჯიშსაშენი საწარმო "კახაბერის" მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს უფლებამოსილ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში საინიციატივო ჯგუფის წევრების -ე. ც-მის, ს. კ-მის, ე. დ-მის, გ. კ-მისა და მ. ც-მის სარჩელი თავდაპირველად მიმართული იყო, მოპასუხეების -ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კახაბერის მეცხოველეობის სანაშენე სახელმწიფო მეურნეობისა და ადმინისტრაციული ორგანოს ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოსარჩელები მოითხოვდნენ მოპასუხეებისათვის სოლიდარულად თანხის ანაზღაურების დაკისრებას. იმ ვითარებაში, როცა საქმის წარმოება მოპასუხე ხელვაჩაურის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ შეწყდა, მოსარჩელეთა მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო, მოცემული დავა არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას და იგი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რამდენადაც, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხე კერძო სამართლის იურიდიული პირის ჯიშსაშენი საწარმო "კახაბერისათვის" თანხის ანაზღაურების დაკისრება, რაც წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელიც გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, არამედ, კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ, სწორედ სამოქალაქო კოდექსი არეგულირებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სამოქალაქო საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს სამართლებრივ ურთიერთობას, ასე მაგალითად: სსს კოდექსის 11.1. "ა" მუხლის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას აღარ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი არც ერთი ელემენტი, კერძოსამართლებრივი დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და სარჩელი არ არის მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /მუხლი 26-ე/, კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1. მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს, საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე "ა" მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ე. დ-მის სარჩელი მოპასუხე ჯიშსაშენი საწარმო "კახაბერის" მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 257-ე, 272-ე, 390-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. დ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება;
3. ე. დ-ძის და სხვათა სარჩელის ნაწილზე ხელვაჩაურის რაიონის გამგეობის მიმართ შეწყდეს საქმის წარმოება, სარჩელზე უარის თქმის გამო;
4. ე. დ-ძის და სხვათა სარჩელი ჯიშსაშენი საწარმო "კახაბერის" მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
5. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-760-732 (გ-08)

10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა გ. ი-შვილის კერძო საჩივრის განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 1 ივნისს გ. ი-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ - "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა სსიპ - "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დირექტორის 2007 წლის 8 მაისის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასა და ამ აქტის გამოცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სსიპ - "საზოგადოებრივი მაუწყებლის" რეჟისორის საშუალო თანამდებობრივი სარგოს ოდენობით 2005 წლის 1 იანვრიდან სამსახურში დაშვებამდე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ივნისის განჩინებით, დაუმეგობლობის მოტივით შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება გ. ი-შვილის სარჩელის გამო, მოპასუხე სსიპ - "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ, სსიპ - "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დირექტორის 2007 წლის 8 მაისის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

საქალაქო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ სსიპ - "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2007 წლის 8 მაისის წერილი არ წარმოადგენდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რადგან მას არ მოჰყოლია სამართლებრივი შედეგი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელსაც მოჰყვება სამართლებრივი შედეგი - გ. ი-შვილის სამსახურიდან გათავისუფლება, წარმოადგენდა სსიპ - "საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის" თავმჯდომარის 2005 წლის 25 იანვრის #11-კ ბრძანება, რომელიც მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ იქნა კანონით დადგენილი წესით და განსახილველი საქმის დავის საგანს არ წარმოადგენდა.

სასამართლოს განმარტებით, სადავო წერილს არ მოჰყოლია რაიმე სამართლებრივი შედეგი და, შესაბამისად, ამ წერილით მოსარჩელის კანონიერ უფლებას არ მისდგომია პირდაპირი და უშუალო ზიანი.

აღნიშნულის გამო, სასამართლოს მითითებით, გ. ი-შვილის სარჩელი არ აკმაყოფილებდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ი-შვილმა.

კერძო საჩივრის ავტორი კერძო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ივნისის განჩინების გაუქმებასა და მისი სარჩელის დასაშვებად ცნობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, გ. ი-შვილის კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით გადაეცა უფლებამოსილ -თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას

სააპელაციო სასამართლო განჩინებაში მიუთითებდა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2. მუხლი აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავა არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურ-თიერთობის არსებობა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება, მათ შორის, ბრძანება მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის “დ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

მართალია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტია და იმავდროულად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველზე წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მაგრამ მისი თანამშრომლის მიმართ ყოველთვის ვერ გავრცელდება “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის ნორმები. მითითებული კანონის პრეამბულაში განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო, კერძოდ, აღნიშნული კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდომარეობას. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალში საჯარო სამართლის იურიდიული პირი გათვალისწინებული არ არის.

სააპელაციო პალატის განმარტებით, საჯარო დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობით არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებს კერძო სამართლებრივი საკანონმდებლო აქტის -შრომის კანონთა კოდექსის საფუძველზე, ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, როგორც ეს მოცემულ შემთხვევაშია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატის მოსაზრებით, სსიპ “საზოგადოებრივი მაწყვებლის” გენერალური დირექტორის 2007 წლის 8 მაისის წერილი ემყარება კერძო სამართლის კანონმდებლობას და სარჩელის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში, მისი კანონიერება უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 მაისის განჩინებით გ. ი-შვილის კერძო საჩივრი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ი-შვილის კერძო საჩივარი წარმოადგენს თბილისის

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას, რის გამოც, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: გ. ი-შვილი მუშაობდა სსიპ –“საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობაში” რეჟისორის თანამდებობაზე. სსიპ –“საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის” თავმჯდომარის 2005 წლის 25 იანვრის #11-კ ბრძანების საფუძველზე გ. ი-შვილი გათავისუფლდა სამსახურიდან. 2007 წლის 4 მაისს გ. ი-შვილმა განცხადებით მიმართა სსიპ –“საზოგადოებრივ მაუწყებელს” და მოითხოვა მისი სამსახურიდან გათავისუფლების არასწორი და არაკანონიერი ფორმულირების დადასტურება, რაზედაც სსიპ –“საზოგადოებრივი მაუწყებლის” დირექტორის 2007 წლის 8 მაისის წერილით მას ეცნობა, რომ სსიპ –“საზოგადოებრივი მაუწყებლის” მხრიდან მისი სამსახურიდან გათავისუფლებისას კანონი არ დარღვეულა. გ. ი-შვილის სასარჩელო მოთხოვნებს წარმოადგენს: 1. სსიპ –“საზოგადოებრივი მაუწყებლის” დირექტორის 2007 წლის 8 მაისის “ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის” ბათილად ცნობა და 2. სსიპ –“საზოგადოებრივი მაუწყებლის” დირექტორის 2007 წლის 8 მაისის “ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის” გამოცემით მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” რეჟისორის საშუალო თანამდებობრივი სარგოს ოდენობით 2005 წლის 1 იანვრიდან სამსახურში დაშვებამდე. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 29 ივნისის განჩინებით დაუშვებლობის მოტივით, შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება გ. ი-შვილის სარჩელის გამო მოპასუხე სსიპ –საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიმართ, სსიპ –“საზოგადოებრივი მაუწყებლის” დირექტორის 2007 წლის 8 მაისის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ამ მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა განიხილება იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმეები, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ამდენად, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მითითებული ნორმატიული ელემენტის არსებობას, კერძოდ, დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში გ. ი-შვილსა და სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს” შორის დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან დაკავებული თანამდებობიდან გ. ი-შვილის გათავისუფლების შესახებ სსიპ “საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის” თავმჯდომარის 2005 წლის 25 იანვრის #11-კ ბრძანების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს შრომის კანონთა კოდექსის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის “ვ” ქვეპუნქტი, მით უფრო 2007 წლის 8 მაისის სადავო წერილს საფუძველად არ უდევს ადმინისტრაციული კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონის მე-2 მუხლზე, რომლითაც რეგლამენტირებულია სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად. აღნიშნულ ჩამონათვალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ნახსენები არ არის. საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტზე, მითითებას არ შეიცავს ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის #286 ბრძანებულებით დამტკიცებული “საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრი”.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კერძო საჩივრის ავტორი არ წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეს და მასზე ვრცელდება არა “საჯარო სამსახურის შესახებ” კანონი, არამედ იმჟამად მოქმედი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი. ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული დოკუმენტი არ აკმაყოფილებს ადმინისტრაციული აქტისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც მისი კანონიერების შემოწმება ვერ მოექცევა ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, ამასთან, გ. ი-შვილისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც გ. ი-შვილის კერძო საჩივარი განსახილველად უნდა გადაეცეს განსჯად სასამართლოს –თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. გ. ი-შვილის კერძო საჩივრი მოპასუხის -სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-592-566(გ-08) 24 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ცისკაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ლ. ს-ძის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ს-ძემ 18.04.08წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ნოტარიუს ნ. ხ-ანის მიმართ, რომლითაც სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მოპასუხის 21.03.08წ. #21/03/08-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.05.08წ. განჩინებით ლ. ს-ძის წარმომადგენლის -ზ. ი-შვილის სასარჩელო განცხადება ქ. თბილისის ნოტარიუსის -ნ. ხ-ანის მიმართ ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ 21.03.08წ. #21/03/08-03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ა. ა-არის სამკვიდრო მოწმობის გამოცემის დავალებების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს, კერძოდ, ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამასთან, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტია ისეთი ნორმატიული დოკუმენტი, როგორცაა დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ ნოტარიუსის მიერ შესასრულებელი სანოტარო მოქმედების შინაარსის სამართლებრივი საფუძველი მოცემულ შემთხვევაში არის კერძოსამართლებრივი -სამოქალაქო კოდექსის ნორმებით მემკვიდრეობის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ ნოტარიუსის მიერ სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის გზით ნოტარიუსის მიერ სრულდება სანოტარო მოქმედება, რომლის მატერიალურ სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კოდექსის ნორმები. შინაარსობრივად ნოტარიუსის მოქმედება

სწორედ აღნიშნული ნორმებით არის დეტერმინირებული, რაც გადამწყვეტია დავის საგნობრივი განსჯადობის განსასაზღვრად, თუმცა, ფორმალური თვალსაზრისით, სანოტარო მოქმედების მეშვეობით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. სასამართლომ მიუთითა, რომ "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ნოტარიუსის დადგენილებას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ განიხილავს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომლის კანონიერება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც არ განაპირობებს მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევას. სასამართლომ აღნიშნა, რომ აუცილებელია ზემოაღნიშნული ნორმის სწორი ინტერპრეტაცია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტთან მიმართებაში, რომელიც იძლევა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნებას. აღნიშნული მუხლის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. ამდენად, "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის მხოლოდ ის დადგენილება ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. განსახილველ შემთხვევაში კი, სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის დადგენილება ემყარება სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს და აქედან გამომდინარე, მისი კანონიერების შემოწმება უნდა მოხდეს სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძველზე. "რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 4.11.97წ. #649 ბრძანებულებაში 12.04.05წ. საქართველოს პრეზიდენტის #213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებების თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა თბილისის რაიონული სასამართლოები და შეიქმნა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელშიც ჩამოყალიბდა სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები - ადმინისტრაციულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიები. "საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქმე უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს აღნიშნული საქმე, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 03.06.08წ. განჩინებით ლ. ს-მის წარმომადგენლის -ზ. ი-შვილის სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რადგან მოსარჩელე არ ითხოვს სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას, არ დაობს სამკვიდროს გაყოფაზე და დავა არ შეიძლება განხილულ იქნეს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად. "ნოტარიატის შესახებ" კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება. იმავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე. ამდენად, სამოქალაქო კოლეგიის მოსაზრებით, ნოტარიუსის საქმიანობა სახელმწიფოებრივ, ანუ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებად მიიჩნევა და შესაბამისად, მისი საქმიანობა ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირებას ექვემდებარება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინ-

სტრუქციის მე-7.3 მუხლის თანახმად, ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მისი კანონიერება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილსამყოფლის მიხედვით, ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას სწორედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განხორციელება წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ს-მის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ფორმალური თვალსაზრისით სანოტარო მოქმედების მეშვეობით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას "ნოტარიატის შესახებ" კანონის საფუძველზე. ამასთანავე, დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ნოტარიუსის მოქმედების სადავობის დროს სარჩელის განსჯადობის საკითხის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სანოტარო მოქმედების შინაარსის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში იმას თუ რა უდევს საფუძველად "კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაცემის მოთხოვნის თაობაზე უარის თქმის შესახებ" ნოტარიუსის დადგენილებებს -კერძო თუ საჯარო სამართლის კანონმდებლობა.

განსახილველ საქმეზე ლ. ს-მის სარჩელის საგანია სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხისათვის სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალება. "ნოტარიატის შესახებ" კანონის 54-ე მუხლის თანახმად, ნოტარიუსი უფლებამოსილია, უარი თქვას სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ სანოტარო მოქმედების შესრულება ეწინააღმდეგება კანონს ან სამართლებრივ აქტებს. ნოტარიუსის უარი თავისთავად არ განაპირობებს განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნებას. ფორმალური თვალსაზრისით, სანოტარო მოქმედების მეშვეობით ნოტარიუსი ყოველთვის ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას "ნოტარიატის შესახებ" კანონის საფუძველზე. ამასთანავე, დავის საგნობრივი განსჯადობის გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. ნოტარიუსის სადავო გადაწყვეტილებით სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია სამკვიდრო მოწმობის გაცემამდე სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე კანონიერ მემკვიდრეთა წრის დადგენის აუცილებლობა. ამდენად, ნოტარიუსის სადავო გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს, სწორად არის თუ არა ნოტარიუსის მიერ გამოყენებული და განმარტებული მოსარჩელესთან მიმართებაში სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ნოტარიუსის უარი ემყარება სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმებს, საქმის განმხილველმა სასამართლომ მემკვიდრეობითი სამართლის ნორმათა საფუძველზე უნდა დაადგინოს სადავო ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი და აღნიშნულის გათვალისწინებით შეამოწმოს ნოტარიუსის სადავო გადაწყვეტილების მართლობიერება, რაც გადამწყვეტია დავის საგნობრივი განსჯადობის დასადგენად. აღნიშნული უნდა განხორციელდეს შესაბამისი სამართალწარმოების, სახელდობრ, სამოქალაქო სამართალწარმოების მეშვეობით. სასამართლოს ამ შემთხვევაში არ სჭირდება ნოტარიუსის უარის შინაარსის შეფასება ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

ის გარემოება, რომ "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად განიხილავს, არ განაპირობებს მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას. ზემოაღნიშნული ნორმა უნდა განიმარტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ ნორმასთან ურთიერთკავშირში, კერძოდ, სზაკ-ის მე-2 მუხლის "დ" ქვეპუნქტთან ერთად. აღნიშნული ნორმის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიიჩნევა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონ-

მდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. ამდენად, "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის მხოლოდ ის გადაწყვეტილება ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შესახებ ნოტარიუსის დადგენილება ემყარება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებს და აქედან გამომდინარე, მისი კანონიერება სამოქალაქო სამართალწარმოების წესების გამოყენებით უნდა დადგინდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მიიჩნევს, რომ მოცემული დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, იგი წარმოადგენს სსკ-ის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას და ასკ-ის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად უნდა გადაეგზავნოს უფლებამოსილ სასამართლოს -თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ს-ძის სარჩელი მოპასუხე ნოტარიუს ნ. ხ-ანის მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-584-561(გ-08) 26 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ცისკაძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თ. ჟ-ანისა და სხვათა სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ჟ-ანმა, თ. ღ-ძემ, ნ. გ-ანმა, დ. ზ-აამ, ი. მ-შვილმა, ს. მ-შვილმა, ც. ნ-ურმა და თ. კ-ძემ 2002 წელს სარჩელით მიმართეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს ჟ. ხ-ძის, თბილისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის, თბილისის არქიტექტურის სამსახურის, შპს "არკოდის" და ინდ. საწარმო "კოდაკოს" მიმართ და თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.09.2001წ. #დიზ-43 ბრძანების, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის -სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის 24.12.2001წ #20-1/05-2706 წერილის ბათილად ცნობა და ჟ. ხ-ძისათვის ... ქ. #6-ში მდებარე მის კუთვნილ ფართში სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტის, კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების და ფანჯრის ღიობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის დავალება მოითხოვეს.

მოსარჩელეთა განმარტებით, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.09.2001წ. #დიზ-43 ბრძანებით შეთანხმდა თბილისში, ... ქ. #6-ში მოქ. ჟ. ხ-ძის კუთვნილ საცხოვრებელ ფართში, ფანჯრის ღიობში, კარების ჩაჭრის პროექტი, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექ-

ციის 24.12.2001წ #20-1/05-2706 წერილით მოქ. ყ. ხ-მის ნება დაერთო თბილისში, ... ქ. #6-ში გამოყოფილ ფართში სასურსათო მაღაზიის მოწყობაზე. ყ. ხ-მის მიერ თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე, მის კუთვნილ ფართში ფანჯრის ღიობის გადაკეთება, კარების გაჭრა მოხდა მოსარჩელების (... ქ. #6-ში მცხოვრები პირების) თანხმობის გარეშე. მოსარჩელები თვლიან, რომ კედელი, რომელშიც ფანჯრის ნაცვლად მოწყობილ იქნა კარები, წარმოადგენს საყრდენ კედელს და სამოქალაქო კოდექსის 112-ე მუხლის თანახმად, კორპუსში მცხოვრები სხვა მესაკუთრეების თანასაკუთრებაა. ფანჯრის ღიობის გადაკეთებით, შენობის გარეგნული სახის შეცვლით შეილახა სხვა მესაკუთრეების (მოსარჩელების) საკუთრების უფლება. საყრდენი კედელი, რომელიც საგრძნობლად არის გადაწეული კიდევ მეტად ავარიული გახდა კარების გაჭრის გამო, არსებობს ხანძრის გაჩენის საშიშროება. მაღაზიის ფუნქციონირებით ირღვევა მოსარჩელეთა საყოფაცხოვრებო პირობები, არის საშიშელი ხმაური, მაღაზია განთავსებულია სამინებელი ოთახების ქვემოთ.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 26.03.02წ განჩინებით საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის -თბილისის არქიტექტურის სამსახურის (თბილისის მთავარი არქიტექტორის) 26.09.01წ #დიზ-43 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე და გაგრძელდა მისი განხილვა.

იმავე სასამართლოს 26.03.02წ მეორე განჩინებით ქ. თბილისის მერიის ინსპექციის 24.12.01წ #20-1/05-2706 წერილის ბათილად ცნობის და თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე ყ. ხ-მის კუთვნილ ფართში სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტისა და კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების შესახებ სასარჩელო მოთხოვნების განხილვა შეჩერდა თბილისის არქიტექტურის სამსახურის (თბილისის მთავარი არქიტექტორის) 26.09.01წ #დი-43 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის განხილვამდე და გადაწვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 27.03.02წ გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი მოპასუხის -თბილისის არქიტექტურის სამსახურის (თბილისის მთავარი არქიტექტორის) 26.09.01წ #დი-43 ბრძანება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 09.06.03წ #3ბ/334 განჩინებით ყ. ხ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 27.03.02წ გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 03.12.03წ განჩინებით ყ. ხ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ძალაში დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 09.06.03წ #3ბ/334 განჩინება.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 23.04.03წ #3ბ/334-03 განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება ს. მ-შვილის სარჩელზე, მისი გარდაცვალების გამო, აგრეთვე ო. კ-მის სარჩელზე, მის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო.

ყ. ხ-მემ 21.01.04წ განცხადებით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის არქიტექტურის სამსახურის (თბილისის მთავარი არქიტექტორის) 26.09.01წ #დიზ-43 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე დასრულებული საქმის წარმოების განახლება.

“რაიონული (საქალაქო) სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ” საქართველოს პრეზიდენტის 14.11.1997წ #649 ბრძანებულებაში საქართველოს პრეზიდენტის 12.04.05წ #213 ბრძანებულებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ყ. ხ-მის 21.01.04წ განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 07.06.07წ #2/5727 განჩინებით განახლდა თ. ყ-ანის და სხვათა სარჩელის გამო, მოპასუხეების ყ. ხ-მის, თბილისის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის, შპს “არკოდის” და ინდ. საწარმო “კოდაკო+-ის” მიმართ, ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის -სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის 24.12.01წ #20-1/05-2706 წერილის ბათილად ცნობისა და ყ. ხ-მის კუთვნილ ფართში მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტისა და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ აღძრული საქმის წარმოება და განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. ყ. ხ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 07.06.07წ #2/5727 განჩინებით ქ. ხ-ძის 21.01.04წ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, განსჯადობის წესის დაცვით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.02.08წ #3/2628-07 განჩინებით არ დაკმაყოფილდა ქ. ხ-ძის განცხადება თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 27.03.02წ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამავე სასამართლოს 28.03.08წ. გადაწყვეტილებით ბთილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლის დღიდან ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის -სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი -24.12.01წ. წერილი, რომლითაც ქ. ხ-ძეს ნება დაერთო ქ. თბილისში, ... ქ. #6-ში გამოყოფილ ფართში სასურსათო მაღაზიის მოწყობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.03.08წ განჩინებით ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის, მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტის, კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ აღძრულ #3/2628-07 ადმინისტრაციულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მოსარჩელების მოთხოვნა ქ. ხ-ძის მიმართ ქ. თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე ფართში სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტისა და კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების, ფანჯრის ღიობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ და გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სასამართლოებს შორის სარჩელის განსჯადობის გამო დავის გადასაწყვეტად.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელის მოთხოვნები სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტისა და კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების, ფანჯრის ღიობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი შინაარსის დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნებს. სარჩელი მოტივირებულია იმით, რომ თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე ფართში სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირებით ირღვევა მათი საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები, მაღაზიის ფუნქციონირება იწვევს ხმაურს, ანტისანიტარიას, ფანჯრის ღიობის კარებად გადაკეთება საფრთხეს უქმნის შენობის საყრდენ კედელს, მთლიანი შენობის მდგრადობას. სასამართლოს აზრით, უდავოა, რომ ეს სასარჩელო მოთხოვნები ემსახურება მოსარჩელების, როგორც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრების, სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების (საკუთრების უფლების, ჯანმრთელობისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების) დაცვას, ეს სასარჩელო მოთხოვნები მიმართულია მოპასუხე ფიზიკური პირის -ქ. ხ-ძის და არა რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს წინააღმდეგ. სასამართლომ მიიჩნია, რომ რადგან მოსარჩელე ფიზიკური პირების სასარჩელო მოთხოვნები თავისი არსით სამოქალაქო-სამართლებრივია და ამ მოთხოვნათა სუბიექტია ფიზიკური პირი, დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. კერძოდ, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში ბინის მესაკუთრის მიერ მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული, აგრეთვე, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენების წესები და პირობები, ასეთ მრავალბინიან სახლებში თანამესაკუთრეთა უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტების -სამოქალაქო კოდექსის, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონის ნორმებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის დავა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნათა საფუძვლიანობა უნდა შემოწმდეს და დავა უნდა გადაწყდეს კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტების ნორმებზე დაყრდნობით, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, მათ შორის -სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს შორის.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1 ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

სამოტივაცი ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების გაცნობის, სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსარჩელების შესწავლის შედეგად თვლის, რომ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.08წ განჩინებით ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის, მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტის, კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ ადმინისტრაციულ საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მოსარჩელების მოთხოვნა ქ. ხ-ძის მიმართ, თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე ფართში სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტისა და კანონდარღვევით გაჭრილი მაღაზიის კარების გაუქმების, ფანჯრის ღიობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავა სამოქალაქო კოლეგიის განსჯადი იყო, ვინაიდან დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობები, წარმოქმნილი თბილისის არქიტექტურის სამსახურის 26.09.01წ. ბრძანების, აგრეთვე, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის 24.12.01წ. #20-1/05-2706 წრილის ბათილად ცნობის მოთხოვნებთან დაკავშირებით განხილულია დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 27.03.02წ. გადაწყვეტილებით, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 09.06.03წ. განჩინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 03.12.03წ. განჩინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.03.08წ. გადაწყვეტილებით. საკასაციო პალატა იზიარებს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის მოსარჩეობას იმის თაობაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნების დანარჩენი მოთხოვნები, რომელიც უკავშირდება სასურსათო მაღაზიის ფუნქციონირების შეწყვეტას და მაღაზიის კარების გაუქმებას, ფანჯრის ღიობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანას არ განეკუთვნება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მედ-11 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული, თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, მათ შორის, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმომობილ დავებს მოქალაქეებს შორის.

სასარჩელო მოთხოვნები ემსახურება მოსარჩელების, როგორც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის თანამესაკუთრების, სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების (საკუთრების უფლების, ჯანმრთელობისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების) დაცვას, სასარჩელო მოთხოვნები მიმართულია მოპასუხე ფიზიკური პირის -ქ. ხ-ძის მიმართ. საქმეში მხარედ არ გამოდის რომელიმე ადმინისტრაციული ორგანო. შესაბამისად, რადგან მოსარჩელე ფიზიკური პირების სასარჩელო მოთხოვნები თავისი არსით სამოქალაქო-სამართლებრივია, მოთხოვნები წაყენებული აქვს ფიზიკურ პირს, დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

მრავალბინიან სახლებში ქონების გამოყენების წესები და პირობები, თანამესაკუთრეთა უფლებამოსილებანი განისაზღვრება კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტების -სამოქალაქო კოდექსის, "ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" კანონის ნორმებით, რომალთა გამოყენებით უნდა იქნას შემოწმებული სასარჩელო მოთხოვნათა საფუძვლიანობა და განისაზღვროს სამართლებრივი შედეგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, შესაბამისად დავის დარჩენილი ნაწილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ამდენად საქმე განსჯადობის წესების დაცვით უნდა დაექვემდებაროს და განსახილველად გადაეგზავნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. თ. ჟ-ანის და სხვათა სასარჩელო განცხადება სასურსათო მაღაზიის ფუნქციონების შეწყვეტისა და მაღაზიის კარების გაუქმების, ფანჯრის ღიობის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანის შესახებ განსჯადობით დაექვემდებაროს და განსახილველად გადაეცეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-872-839 (კ-08)

9 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ო. ბ-შვილმა სარჩელი აღძრა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, მოპასუხის - ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტის მიმართ, მესამე პირების - მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს და ქ. ქუთაისის მერიის მონაწილეობით, რომლითაც მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან სკოლის უძრავი ქონების შემადგენელი ნაწილის გამოთხოვა.

საქმის გარემოებები:

ქ. ქუთაისის გამგეობის 1992 წლის 6 ნოემბრის #19.36.1148 გადაწყვეტილებით მოპასუხეს ნება დაერთო, მე-9 საჯარო სკოლის შრომით სასწავლო სახელოსნოზე ეწარმოებინა დაშენებითი სამუშაოები არსებულ პროექტში სათანადო ცვლილებების გათვალისწინებით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარო სკოლებს უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაეცა სკოლის უძრავი ქონება. რაც შეეხება მე-9 საჯარო სკოლას, მან დღემდე ვერ შეძლო აღნიშნული სახელშეკრულებო ურთიერთობის განხორციელება, სკოლაში ინსტიტუტის არსებობის გამო. მე-9 საჯარო სკოლის დირექციამ არაერთხელ მიმართა შესაბამის ორგანოებს - ქუთაისის მერიას (საკრებულოს), მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომლისგანაც მიიღო საპასუხო წერილი #01-15-10/2764 (დანართი #2), რომლის ასლიც, თანდართული დოკუმენტაციით, გაგზავნილ იქნა ქ. ქუთაისის მერიაში, მაგრამ მასზე რეაგირება არ მომხდარა.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

დაშენება მოხდა სრულიად უკანონოდ, რაც აისახა მე-9 საჯარო სკოლის შესახებ საჯარო რეესტრში არსებულ დოკუმენტაციაში, კერძოდ, გეგმა-ნახაზში (პროექტში) არ იყო ფიქსირებული არანაირი დაშენება. ამასთან, დაშენება არ იყო შეთანხმებული ქალაქის მთავარ არქიტექტორთან. არ არსებობდა ხელშეკრულების არანაირი ფორმა სკოლასა და ინსტიტუტს შორის ან შესაბამის ორგანოებს შორის, რომლითაც უნდა განსაზღვრულიყო მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

“ზოგადი განათლების შესახებ” კანონის 36.2 მუხლის შესაბამისად, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, არ შეიძლებოდა ეფუნქციონირა ერთ შენობაში. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პრობლემას სკოლა მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრიდა, იგი ვერ გაივლიდა აკრედიტაციას, რაც გამოიწვევდა სკოლის ფუნქციონირების შეწყვეტას და თანამშრომელთა უმუშევრად დარჩენას. სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის შესაბამისად, მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნებოდა შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარად იყო დაკავშირებული მიწასთან და არ იყო გამოჩნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლებოდა განსაზღვრულიყო. კონკრეტულ შემთხვევაში, მე-9 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობანი წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მშენებლობა ნებადართული და შეთანხმებული უნდა ყოფილიყო სამინისტროსთან.

მოპასუხეს წერილობითი ფორმით შესაგებელი არ წარმოუდგენია.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ო. ბ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხის მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის სასარგებლოდ, ამავე სკოლის ყოფილი შრომით სასწავლო შენობაზე დაშენებული ფართი, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

ქ. ქუთაისის გამგეობის 1992 წლის 6 ნოემბრის #19.36.1148 გადაწყვეტილებით ქუთაისის ჰუმანიტარულ და სამართლის ინსტიტუტის რექტორატს ნება დაერთო განათლების განყოფილების მე-9 საჯარო სკოლის შრომით სასწავლო სახელოსნოზე ეწარმოებინა დაშენებითი სამუშაოები არსებულ პროექტში სათანადო ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა ქალაქის მთავარ არქიტექტორთან, თუმცა ასეთი შეთანხმება მოპასუხე მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილი ვერ იქნა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2007 წლის 11 თებერვლის #01-15-10/2764 წერილით გაირკვა, რომ, იმ დროისათვის შენობა, რომელშიც განთავსებული იყო მე-9 საჯარო სკოლა, ფინანსდებოდა ცენტრალური ბიუჯეტიდან, შესაბამისად, მე-9 საჯარო სკოლა ბალანსს აზარებდა სამინისტროს, რაც შემდგომში აისახებოდა სამინისტროს ბალანსში. ამდენად, ქ. ქუთაისში, თ. მეფის ქ. #355-ში მდებარე მე-9 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობები წარმოადგენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას, რომელიც არსებული კანონმდებლობის საფუძველზე უსასყიდლოდ, სარგებლობის წესით გადაეცემოდა ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლას.

საქალაქო სასამართლომ გამოიყენა "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 36.2 მუხლი და განმარტა, რომ საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, არ შეიძლება ფუნქციონირებდეს ერთ შენობაში. მითითებული ნორმა, ამავე კანონის 58.6 მუხლის შესაბამისად, ძალაში შევიდა 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებისას, ანუ 2007 წელს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 172.1 მუხლის მიხედვით, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება. კონკრეტულ შემთხვევაში, ასეთი ფლობის უფლების დამადასტურებელი მტკიცებულება მოპასუხე მხარეს სასამართლოში არ წარმოუდგენია. ამდენად, საქალაქო სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხის შესაგებელში მითითებულ იმ გარემოებაზე, რომ სკოლის დირექცია არ იყო წინააღმდეგი, ინსტიტუტს თვითონ გაეფორმებინა მის მიერ აშენებული შენობა, რაც არ განხორციელდა. ასევე არ გაიზიარა საქართველოს განათლების სამინისტროს 1992 წლის 15 სექტემბრის ლიცენზიაში მითითებული გარემოება, რომ საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციაში გაეტარებინა ქუთაისის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტი, როგორც ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი, ვინაიდან აღნიშნულს კავშირი არ ჰქონდა დაშენებული შენობის საკუთრებასთან, რომლის კანონით დადგენილი მტკიცებულებები მოპასუხე მხარემ სასამართლოს ვერ წარუდგინა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ა. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, შემდეგი მოტივით:

აპელანტის განმარტებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება იყო უკანონო და დაუსაბუთებელი. სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას. საქალაქო სასამართლომ არ შეაფასა ქ. ქუთაისის გამგეობის 1992 წლის 6 ნოემბრის #19.36.1148 გადაწყვეტილება, რომლითაც ინსტიტუტს ნება დაერთო, ეწარმოებინა დაშენება მოსარჩელის კუთვნილ სასწავლო სახელოსნოზე, რაც მოპასუხის მხრიდან შესრულებულ იქნა და ინსტიტუტი საკუთარ ფართში ფუნქციონირებდა სკოლისაგან დამოუკიდებლად, რის გამოც, საქალაქო სასამართლოს მიერ "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 36.2 მუხლის განმარტება კანონშეუსაბამო იყო. ამასთან, მითითებულ საჯარო სკოლას პრეტენზია გააჩნდა საერთო შესასვლელზე, რომელსაც ინსტიტუტი იყენებდა, მაგრამ ამ უკანასკნელს ჰქონდა იმის პირობა, რომ გაეკეთებინა დამოუკიდებელი შესასვლელი, რის გამოც, სასამართლოს მსჯელობა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლზე, ასევე არასწორად იქნა გამოყენებული. საქალაქო სასამართლომ არასწორად მიუთითა სსსკ-ის 102-ე მუხლზე, რამდენადაც, ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილ იქნა ნახაზი, რომელიც შეთანხმებული იყო მთავარ არქიტექტორთან და სხვა რაიმე ვალდებულება მერიის გადაწყვეტილებაზე მას არ გააჩნდა. ამასთან, ძალაში შესული კანონი ინსტიტუტს აძლევდა შესაძლებლობას, საკუთრება საჯარო რეესტრში გაეტარებინა.

სააპელაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით 2008 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ქუთაისის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

1997 წლის 1 აგვისტოს ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორმა წერილობით მიმართა ქუთაისის განათლების საბჭოს თავმჯდომარეს, სადაც აღნიშნული იყო, რომ სკოლაში 1992 წლიდან ფუნქციონირებდა ქ. ქუთაისის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტი, რომელსაც ჰქონდა საკუთარი შენობა, მისთვის საჭირო საკლასო ოთახების რაოდენობა და სათანადო ინვენტარი, რომელიც მის მოთხოვნებს მთლიანად აკმაყოფილებდა. ინსტიტუტი სარგებლობდა საერთო შესასვლელით, კორიდორით და გამოსასვლელით. ამავე სკოლის დირექტორის 2005 წლის 16 მაისის წერილში აღნიშნული იყო, რომ ქუთაისის ყოფილი საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 23 ივნისის #16-55-57 გადაწყვეტილებით ნება დაერთო განათლების განყოფილების მე-9 საშუალო სკოლის შრომით სასწავლო სახელოსნოზე დაემუშებინა მეორე სართული, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა სასწავლო კაბინეტები და სააქტო დარბაზი, რის საფუძველზეც "ქუთქალაქპროექტის" მიერ დამუშავდა პროექტი, მაგრამ ფინანსური სიძნელეების გამო, განათლების განყოფილებამ ვერ შეძლო სამუშაოების შესრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლის დირექციამ განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით წერილით მიმართა გამგეობას და მოითხოვა ქუთაისის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტს, რომელსაც იჯარით აღებული ჰქონდა ფართი მე-9 სკოლის შენობაში, განეხორციელებინა აღნიშნული სამუშაოების შესრულება საკუთარი სახსრებით, პროექტში გარკვეული ცვლილებების გათვალისწინებით. სკოლას და განათლების განყოფილებას არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ აღნიშნული სამუშაოების შესრულებაში. აქედან გამომდინარე, სკოლის დირექცია არ იყო წინააღმდეგი, რომ ინსტიტუტს თვითონ გაეფორმებინა მის მიერ აშენებული შენობა საკუთრებაში. ამასთან, საჯარო რეესტრში არსებული დოკუმენტაციით მე-9 საჯარო სკოლის გეგმა-ნახაზში არ იყო დაფიქსირებული სკოლის შრომით სახელოსნოზე მეორე სართულის დაშენება.

აპელანტის განმარტებით, მე-9 საჯარო სკოლის შრომით სასწავლო სახელოსნოზე მეორე სართულის ფაქტობრივი დაშენება განხორციელდა ქუთაისის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტის დამფუძნებელთა მიერ, მაგრამ ამის დოკუმენტაცია არ გააჩნდათ, ასევე, არ ჰქონდათ შენობის ექსპლოატაციაში მიღების დასკვნა. ამასთან, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ განხორციელებულა. ინსტიტუტი 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში კანონიერად ფუნქციონირებდა და შენობა, რომელშიც ის იყო განთავსებული, მათ მართლობიერ მფლობელობაში იმყოფებოდა. მათ ამ საფუძველით მოპოვებული ჰქონდათ საკუთრების უფლება.

სააპელაციო პალატის დასკვნით, ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის შრომით სასწავლო სახელოსნოზე არსებული დაშენების, ამავე სკოლის ბალანსზე ჩარიცხვა, როდესაც ინსტიტუტი პრეტენზიას აცხადებდა მის კუთვნილებაზე, შეუძლებელი იყო, რადგან დაშენება სკოლის ხარჯებით არ განხორციელებულა და იგი მის სარგებლობაში არ იმყოფებოდა. სასწავლო სახელოსნოზე არსებული დაშენება, იმ მოტივით, რომ სახელოსნო სკოლის ბალანსზე იყო აღრიცხული, ხოლო სკოლის ბალანსზე არსებული ქონება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ბალანსზე რიცხულ უმრავ ქონებას წარმოადგენდა, ვერ იქცეოდა მე-9 საჯარო სკოლის ან მითითებული სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ქონებად (ნივთად). ამდენად, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, მოსარჩელის მოთხოვნა უკანონო იყო, რამდენადაც, სსსკ-ის 172-ე მუხლის თანახმად, ამ მოთხოვნის უფლება მხოლოდ მესაკუთრეს გააჩნდა, რომლის სტატუსიც მე-9 საჯარო სკოლას მოპოვებული არ ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლამ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება, შემდეგი მოტივით:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია. სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას არასწორად შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, ასევე არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება ექვემდებარებოდა გაუქმებას.

კასატორის განმარტებით, სკოლის შენობაში დღემდე უკანონოდ ფუნქციონირებს ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტი, რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ, გეგმა-ნახაზების მიხედვით სკოლის სახელოსნოზე არავითარი დაშენება არ ფიქსირდება და აღნიშნული შენობა არც საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. სკოლის შენობა-ნაგებობა ამჟამად ირიცხება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბალანსზე, შესაბამისად, მას-

თან არ არის დადებული ხელშეკრულება. ამდენად, სკოლასა და ინსტიტუტს შორის არ არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. კასატორის განმარტებით, სკოლის ყოფილი დირექტორის -რ. ჭ-მის წერილი ქუთაისის განათლების საბჭოს თავმჯდომარისადმი, არის ცნობა სკოლაში ინსტიტუტის არსებობის შესახებ და არა თხოვნა განათლების სამინისტროსათვის იმის შესახებ, რომ ინსტიტუტს ნება დაერთოს განათლების სამინისტროს მიერ სკოლაში განათავსოს და შესაბამისად, აწარმოოს მშენებლობა. წერილში ასევე მითითებულია, რომ ინსტიტუტს აქვს საკუთარი შენობა, რაც მცდარი განმარტებაა, ვინაიდან არ არსებობს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც განსაზღვრავს, რომ შენობის მფლობელი არის ინსტიტუტი.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად განმარტა სსსკ-ის 172-ე მუხლი, რაც შეეხება სკოლის, როგორც შენობის მესაკუთრის სტატუსს, მიიჩნია, რომ სკოლას მოპოვებული არა აქვს მესაკუთრის სტატუსი. აღნიშნული განმარტება ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია, რადგან სკოლა შენობას ფლობს 70-იანი წლებიდან.

საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34.3 "გ" პუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია/.

საკასაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე კასატორის ქუთაისის მე-9 საჯარო სკოლის დირექტორმა და წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს საკასაციო საჩივარს და მოითხოვეს მისი დაკმაყოფილება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარის -ქუთაისის ჰუმანიტარული და სამართლის ინსტიტუტის წარმომადგენელმა ა. ბ-მემ არ ცნო საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

მესამე პირის -განათლების და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა ე. მ-მემ არ ცნო საკასაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაანალიზების, მხარეთა წარმომადგენლების განმარტებების მოსმენის და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის #9 საჯარო სკოლის დირექტორის -ნ. ქ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაირღვა მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, სსსკ-ის 393.2, 394 "ე" მუხლების მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, გადაწყვეტილება იურიდიული თვალსაზრისით დაუსაბუთებელია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლომ ისე გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რომ არ იმსჯელა თუ რა სამართალურთიერთობა იყო სახეზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2. მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. ამავე კოდექსის 2.2. მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს მითითებულს და განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული დავის საგანს.

მოცემულ შემთხვევაში ქუთაისის #9 საჯარო სკოლის მიერ აღძრულია ვინდიკაციური სარჩელი უკანონო მფლობელობიდან სკოლის უძრავი ქონების შემადგენელი ნაწილის გამოთხოვის შესახებ, რაც წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელიც გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, არამედ, კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი ადგენს როგორც უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის მოწესრიგებელ ნორმებს, ისე -ნივთის დაუბრუნებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების წესებს.

საკასაციო სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ მითითებული ნორმით დადგენილია საკუთრების ცნება და საკუთრების უფლების შინაარსი, რომლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო

შეზღუდვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლის ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენდა უფლების ბოროტად გამოყენებას. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლი განსაზღვრავს მესაკუთრის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის და ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლებას, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 172.1. მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ აღძრულია ვინდუკაციური სარჩელი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვაზე, ხოლო მფლობელობა წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ კლასიკურ სამოქალაქო-სამართლებრივ ინსტიტუტს, სანივთო სამართლის შემადგენელ ნაწილს და არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. საქართველოში იგი წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით, მიძღვნილი აქვს ამ კოდექსის II წიგნის სანივთო (ქონებრივი) სამართლი მეორე კარი. ამდენად, მოცემული დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული სამართლის, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან სწორედ ეს კანონმდებლობა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მფლობელობის უფლების საკითხებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, ის გარემოება, რომ ქუთაისის #9 საჯარო სკოლის სარჩელი სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმების გარდა ეფუძნება საჯარო სამართლის ნორმატიულ აქტს, "ზოგადი განათლების შესახებ" კანონის 36.2 მუხლს, რომლის თანახმად საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს ან/და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, არ შეიძლებოდა ეფუნქციონირათ ერთ შენობაში, არ გულისხმობს რომ დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს არა "ზოგადი განათლების შესახებ" კანონიდან, არამედ, სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სწორედ მითითებული კერძო სამართლის ნორმატიული აქტით არის რეგულირებული უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის პროცედურა და საფუძვლები. ამასთან, სარჩელის მოთხოვნის იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ "ზოგადი განათლების შესახებ" კანონი განსაზღვრავს ერთ შენობაში საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფუნქციონირების სტანდარტებს, რაც მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს სარჩელის აღძვრის მიზეზს, მაგრამ არა სადავო სამართალურთიერთობის საფუძველს. სადავო სამართალურთიერთობა სრულად განეკუთვნება სამოქალაქო კოდექსით დადგენილ სამართალურთიერთობას, რომლითაც განსაზღვრულია მისი მოწესრიგების სამართლებრივი მექანიზმი, უფლების დაცვის სამართლებრივი საშუალებები და სამართლებრივი შედეგები.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა სასამართლომ სწორი შეფასება არ მისცა სადავო სამართალურთიერთობას, მიიჩნია რა, რომ მოცემული დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება ექვემდებარება გაუქმებას და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა გადაეცეს უფლებამოსილ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 26.1. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53.2, 391-ე, 399-ე, 412-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ქუთაისის #9 საჯარო სკოლის დირექტორის -ნ. ქათამაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად დაექვემდებაროს იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-1463-1421(გ-08) 16 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: **ნ. წკებლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე, საქმეზე თ. მ-შვილის სარჩელის გამო, მოპასუხის -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 28 ივნისს თ. მ-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა მისი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 4 მაისის #20003/შ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, 2006 წლის კუთვნილი შვებულების გამოყენების უფლების მინიჭება და შრომის კოდექსის 38.3 მუხლით გათვალისწინებული კომპენსაციის ანაზღაურება შემდეგი საფუძველით:

მოსარჩელე 2002 წლის მაისიდან მუშაობდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო სამსახურში. 2007 წლის 4 მაისის #20003/შ ბრძანებით გათავისუფლდა სამსახურიდან შრომის კოდექსის 9.2 მუხლის საფუძველზე. დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსის 2007 წლის 16 ივნისის წერილით მოსარჩელეს განემარტა, რომ იგი რეორგანიზაციის პერიოდში დანიშნული იყო შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით, ხოლო დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ აღნიშნულ თანამდებობაზე მისი კანდიდატურა არ წამოყენებულა, რის გამოც იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

მოსარჩელის მითითებით, 2007 წლის 20 იანვრიდან დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ განხორციელებული რეორგანიზაციის გამო დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფისა და საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს ნაცვლად ჩამოყალიბდა საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო, მაგრამ ორივე სამმართველოში არსებული საფინანსო განყოფილება, სადაც მუშაობდა მოსარჩელე, არ გაუქმებულა. აღნიშნულის მიუხედავად, მოსარჩელე გაფრთხილებულ იქნა რეორგანიზაციის გამო სამსახურიდან შესაძლო გათავისუფლების შესახებ და 2007 წლის 9 თებერვლის #4313/შ ბრძანებით შრომის კოდექსის 37-ე მუხლის "დ" პუნქტის საფუძველზე, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, თუმცა 9 თებერვლის #4323/შ ბრძანებით საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფილებაში დაინიშნა იმავე მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე 3-თვიანი გამოსაცდელი ვადით, თუმცა ამ პერიოდში დატვირთული იყო სრულად. გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელის მითითებით, დეპარტამენტის საჭიროებიდან გამომდინარე, ვერ ისარგებლა 2006 წლის კუთვნილი შვებულებით, რადგან 2006 წლის 25 ოქტომბრის #897 ბრძანებით 2006 წლის 1 ნოემბრიდან 2007 წლის 5 იანვრამდე დაევალა დეპარტამენტის ცენტრალური საინვენტარიზაციო კომისიის მუშა ჯგუფის უფროსის მოვალეობის შესრულება დეპარტამენტის ცენტრალური აპარატში 2006 წლის ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებით, შემდეგ მონაწილეობდა ინვენტარიზაციის შედეგების გამოყვანასა და ამ საკითხთან დაკავშირებით საოქმო გადაწყვეტილების მისაღებად პროექტის მომზადებაში. 2007 წლის 26 იანვრის #2783/შ ბრძანებით მარნეულის დაცვის პოლიციის განყოფილებაში ამოწმებდა 2006 წლიური ბალანსის მონაცემების რეალობას. შემოწმების პერიოდში იგი გაფრთხილებულ იქნა შესაძლო გათავისუფლების შესახებ, ხოლო შემდეგ მოხდა მისი დათხოვნა სამსახურიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინებით თ. მ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეზღვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, იმ მოტივით, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რადგან დაკავებული თანამდებობიდან თ. მ-შვილის გათავისუფლების შესახებ ბრძანების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს შრომის კოდექსის 9.2 მუხლი.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, დაკავებული თანამდებობიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის რიგითი თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ ბრძანება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და არც დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათის. გარდა აღნიშნულისა, "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალში, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, არ არის მითითებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ასევე საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის №286 ბრძანებულებით დამტკიცებული "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში" რანგირების მიხედვით მოცემულ ჩამონათვალში არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებზე, როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტებზე.

ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა სამართლებრივად წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დავას და განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებით თ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ ერთი თვის შრომის ანაზღაურების -550 ლარის გადახდა, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 4 მაისის #20003/შ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და 2006 წლის კუთვნილი შვებულების გამოყენების უფლების ნაწილში არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დავა განეკუთვნება ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას, რადგან სადავო სამართალურთიერთობას გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი, კერძოდ, სარჩელი აღძრულია მოპასუხე -ადმინისტრაციული ორგანოს -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის -დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, დავა დაკავშირებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობასთან, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურში მიღების, სამსახურის გავლის, სამსახურიდან დათხოვნის წესი, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება "პოლიციის შესახებ" კანონით და შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის -დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულებით", რის გამოც არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნა დავის ადმინისტრაციულად მიჩნევის შესახებ და მიიჩნია, რომ ამგვარ დასვენას საფუძველად დაედო საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასება.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2007 წლის 4 მაისის #2000 3/შ ბრძანებით სამოქალაქო პირი -თ. მ-შვილი, სამი თვის გამოსაცდელი ვადის გასვლის გამო, შრომის კოდექსის 9.2 მუხლის საფუძველზე გათავისუფლდა ამავე დეპარტამენტის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობიდან.

ის გარემოება, რომ მოსარჩელე სამუშაოდან გათავისუფლების მომენტისათვის ნამდვილად სამოქალაქო პირი იყო და არა სამხედრო მოსამსახურე (პოლიციელი), სადავოდ არ გამხდარა მხარეების მიერაც.

ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნა იმის თაობაზე, რომ თ. მ-შვილის სამსახურიდან უნდა დათხოვნილიყო "პოლიციის შესახებ" კანონის შესაბამისად. მხოლოდ ის გარემოება, რომ მოცემულ საქმეში მოპასუხეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელია სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა არსებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის #266 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების" პირველი მუხლის შესაბამისად, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი არის შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მისი ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება, მათ შორის, სამუშაოდან მუშაკის დათხოვნის შესახებ წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ასეთად ჩათვლება მხოლოდ ის ბრძანება, რომელიც გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და იწვევს სამართლებრივ შედეგს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არ გაიზიარა სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნა, რომ სადავო ბრძანება გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რადგან ბრძანების საფუძველად შრომის კოდექსთან ერთად დასახელებულია "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის, თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან გათავისუფლების, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის, სამხედრო და სპეციალური წოდებების მინიჭებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირების შესახებ" შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 4 აპრილის #303 ბრძანებით დამტკიცებული ნუსხის მე-6 მუხლი და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების" 5.4 მუხლის "ე" ქვეპუნქტი, არ განაპირობებს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას, რამდენადაც მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის უშუალო საფუძველი სწორედ შრომის კოდექსი და არა აღნიშნული აქტებია. მითითებული აქტები განსაზღვრავს სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას მოსამსახურეთა დანიშვნა-გათავისუფლების სფეროში, ხოლო მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი, რომლის გამოყენების მართლზომიერებაც უნდა შეაფასოს სასამართლომ, არის შრომის კოდექსი.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი და ადმინისტრაციული ორგანოა, მაგრამ მისი თანამშრომლების მიმართ ყოველთვის ვერ გავრცელდება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის ნორმები. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სახაზინო დაწესებულებების ცნება და მოცემულია იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად. აღნიშნულ ჩამონათვალიში საერთოდ არ არის მითითება საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებზე როგორც საჯარო სამსახურის ფარგლებში საჯარო სამსახურის განმახორციელებელ სუბიექტებზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მართებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნა საქმის სამოქალაქო დავად მიჩნევის თაობაზე და გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი, ანუ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას, რომ მოცემული დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რადგან იგი კერძოსამართლებრივი ხასიათის შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოცემული დავა შეიცავს ყველა პირობას დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, კერძოდ, სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციული ორგანოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ და დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. ხოლო ამავე კანონის 9.1. მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. "ა" მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ყველა ბრძანება -წარმოადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.2 "დ" მუხლით რეგლამენტირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 1.1 მუხლის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ცნებას, განმარტავს, რომ საჯარო სამსახური (შემდგომ სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო ამავე კანონის მე-4 მუხლი ადგენს საჯარო მოსამსახურის ცნებას, რომლის თანახმად, საჯარო მოსამსახურეს წარმოადგენს საქართველოს მოქალაქე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით და დაკავებული თანამდებობის შესაბამისად ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

საკასაციო სასამართლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 2.1 მუხლის საფუძველზე განმარტავს, რომ სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომ დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის სახსრებზე შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითად ამოცანას საჯარო ხელისუფლების განხორციელება წარმოადგენს, ხოლო ამავე კანონის მე-2 მუხლი ადგენს და განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში საქმიანობაც ითვლება საჯარო საქმიანობად, ხოლო საჯარო სამართლის იურიდიულ პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობა, როგორც მიუთითებდა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, ვერ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, როგორც ამ ნუსხაში არმყოფი დაწესებულება, ასევე, "საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესახებ" საქარ-

თველოს პრეზიდენტის 21.07.01წ ბრძანებულების შესაბამისად /რომლითაც დამტკიცდა რანგირების მიხედვით საჯარო სამსახურის თანამდებობათა თანდართული რეესტრი/, განმარტავს, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, როგორც საჯარო მოსამსახურეები, აღნიშნულ რეესტრში არ ფიქსირდებიან, შესაბამისად, თანამდებობა, რომელიც ეკავა მოსარჩელეს, ვერ იქნება განხილული საჯარო სამსახურად.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თ. მ-შვილის, როგორც სსიპ დაცვის პოლიციის თანამშრომლის გათავისუფლების კანონიერების შეფასებისას არ გამოიყენება "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის დებულებები, რამდენადაც ეს უკანასკნელი არ წარმოადგენს მითითებული კანონის სუბიექტს, ხოლო "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 14.2 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ის ურთიერთობა, რაც ამ კანონით არ წესრიგდება, რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, მოცემულ შემთხვევაში - შრომის კოდექსით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის 2007 წლის 4 მაისის #2000 ვ/შ ბრძანება არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ის ფაქტი, რომ დაცვის საგანს წარმოადგენს დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანება, არ ნიშნავს, რომ გასაჩივრებელია ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" ქვეპუნქტის მიხედვით, ასეთად მიიჩნევისათვის აუცილებელია ოთხი ელემენტის არსებობა.

საკასაციო სასამართლო ეყრდნობა, რა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით (ადმინისტრაციულ საქმეზე #ბს-713-300 (კ-05), ნ. ხ-შვილის საკასაციო საჩივრისა გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 16 მარტის განჩინებაზე, მოწინააღმდეგე მხარე თელავის რაიონის გამგეობის მიმართ, განკარგულების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ) მოხდენილ განმარტებას შემდეგზე, რომ:

"ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. მუხლის "დ" პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ:

1. სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო - ადმინისტრაციული აქტის ავტორი;

2. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან;

3. ადმინისტრაციული ორგანოს ღონისძიება მიმართულია კონკრეტული შემთხვევის მოწესრიგებისაკენ.

4. ადმინისტრაციული ორგანოს ეს ღონისძიება /იგულისხმება შემდეგი ელემენტი: "აწესებს, წყვეტს ან ადასტურებს" / მიმართულია სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლისაკენ, ე.ი. ის აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

ადმინისტრაციულ სამართალში მოქმედი პრინციპის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია კონკრეტული სამართალურთიერთობა მოაწესრიგოს იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების გზით, რომელიც, მისივე აზრით, უფრო ეფექტურია კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის თავისუფლების ფარგლები მთავრდება იქ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ზუსტად უთითებს მოცემული ურთიერთობისათვის ამა თუ იმ სამართლებრივი ფორმის გამოყენების აუცილებლობას ან ეს გამომდინარეობს კანონით მოწესრიგებული ურთიერთობის თავისებურებიდან."

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო დაწესებულებები რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობით არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ კერძოსამართლებრივი საკანონმდებლო აქტის - შრომის კოდექსის საფუძველზე, ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად მიაჩნია სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტება, რომ მოცემული დავა უნდა გადაწყდეს არა მარტო შრომის კოდექსის, არამედ "პოლიციის შესახებ" კანონისა და "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების" მოთხოვნებიდან გამომდინარე, რადგან აღნიშნული აქტები განსაზღვრავს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურში მიღების, სამსახურის გავლის, სამსახურიდან დათხოვნის წესს, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, შესაბამისად, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

აღნიშნულის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ დავა მიაკუთვნა ადმინისტრაციულ კატეგორიას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელე არ იყო სამხედრო მოსამსახურე (პოლიციელი), რის გამოც მოსარჩელე არ განეკუთვნება "პოლიციის შესახებ" კანონით განსაზღვრულ სუბიექტთა წრეს, რაც გამორიცხავს კონკრეტულ შემთხვევაში მითითებული კანონის გამოყენებას, ხოლო "საჯარო სამართლის იურიდიული პირის -დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება" არ შეიცავს დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და მის თანამშრომელს შორის შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელ კონკრეტულ ნორმებს და ამგვარი ურთიერთობის წარმოშობა-შეწყვეტა რეგულირდება შრომის კოდექსით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული აქტი განსაზღვრავს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის კომპეტენციის მინიჭების წესს, ხოლო კომპეტენციის ფარგლებს განსაზღვრავს სხვადასხვა კანონმდებლობა, კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემთხვევაში - შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც არეგულირებს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობა-შეწყვეტის პირობებსა და წესს. ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისას სასამართლო არ არის შეზღუდული იხელმძღვანელოს საჯარო კანონმდებლობითაც და აღნიშნული არ შეიძლება გახდეს დაცვის ადმინისტრაციულ კატეგორიას მიკუთვნებისათვის განმსაზღვრელი, რადგან არსებითა თავად სადავო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი. მოცემულ შემთხვევაში, დაცვის საგანს წარმოადგენს კერძო სამართლებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა და იგი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველი დავა წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

აღსანიშნავია, რომ თავად სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს არა დაცვის სუბიექტებს, არამედ, სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, სსს კოდექსის 11.1. "ა" მუხლის მიხედვით: სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დაცვის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურ ურთიერთობა წარმოადგენს, რომელიც მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კერძო და საჯარო სამართლის დოქტრინის შესაბამისად, შრომის კოდექსი არ განეკუთვნება საჯაროსამართლებრივ საკანონმდებლო აქტს, შესაბამისად, იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და მის საფუძველზე გამოცემული ბრძანება არ შეიცავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს - ბრძანება არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო დასძენს, რომ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს, მაგრამ იმავდროულად, კანონმდებლის მიერ საჯარო შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება უზრუნველყოფილ იქნა საჯარო სამართლებრივი ნორმატიული აქტით - "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონით, რომლის მიხედვით საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობის მოწესრიგებისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს მკაფიოდ განესაზღვრა საქმიანობის ფორმები, როგორც სამართლებრივი აქტის, ასევე, ხელშეკრულების /იხ. მუხლის 7/ სახით, საჯარო სამსახურში ბრძანების გამოცემით ხდება საჯარო მოხელისათვის საჯაროსამართლებრივი კომპეტენციის გადაცემა და შესაბამისად, იმ შედეგათების მინიჭება და გარანტიებით აღჭურვა, რაც კანონით გათვალისწინებულია საჯარო მოხელისათვის, ხოლო დაცვის წარმოშობის პირობებში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლის დანაწესის მიხედვით, როგორც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურ ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა ექვემდებარება ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განხილვას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ვერ ექნება ადგილი, ვინაიდან სადავო ბრძანება გამოცემულია კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე და მისი მართლზომიერების შემოწმებისას უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სამოქალაქო სასამართლო, სსსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია (როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიული პირები) ადმინისტრირებისას, ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებისას არცთუ იშვიათად იყენებენ ბრძანებას, როგორც გადაწყვეტილების ფორმას, რაც არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, ვინაიდან ამგვარი იურისდიქცია მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს გააჩნიათ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი -დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1. მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ამდენად, არასწორია სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნა მოცემული დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად სამოქალაქო დავას წარმოადგენს, რის გამოც საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

#ბს-902-868 (გ-08)

17 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ცისკაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

პ. სილაგაძე

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის.

სასამართლომ გამოარკვია:

ი. მ-შვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა 2007 წლის აგვისტოში მოპასუხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიმართ და მოითხოვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების უფროსი სპეციალისტის ვაკანსიაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების

ბათილად ცნობა; ასევე, მოპასუხის დავალდებულება ხელახლა გამოაცხადოს ზემოხსენებულ ვაკანსიაზე კონკურსი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ი. მ-შვილის სარჩელი მოპასუხე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების უფროსი სპეციალისტის ვაკანსიაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობისა და ხელახალი კონკურსის ჩატარების დავალების თაობაზე, გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ განმარტა, რომ ი. მ-შვილის სარჩელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების უფროსი სპეციალისტის ვაკანსიაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობისა და ხელახალი კონკურსის ჩატარების დავალების თაობაზე არ განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას, რამდენადაც დავა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ "უმალესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, შესაბამისად დამხმარე პერსონალთან მიმართებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიენიჭა სამსახურში მიღების წესის განსაზღვრის უფლებამოსილება, ხოლო ადმინისტრაციული კანონმდებლობა კონკურსის ჩატარებას ადმინისტრაციის ხელმძღვანელს არ ავალდებულებდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ კონკურსის საფუძველზე დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი განისაზღვრა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მოცემულ დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას. მეტიც, მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, რაც განხორციელდა შრომის კანონმდებლობის საფუძველზე, კერძოდ ბრძანებაში ცალსახად არის საფუძვლად მითითებული შრომის კოდექსის 37.1 მუხლის "დ" ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რაც ეხება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას შრომითი ხელშეკრულების მოშლის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ დავა გამომდინარეობს შრომის კანონმდებლობიდან და ის ვერ გახდება ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი. სასამართლომ მიუთითა, რომ დამხმარე პერსონალთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონიერება-უკანონობის განსაზღვრისა და დამხმარე პერსონალის კონკურსის წესით სამსახურში მიღების ანუ შრომითი ურთიერთობის წარმოშობის შესახებ აღძრული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად საქმეს წარმოადგენს.

სასამართლომ გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე, ხოლო, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაუფლებამოსილ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის უფლებამოსილ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 აგვისტოს განჩინებით ი. მ-შვილის სარჩელი (საქმე 2/610-08) სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების უფროსი სპეციალისტის ვაკანსიაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობისა და ხელახალი კონკურსის გამოცხადების შესახებ, სარჩელის განმხილველი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისა და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. სასამართლოს მითითებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განისაზღვრება დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევის განვითარების უფროსი სპეციალისტის ვაკანსიაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა და ხელახალი კონკურსის გამოცხადება, ხოლო მოპა-

სუბედ მითითებულია სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამასთან, სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მითითებულია კონკურსის ჩატარების წესის პირობების დარღვევა.

სასამართლომ მიუთითა, რომ "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტი არის საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეიძლება არსებობდეს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2008 წლის 29 მაისის #490 ბრძანების შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. "საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლის გზით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა. სასამართლომ დადგინდა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადმინისტრაციული და სხვა სტრუქტურულ ერთეულების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ იქნა კონკურსი, ამავე უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 14 მარტის #10/02-01 ბრძანების საფუძველზე. "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი განისაზღვრება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი განსაზღვრის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონით, ამდენად კონკურსის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას იგი ახორციელებდა საჯარო საქმიანობას. ამავე მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ინდივიდუალურ აქტებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში. მაშასადამე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს საჯარო უფლებამოსილება, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემით განსაზღვროს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მართალია კანონმდებლობა კონკურსის ჩატარებას არ ითვალისწინებს, მაგრამ თავად კონკურსის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული იქნა დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი.

სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კონკურსის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ახორციელებდა საჯარო საქმიანობას, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა, ხელახალი კონკურსის გამოცხადების თაობაზე, თავისი შინაარსიდან გამომდინარე გულისხმობს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებას კონკურსის ჩატარების თაობაზე ე.ი. მის მიერ გარკვეული ქმედების განხორციელებას, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციული დავის საგანს. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დავის საგანი გამომდინარეობს კონკურსის ჩატარების წესის პირობების დარღვევიდან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკურსის ჩატარების წესს და პირობებს კი არეგულირებს "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონი, რომელიც საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს და მაშასადამე, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას განეკუთვნება.

სასამართლოს მოსაზრებით, სამართალსუბიექტურობის მიხედვით სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის ადმინისტრაციული ორგანო, სამართალურთიერთობა ემყარება საჯარო კანონმდებლობას, რაც ადასტურებს საქმის ადმინისტრაციული წარმოების წესით განსაზღვრის საჭიროებას.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ი. მ-შვილის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განისაზღვრება იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალი, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს აღნიშნული კოდექსით დადგენილი საპროცესო წესებით. ამასთან, არსებითი ელემენტი, რომლის შედეგადაც დავა მიჩნეული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმედ, არის დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების უფროსი სპეციალისტის ვაკანსიაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობა და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოსათვის ხელახალი კონკურსის ჩატარების დავალეზა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 14 მარტის #10/02-01 ბრძანებით ადმინისტრაციული და სხვა დამხმარე პერსონალის სამტატო განრიგით განსაზღვრული თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატების გამოვლენის მიზნით გამოცხადდა კონკურსი, კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შეიქმნა საკონკურსო კომისია.

საკონკურსო კომისიის 2007 წლის 31 ივლისის #10264/02 წარდგინების საფუძველზე მიღებულ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 6 აგვისტოს #227/02-03 ბრძანება, რომლითაც შრომითი ურთიერთობა შეუწყდათ დანართი #1-ით განსაზღვრულ პირებს და კონკურსის შედეგების საფუძველზე დანიშნულ იქნენ სამტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანართი #2-ით განსაზღვრული პირები.

დადგენილია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 6 აგვისტოს #227/02-03 ბრძანების სამართლებრივი საფუძველია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტი, 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 23-ე და 24-ე მუხლები.

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 32-ე მუხლის თანახმად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებობს აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობები.

აღნიშნული კანონი განსაზღვრავს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ვაკანსიის დაკავების ერთიან წესებს. მოცემული კანონი აკადემიური თანამდებობის დაკავების აუცილებელ წინაპირობად ასახელებს ღია კონკურსს, რაც შეეხება დამხმარე პერსონალს, ამავე კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, მისი სამსახურში მიღების წესს, მისი შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს ადგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

ზემოაღნიშნული ნორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს დამხმარე პერსონალთან მიმართებაში მიენიჭა სამსახურში მიღების წესის განსაზღვრის უფლებამოსლება, კვალიფიციური კადრების შერჩევის მიზნით იგი უფლებამოსილია, შექმნას პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული კომისია, რომლის მიზანია, დადგინდეს კონკურსანტის შესაბამისობა აღნიშნული ვაკანსიისათვის დადგენილ მოთხოვნებთან. საკონკურსო კომისიის დასკვნის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის ვაკატურ თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელესა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შორის წარმოქმნილი ურთიერთობა არის სამოქალაქო-სამართლებრივი, კერძოდ, შრომის კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობილი დავა, რამდენადაც საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება არ არის გამოცემული ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ იგი მიღებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ შიდაორგანიზაციული ხასიათის აქტის_ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის 6 აგვისტოს #227/02-03 ბრძანების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ, სამუშაოდან განთავისუფლებისა და და სამსახურში მიღების შესახებ სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში და გამოყენებულ იქნეს სწორედ კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო აქტი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემული საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას და მისი საფუძველიანობა განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით და მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ი. მ.-შვილის სარჩელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიმართ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-

სიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების უფროსი სპეციალისტის ვაკანსიაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობისა და ზემოხსენებულ ვაკანსიაზე კონკურსის ხელახლა გამოცხადების მოპასუხისათვის დავალების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.